

149994  
K 149994  
3



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ეკონომიკისა და საზღვარგარეთის ინსტიტუტი



უკთარნიდ გუნია

საქართველოს სსრ  
ინფუსტრია

466541  
3



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1972



5061  
8879608

საქართველოს  
საქართველოს

АВТАНДИЛ ЛЕВАНОВИЧ ГУНИЯ  
ИНДУСТРИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოსცა

1. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სსრ კულტურა  
ფასი 55 კაპ.
2. ა. ნუცუბიძე, რ. ხარბედია, ხალხის მატერიალური კ  
თილდღობა საქართველოს სს რესპუბლიკაში, ფასი 42 კა

## შესავალი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების განხორციელების შედეგად ახალი და ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გადადგმული წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის საქმეში.

მეცხრე ხუთწლედში უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ტემპებისა და პროპორციების სრულყოფა, მნიშვნელოვნად ამაღლდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ეფექტიანობა, დაჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპები, თანმიმდევრულად ამაღლდება მშრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის დონე.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების, და კერძოდ მრეწველობის შემდგომ განვითარება-აღმავლობას.

მრეწველობაში სრულყოფილი იქნება წარმოების სტრუქტურა დაჩქარდება შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები, ამაღლდება ყველა სახეობის პროდუქციის ტექნიკური დონე, ეკონომიურობა და ხარისხი, უფრო ეფექტიანად იქნება გამოყენებული წარმოებრივი სიმძლავრეები და ძირითადი ფონდები, გაუმჯობესდება ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტრო და თბოენერჯის გამოყენება, უზრუნველყოფილი იქნება მწარმოებლური ძალების გაადგილების შემდგომი გაუმჯობესება, სრულყოფილი იქნება ტერიტორიული ეკონომიკური კავშირურობა. მნიშვნე-

ნელოვნად ამდლდება მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკურ განვითარების დონე და მათი როლი მწარმოებლური ძალების ადგილების საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოს მრეწველობა, ისე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მრეწველობა, კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში.

## I. ინდუსტრიალიზაციის გზით

ქართველმა ხალხმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო სოციალისტური მეურნეობის განვითარებაში. ეს გზა რთული, მაგრამ მკაცრად ნაყოფიერი იყო. მისი სირთულე განაპირობა რესპუბლიკის ეკონომიკურმა მდგომარეობამ. საქართველოში საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ხასიათდებოდა მრავალწყობიანობით. ზოგიერთი მათგანი — სოციალისტური და სახელმწიფო-კაპიტალისტური წარმოშობა და დაიწყო ჩამოყალიბება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. დანარჩენი კი — პატრიარქალური, წვრილსაქონლური და კაპიტალისტური დარჩა ადრინდელი ეკონომიკური წყობილებიდან. ეს რთული კლასობრივი დიფერენციაცია მრეწველობაში გამოიხატებოდა ორ ძირითად, სოციალისტურ და კაპიტალისტურ წყობას შორის შეფარდებაში. 1923/24 წწ. რესპუბლიკის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში სოციალისტური სექტორის, კერძოდ სახელმწიფოებრივი მრეწველობის ხვედრიწონა შეადგენდა 43,6%-ს, კერძო მრეწველობისა კი — 45,7%-ს, ხოლო 1924/25 წწ. შესაბამისადაც — 50,6% და 38,3%-ს. სოფლად საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მიიღეს დეკრეტი მიწის შესახებ, რომლის საფუძველზე გაუქმდა მიწაზე კერძო საკუთრება. მაგრამ შემკვიდრეობით დაგვრჩა ჩამორჩენილი წვრილსაქონლური მეურნეობა. სოციალისტური წყობის სიძლიერის ზრდა განაპირობა სახელმწიფო ძალაუფლების თავმოყრამ მუშათა და გლეხთა მთავრობის ხელში, დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. სოციალისტური წყობა წარმოადგენდა უმაღლეს, მეურნეობრივი ცხოვრების განმსაზღვრელ წყობას და საბჭოთა ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს ეკონომიკის განვითარებაში.

სოციალიზმის მშენებლობა მოითხოვდა უდიდეს დაძაბულობას მშრომელებისაგან, რადგან სოციალისტური სახელმწიფოს სა-

ფუძვლის აშენება ხორციელდებოდა ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც სუსტად იყო განვითარებული მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — სახელმწიფოს ძირითადი დასაყრდენი სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობაში. მართალია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში დაისახა ღონისძიებები მრეწველობის პროდუქციის ხვედრიწონის ამაღლებისათვის სახალხო მეურნეობის მთლიან პროდუქტიაში, მაგრამ ის მაინც დაბალი იყო 1913 წ. მრეწველობის პროდუქციის ხვედრიწონა შეადგენდა 8,3%-ს, სოფლის მეურნეობის პროდუქტია კი — 91,7%-ს. 1923/24 წ. სოფლის მეურნეობის პროდუქტია შეადგინა 83,6%, მრეწველობისამ — 16,4%. 1925/26 წ. კი შესაბამისად — 72,2% და 27,6% (0,2%-ს შეადგენდა ხე-ტყის მრეწველობა) ეკონომიკური ჩამორჩენა უფრო გაძლიერდა საბჭოთამდელი პერიოდის უკანასკნელი წლების მანძილზე, რადგან მრეწველურ საწარმოთა დიდი ნაწილი უმოქმედოდ იყო, ხოლო დანარჩენი — ნაწილობრივი დატვირთვით მუშაობდა. საწარმოთა გაწყობილობა მნიშვნელოვნად გაიკვიტა. 1921 წელს ჩატარებული გამორკვევით, საქართველოს მრეწველობის შედარებით განვითარებული დარგის, თამბაქოს მრეწველობის იარაღ-დანადგართაგან 60%-ზე მეტი უვარგის მდგომარეობაში იყო. საერთოდ კი გადამმუშავებელ მრეწველობაში (რომელიც მთელ მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა თითქმის 80%-ს მოიცავდა 1920 წ.) შემოწმებული 392 საწარმოდან ნაწილობრივ მოქმედებდა 75% და სრულებით უმოქმედოდ იყო 25%. შემოწმებულ საწარმოთა 2/3-ს თითქმის არ ჰქონდა ნედლეულის მარაგი. წარმოებრივი აპარატის გაცვეთასა და მუშათა კეთილდღეობის გაუარესებასთან ერთად დაეცა შრომის მწარმოებლურობა. მრეწველობის ძირითად დარგებში შრომის მწარმოებლურობა, როგორც წესი, ომამდელ დონესთან შედარებით მერყეობდა 25—55%-ის ფარგლებში. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მრეწველობაში ჰარბობდა წვრილსაქონლური წარმოება. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1921 წელს მრეწველობის ძირითად ცენტრში, თბილისში გაადგილებულ სამრეწველო საწარმოთა აბსოლუტურად უმეტეს ნაწილში (83%) მუშათა რაოდენობა შეადგენდა 1—5 კაცამდე, საწარმოების მხოლოდ — 2,3%-ს, მუშათა რაოდენობა აღემატებოდა 100 კაცს.



ქმედებებს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციას  
 ხალხი მეურნეობის მთლიან პროდუქტში მაღალი ხვედრიწი-  
 ლი ჰქონდა, თვით სოფლის მეურნეობის წარმოება დაბალ დონე-  
 იყო. X

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1924 წ. დასაწყისისათვის სოფ-  
 ლისმეურნეობრივ იარაღებზე და ინვენტარზე მოთხოვნილება უზ-  
 ვსაღველყოფილი იყო მხოლოდ 1—12%-ის ფარგლებში. მათ შორის  
 ძირითად იარაღებს წარმოადგენდნენ გუთნები, ფარცები, ცე-  
 ლები და სხვა სახის დაბალმწარმოებლური სოფლისმეურნეობრი-  
 ვ იარაღები.

X მხოლოდ ეკონომიკური ცხოვრების ყოველმხრივი მოვლენე-  
 რის გათვალისწინებით შეიძლება სოციალისტური ეკონომიკის  
 დაჩქარებითი მშენებლობა. უკვე 1921—1925 წწ. პროდუქციის  
 წარმოებამ მრეწველობის ზოგიერთ დარგში ომამდელ (1913 წ.)  
 დონეს გადააჭარბა. X მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობაში  
 1925 წ. საშუალო თვიური პროდუქტია 8,9%-ით აღმატებოდა  
 1913 წ. დონეს, მრეწველობის სხვა დარგების (თამბაქოს, ტყავ-  
 ეტხსაცმლის, პოლიგრაფიულის, სპირტსახდელის, ზეთსახდელის,  
 და სხვა) ეკონომიკური მაჩვენებლები კი საგრძნობლად მიუახლოვ-  
 ია ომამდელ დონეს. მაგალითად, ცენზიანი მრეწველობის პრო-  
 დუქტებში (1926/27 წ. ფასებით) 1923/24 წ. შეადგინა 27 მლნ მა-  
 ნეთი, 1927/28 წ. კი — 74,3 მლნ მან. ნაცვლად 28,7 მლნ მან.-ისა  
 1913 წელს. ფაქტიურად აღდგენითი პერიოდი საქართველოს სა-  
 ხალხო მეურნეობაში რამდენადმე აღრგ. (1925/26 წლისათვის) დამ-  
 თავრდა, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში, მაგრამ ომამდელი  
 დონე ზომ ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნის დო-  
 ნე იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ მრეწველობიდან შემოსავლის  
 ხვედრიწონა საერთო-სახალხო შემოსავალში 1913 წელს ძლივს  
 აღწევდა 25%-ს, 1923/24 წლისათვის ის კიდევ უფრო საგრძნობ-  
 ლად შემცირდა და შეადგენდა 20%-ზე ნაკლებს. ამან განაპირო-  
 ბა ის, რომ სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო, ფერხ-  
 ლებოდა საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითა-  
 რება. საჭირო გახდა მისი საფუძვლიანი რეკონსტრუქტია, ახალ  
 სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა.

X მრეწველური წარმოების შედარებით სუსტი მდგომარეობის  
 შედეგად საბჭოთა ხელისუფლება გარკვეულ ფინანსურ სიძნე-

ლევებს ხვდებოდა. მრეწველობაში დაგროვების ტემპები ძალიან  
ნელი იყო, საწარმოები ვერ იძლეოდნენ გეგმით განსაზღვრულ  
მოგებას, რადგან შრომის მწარმოებლურობა არ იყო მაღალ დონეზე,  
პირიქით შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად  
ჩამორჩებოდა ხელფასის ზრდის ტემპებს. საჭირო იყო მთელი რიგი  
ლონისძიებების გატარება, რათა გამოსწორებულიყო სახალხო მეურნეობის  
და კერძოდ მრეწველობის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც საქართველოს  
მთავრობამ წარმატებით განახორციელა.

ყოველმხრივ მზადდებოდა ეკონომიკური საფუძვლები ინდუსტრიალიზაციის  
და საქართველოს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის განსახორციელებლად.  
ამისათვის საბჭოთა საქართველოს კჰონდა საჭირო სასარგებლო წიაღისეული,  
სოფლისმეურნეობრივ ნედლეულის ბაზა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, მრავალსახეობის  
ლითონური და არალითონური წიაღისეული, საშენი მასალები და სხვა,  
რომლის გამოყენება სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის,  
მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის შეუძლებელი იყო  
ინდუსტრიის განვითარების გარეშე.

✗ პარტიის XIV ყრილობამ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის  
გეზი აიღო. საკუთარი შიში ინდუსტრიის გარეშე, ჩვენი ქვეყანა  
ვერ შეძლებდა სოციალიზმის მტკიცე მატერიალურ ტექნიკური  
ბაზის შექმნას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და  
ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. საქართველოს  
მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად  
ჩაება ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების ცხოვრებაში გასატარებლად.  
საკითხი საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის  
აუცილებლობის შესახებ საფუძვლიანად იყო განხილული საქართველოს  
კომპარტიის მეოთხე ყრილობაზე, რომელიც შედგა საქართველოში  
საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ხუთი წლის შემდეგ. ✗

✗ საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარება განისაზღვრებოდა  
მთელი საბჭოთა მრეწველობის ცალკეულ ეკონომიკურ რაიონებში,  
მხარეებსა და რესპუბლიკებში სოციალისტური წარმოების გაადგილებისა  
და სპეციალიზაციის, ინდუსტრიული კერების შექმნისა და ნედლეულის  
წყაროებთან მრეწველობის მიახლოების ამოცანებით. სოციალისტურმა  
ინდუსტრიალიზაციამ და სახალხო

მეურნეობის რეკონსტრუქციამ ახალი ამოცანები დასახა საქართველოს ეკონომიკური განვითარების წინაშე. მტკიცე გეზი იყო აღებული სოციალისტური მრეწველობის კერების შესაქმნელად, დაიწყო ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა; მათი აღჭურვა ახალი მანქანებით და დანადგარებით. რესპუბლიკაში გაიშალა ელექტროსადგურების, ქვანახშირისა და მანგანუმის მრეწველობის საწარმოების მშენებლობა, ვითარდებოდა მსუბუქი და კვების მრეწვლობა. X

X სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შედგენილი იყო ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად; ითვალისწინებდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპებს, უზრუნველყოფდა საქართველოში სოციალისტური მშენებლობის გაშლას. პირველ ხუთწლედში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დაბანდებული იყო 121 მილიონი მანეთი, რაც 4,5-ჯერ აღემატებოდა 1921—1928 წწ. ანუ წინა რვა წლის კაპიტალურ დაბანდებებს.

მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე შეიძლებოდა ეკონომიკის მრავალწობიანობის ლიკვიდაცია, ფეოდალური და ბურჟუაზიული გადმონაშთების მოსპობა ეკონომიკაში. 1930 წლისათვის საქართველოს მსხვილი მრეწველობიდან მთლიანად განიდევნა კერძო კაპიტალი. 1928 წელს შეწყვიტა თავისი მოქმედება ამერიკულმა საკონცესიო კომპანიამ მანგანუმის მრეწველობაში და ამით დაამთავრა თავისი არსებობა სახელმწიფო კაპიტალისტურმა წყობამაც.

1931 წლის თებერვალში შესრულდა საქართველოს საბჭოთახელისუფლების დამყარების 10 წლისთავი. საბჭოთა საქართველოს არსებობის ამ პირველი ათწლეულის მანძილზე არამარტო აღდგა სახალხო მეურნეობის ომისწინა დონე, არამედ დიდი წარმატება იყო მოპოვებული ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და საერთო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. აღნიშნული დროისათვის საქართველოს მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია (1926/27 წ. უცვლელი ფასებით) 9-ჯერ აღემატებოდა 1923/24 წლის დონეს და 1913 წელთან შედარებით 5,5-ჯერ გაიზარდა. განვილილ პერიოდში, განსაკუთრებით



1928—1932 წწ., როდესაც ფართოდ გაიშალა ახალი სამრეწველო მშენებლობა, მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა საქართველოს თანამედროვე მსხვილ მრავალდარგოვან ინდუსტრიულ წარმოებას. ინტენსიურად განვითარდა სათბობ-ენერგეტიკული და წიაღისეულის მომპოვებელ-დამმუშავებელი მრეწველობა, შეიქმნა მძლავრი ნავთობგადამმუშავებელი წარმოება, განხორციელდა ლითონდამმუშავებელი მრეწველობის რეკონსტრუქცია და წარმოიქმნა მანქანათმშენებლობა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა ვადამდე ადრე შესრულდა. ხუთწლედის დამლევს საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქციამ 3,6-ჯერ, მსხვილი მრეწველობის პროდუქციამ კი 9,5-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. საქართველოში მრეწველური წარმოება ვითარდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში.

კიდევ მეტი წარმატება მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა მეორე ხუთწლედში.

პირველი და მეორე ხუთწლედის შესრულების შედეგად დიდა მუშაობა ჩატარდა ქვეყნის ელექტროფიკაციის ხაზით. დამთავრდა საბჭოთა კავშირში იმ დროისათვის ერთ-ერთი პირველი მსხვილი ელექტროსადგურის — ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა (1927 წ.), ამუშავდა რიონის (1933 წ.). ამ სადგურის ამოქმედების შემდეგ სწრაფი ტემპით წავიდა წინ საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ქალაქ ქუთაისის განვითარება. გაიშალა ამიერკავკასიის რკინიგზების ელექტროფიკაცია. აიგო აქარისწყლის ჰიდროელექტროსადგური (1937 წ.) და სხვ. გაიზარდა არა მხოლოდ ელექტროენერჯის გამომუშავება და მოხმარება საერთოდ, არამედ ელექტროენერჯის წარმოების ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე.

რესპუბლიკაში განვითარდა ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობა. პირველ ხუთწლედში აშენდა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, ფართოდ განვითარდა ბარიტის, მაგნეტიტური ქვიშის, გუმბრინისა და ზოგიერთი სხვა არამადნეული წიაღისეულის მომპოვებელ-დამმუშავებელი მრეწველობა.

რევოლუციამდელ საქართველოში იყო მხოლოდ რამდენიმე ლითონდამმუშავებელი სახელოსნო და სარემონტო საწარმო, საბ-



მთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა თანამედროვე მანქანათმშენებელი მრეწველობა.

საქართველოს ჩარხმშენებლობის პირშია კიროვის სახელობის თბილისის ქარხანა. ერთდროულად შეიქმნა სადაზგო სხმულის ქარხანა „ცენტროლიტი“. საქართველოს მანქანათმშენებლობის მიწვევად უნდა ჩაითვალოს ქუთაისის სამთო-საშახტო გაწყობილობის ქარხნის აშენება. მის მიერ გამოშვებული საშახტო ელექტრომავლები, ტრანსპორტერები და სხვ. მანქანები და მექანიზმები გამოყენებულია საბჭოთა კავშირის ქვანახშირის სხვადასხვა ადგილებში.

გაიზარდა, გაფართოვდა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა მანგანუმის, ქვანახშირისა და მძიმე მრეწველობის სხვა დარგები.

ოთქმის ხელახლა შეიქმნა მსუბუქი და კვების მსხვილი მრეწველობა. მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოს წარმოადგენდა 1929 წელს ამუშევებული თბილისის მაუდის ფაბრიკა. მომდევნო წლებში გაიშალა ტყავ-ფეხსაცმლის, აბრეშუმის მრეწველობის, სამკერვალო ფაბრიკების მშენებლობა.

საქართველოს რიგ რაიონში აშენდა ხე-ტყის სახერხი ქარხნები. განვითარდა ხის დამამუშავებელი წარმოება. გაფართოვდა და ტექნიკურად ხელახლა აღიჭურვა თბილისის ფირფიცრის ქარხანა. აშენდა ბათუმის ფირფიცრის ქარხანა, მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი, ახმეტის ხე-ტყის ქარხანა, ზუგდიდში შეიქმნა მსხვილი ქაღალდ-ცელულოზის კომბინატი და სხვ.

მხოლოდ 10—12 წლის განმავლობაში (1926—1937 წწ.) საბჭოთა წყობილებამ უზრუნველყო საქართველოს საუკუნეობრივი ინდუსტრიული ჩამორჩენილობის მოსპობა.

20 წლის მანძილზე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დიდ სამამულო ომამდე, საქართველოში აშენდა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მრავალი ასეული ახალი მსხვილი საწარმო. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, ზოლო სახალხო მეურნეობაში მრეწველობის წამყვანი როლის გაძლიერებამ საქართველო გადააქცია წარსულში მეფის რუსეთის განაპირა, ნედლეულის მიწოდებელი ქვეყნიდან მრეწველურ რესპუბლიკად.

საქართველოს მრეწველობის პროდუქციის ხვედრიწონის ზრდა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქტში (%-ით).

საქართველოს  
სტატისტიკის  
სამსახური

	1909	1925	1927	1928	1931	1932	1933	1937
მრეწველობა	10	28	32	36	46	58	60	75
სოფლის მეურნეობა	90	72	68	64	54	42	40	25

✓ საქართველოს მეურნეობრივი განვითარება წარმართებოდა მრეწველობის პროდუქციის ხვედრიწონის განუხრელი ზრდით რესპუბლიკის ეკონომიკაში, რის შედეგად, მოისპო წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული დისპროპორციები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის. უკვე 1940 წ. მსხვილი მრეწველობის მთლიანმა პროდუქტმა გადააჭარბა 1913 წლის დონეს თითქმის 27-ჯერ. მთელი ეს პროდუქტია გამოვიდა საბჭოთა პერიოდში აშენებულ ან მთლიანად რეკონსტრუირებულ საწარმოებში. მრეწველობის ახალი დარგების, მანქანათმშენებლობის, კონსერვების, ტრიკოტაჟის, ქიმიურ-ფარმაცევტულ ნაკეთობათა, შამპანური ღვინის წარმოების შექმნასთან ერთად წარმოიშვა ახალი სამრეწველო რაიონები. ✕

✕ ახალი ინდუსტრიული კერები შეიქმნა აჭარის ასსრ-ში, აფხაზეთის ასსრ-ში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში გადიდდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსთა მუშაკებისა და მოსამსახურეების რიცხვი. ომამდელი ხუთწლეულების მანძილზე აღიზარდა მეტალურგთა, მანქანათმშენებელთა, მემალაროეთა შესანიშნავი კადრები. საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის. 1939 წელს რესპუბლიკის მსხვილ მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 1927/1928 წელთან შედარებით 3,6-ჯერ, ხოლო 1913 წელთან შედარებით კი — 5-ჯერ.

ამრიგად, საქართველოს ისტორიაში უმაგალითო ტემპით განვითარდა თანამედროვე მსხვილი მანქანური ინდუსტრია, რომელიც მრეწველობის თითქმის ყველა სახეობას მოიცავდა. გამოხდა ძირითადი თვისებრივი ცვლილებები რესპუბლიკის ეკონომიკაში სო-

ციალიზმის სასარგებლოდ, რამაც განაპირობა მისი შემდგომი აღმაცლობა. საბჭოთა საქართველოში შეიქმნა მრეწველობის 30-მდე ახალი დარგი. საქართველო გადაიქცა ეკონომიკურად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ მაღალგანვითარებულ და მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. აქ შეიქმნა მრეწველობის ისეთი მაღალტექნიკური დარგები, როგორცაა მანქანათმშენებლობა, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა, რომლებმაც შეცვალეს რესპუბლიკის ინდუსტრიული სახე და მაღალ დონეზე აიყვანეს საქართველოს მრეწველობის საწარმოო-ტექნიკური კულტურა.

აღსანიშნავია, რომ მრეწველობის ძირითადი დარგების, ელექტროენერჯის, ნავთობგადამუშავების, ცემენტის, შავი მეტალურგიის, აბრეშუმის, შალის, სამკერვალო, ფეხსაცმლის, შაქრის, კონსერვის და ჩაის პროდუქციის 90—100%-ს აწარმოებდნენ ახალი მრეწველური საწარმოები, რომლებიც აშენდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ინდუსტრიულ მშენებლობას თან ახლდა ტრანსპორტის ქსელის განვითარება და გაფართოება, რკინიგზების სიგრძე 1940 წლისათვის 1913 წელთან შედარებით 56 პროცენტით გადიდდა. რკინიგზის ტექნიკური გადაიარაღებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ელექტროფიკაციას. 1932 წელს საქართველოში — პირველად საბჭოთა კავშირის მაგისტრალურ გზაზე — დაინერგა ელექტრული წევა. 1940 წლისათვის ელექტროფიცირებული იყო რკინიგზის 275 კილომეტრი, ანუ მაგისტრალური რკინიგზის საერთო სიგრძის თითქმის ორი მესამედი. რესპუბლიკის რკინიგზების ელექტროფიკაცია შესაძლებელი გახდა რსფსრ-ის მანქანათმშენებლობის მრეწველობის შექმნისა და განვითარების საფუძველზე, რომელმაც აითვისა მძლავრი ელექტრომავლელების წარმოება.

ვითარდება ავტომობილის ტრანსპორტი. 1940 წელს ავტომანქანათა რაოდენობა რესპუბლიკაში 1925 წელთან შედარებით გადიდდა თითქმის 22-ჯერ, ხოლო სატვირთო მანქანებისა — 33-ჯერ.

საავტომობილო გზებმა ერთმანეთს დაუკავშირა მაღალმთიანი რაიონები, რომლებიც წინათ უგზოობის გამო მოწყვეტილი იყვნენ რესპუბლიკის ქალაქებს. კეთილმოწყობილი გზები მივიდა მაღალმთიან კურორტებთან.

1931 წლიდან საქართველოში დაიწყო ავიოტრანსპორტის გან-

ვითარება, მოგვარდა ავიოკავშირი მოსკოვთან და სსრკ კავშირს სხვა ქალაქებთან, ჩვენი რესპუბლიკის მრავალ ქალაქთან და რიგონულ ცენტრთან.

დიდი სამამულო ომის ვითარებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა საქართველოს მრეწველობაში. შეიცვალა სახალხო მეურნეობის დარგთა განვითარების პროპორციები. სამამულო ომის ცალკეული წლების მანძილზე საბჭოთა საქართველო ფრონტისპირა რაიონს წარმოადგენდა და შეწყვეტილი იყო მისი, ისე როგორც ამიერკავკასიის სხვა მოძმე რესპუბლიკების, პირდაპირი სარკინოგზო ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ინდუსტრიულ რაიონებთან. ამიტომ საჭირო გახდა არსებული წარმოების საშუალებების და შრომითი რესურსების გადანაწილება მრეწველობის იმ დარგთა წარმოების გაშლისათვის, რომლებიც ფრონტის უშუალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფდა. ასე, მაგალითად, სამამულო ომის წლებში (1940-1945 წწ.) სავრძნობლად შემცირდა ლითონმკრელი ჩარხების გამოშვება, ცემენტისა, აგურის და სხვა პროდუქციის წარმოება. სამაგიეროდ ფოლადის წარმოება გაიზარდა 2-ჯერ, ბამბეულქსოვილების — 2-ჯერ და მეტად, გაიზარდა აგრეთვე ნახშირბოლოვანი მოპოვება, კვების მრეწველობის პროდუქციის (ხორცის, კარაქის, კონსერვების) წარმოება და სხვ. 1941 წ. ბოლოდან საქართველო მრეწველობამ დაიწყო სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე ნაღვების, მტყორცნების, ტყვიამფრქვევების, ზარბაზნების, თოფების, ასევე ფეთქებელი მასალის და სხვა სახეობის საომარი აღჭურვილობის მასობრივი გამოშვება.

✓ აღსანიშნავია, რომ საქართველოს მრეწველობისათვის საომარი ვითარებაში დამახასიათებელი იყო არა მარტო იმ დარგთა მრეწველობის გაშლა, რომლებიც არმიის მომარაგებას უზრუნველყოფდნენ საომარი აღჭურვილობით, არამედ ახალი მშენებლობის გაშლა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1944 წ. ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე, აღდგა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის — საქართველოს და ამიერკავკასიის მძიმე მრეწველობის მნიშვნელოვანი კერის — მშენებლობა. ვარდა ამისა, რესპუბლიკაში, ომის წლებში მუშაობა გაშალა რიგმა მნიშვნელოვანმა მრეწ



ველურმა საწარმომ, რომელიც ევაკუირებული იყო საბჭოთა შიშის სხვა რაიონებიდან. წომის დამთავრებამდე განახლდა ხრამკელის და ლაიწყო ჩითახევექსის, ორი მსხვილი თბოელექტროსადგურის, ნახშირის ათამდე ახალი შახტის, თბილისის ლოკომოტივმშენებელი, ქუთაისის სამთო-საშახტო მანქანათმშენებელი და ავტომშენებელი ქარხნების და სხვა ინდუსტრიულ საწარმოთა მშენებლობა. დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოში აშენდა და ამუშავდა თბილისის თბოელექტროცენტრალი, ჩაის 4 ფაბრიკა, ავეჯის ფაბრიკა და სხვ. ამავე პერიოდში ჩატარებული გეოლოგიურ-ძიებითი სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა ჩვენი რესპუბლიკის მინერალური რესურსების მარაგი. ასე, მაგალითად, 1941—1944 წწ. წიაღისეულთა ყველა კატეგორიის მარაგი გაიზარდა: ნახშირის — 129%-ით, სპილენძის დაახლოებით 5-ჯერ, ტყვიის — 9-ჯერ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მეურნეობაში ომის წლებში რამდენადმე შემცირდა კაპიტალური დაბანდებები, მრეწველურ მშენებლობაზე კაპიტალურ დაბანდებებს მაინც საგრძნობლად დიდი ხვედრიწონა ჰქონდა.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში ყველა კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობა (შესადარ ფასებში) 1941—1945 წწ. შეადგენდა 219 მლნ მან., ეს თითქმის 75 პროცენტს შეადგენდა იმისა, რამდენიც დაბანდებული იყო მეორე ხუთწლეულში. მრეწველური წარმოების სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა-განვითარებამ განსაზღვრა საქართველოს სსრ მრეწველობის პროდუქციის სტრუქტურაც. აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა სამხედრო მრეწველობის ან მასთან დაკავშირებულ დარგთა პროდუქცია. ასე, მაგალითად, საქართველოს მძიმე მრეწველობის დარგთა პროდუქციის 10 სახეობიდან მარტო ორი სახეობის (ფოლადის, ნახშირის მოპოვება), მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგთა პროდუქციის 20 სახეობიდან მარტო ოთხი სახეობის (ბამბეულის ქსოვილები, ხორცი, კონსერვები, ზეთი) წარმოება გაიზარდა. დანარჩენი სახეობის პროდუქციის წარმოება კი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1940 წ.

ამრიგად, ომის წლებში საქართველოს მრეწველობის განვითარება მიმდინარეობდა სოციალისტური აღწარმოების კანონზომიერების მიხედვით, მაგრამ აღნიშნული კანონზომიერების თავისებუ-



რებას ომამდელ პერიოდთან შედარებით წარმოდგენდა ზოგადი წყვეტილი, რომელიც შეიმჩნეოდა საქართველოს მრეწველობაში 1941—1942 წწ. შემდგომ წლებში განვითარება წარიმართა სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების საფუძველზე. შეუწყვეტილი გაფართოებული აღწარმოება საქართველოს, ისე როგორც სსრკ მრეწველობაში ხორციელდებოდა იმ დარგებში, რომელნიც უშუალოდ უკავშირდებოდნენ ფრონტის სამხედრო შეიარაღებას, აღჭურვილობით და სანოვაგით უზრუნველყოფას.

ომის ვითარებამ გამოიწვია სერიოზული რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მუშახელის განაწილებაში. ომში გაწვეული მუშების ნაცვლად მრეწველობაში მასობრივად იქნა ჩაბმული მოზარდები და ქალები. საწარმოებში სამუშაოდ მომზადებული მუშაძალის ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ სახელმწიფო შრომითი რეზერვები და მობილიზაციის სახით მრეწველობაში ჩაბმული დიასახლისები. ამრიგად, მუშაძალის ძირითადი შემადგენლობა შეცვლილი იყო ახალი კადრებით, რომლებიც მხოლოდ ომის წლებში მოვიდნენ წარმოებაში. გარდა ამისა ათასობით პენსიონერი დაუბრუნდა მრეწველურ საწარმოებს, სადაც მათ არამარტო განაგრძეს მუშაობა, არამედ დიდი დახმარებაც გაუწიეს ახალგაზრდა კადრებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და წარმოების ტექნიკის ათვისების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ომის წლებში მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი რამდენადმე შემცირდა, მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა 10 ათასი კაცით გაიზარდა ომის წლებში (1941—1945 წწ.) შრომის რეზერვების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს სისტემაში მოამზადეს და გამოუშვეს 27 ათასამდე ახალგაზრდა კვალიფიცირებული მუშა-მნიშვნელოვნად ამაღლდა ქალების ხვედრიწონა სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში და კერძოდ მრეწველობაში დასაქმებულთა შორის. (იხ. ცხრილი 1).

როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით მაღალი ხვედრიწონა ჰქონდათ ქალებს მრეწველობაში დასაქმებულ მუშებს შორის, სადაც ისინი მუშაობდნენ საერთო რიცხვის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ.

ამრიგად, ომში მობილიზებული მუშების შესაცვლელად საქართველოს მრეწველობაში 1941—1945 წწ. მაქსიმალურად ჩაებნენ

საქართველოს  
საბჭოთაო  
თავისუფლება

ქალები და მოზარდები, რამაც სერიოზული თვისებრივი ცვლილებები შეიტანა დასაქმებულ მუშათა საერთო სტრუქტურაში. ომის წლებში განსაკუთრებულად და მასობრივად გამოძვლავნდა საქართველოს, ისე როგორც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ახალი თვისებრივი მხარეები. მათ წარმოებრივ საქმიანობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში პირველ

ცხრა 1

მუშა-მოსამსახურე ქალების ზვედრიწონა სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში დასაქმებულთა შორის სამამულო ომის წლებში (სათანადო წლის I.X-სათვის, %-ობით)

დარგების დასახელება	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
მრეწველობა	38,3	42,5	40,3	40,4	41,2
მათ შორის:					
მუშები (შემავალი მრეწველურ წარმოებრივი პერსონალის შემადგენლობაში)	47,6	50,8	43,5	45,2	44,2
მშენებლობაზე	16,6	17,7	13,8	11,1	10,1
რკინიგზის ტრანსპორტზე	—	—	22,5	21,3	20,3
დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე	24,4	37,0	24,8	40,9	33,3

პლანზეა ფრონტის ამოცანები, მტრის საბოლოოდ განადგურება, ამ ამოცანას. დაექვემდებარა ყველაფერი. მუშათა კლასის პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები ემსახურებოდა სამხედრო ეკონომიკის ძირითადი ამოცანის შესრულებას, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგით — „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“. შრომითი აღმავლობის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნა მრეწველობისადმი ფრონტის დავალებათა წარმატებით შესრულება.

საქართველოს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის შრომითმა ერთუზიანობამ კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა ომის პერიოდის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლაში, რომელიც დაიწყო 1942 წ. და რომელმაც რესპუბლიკის ყვე-

2. ა. გუნია





ლა მრეწველურ და სახალხო მეურნეობის სხვა დარგთა საწარმოს კოლექტივები მოიცვა.

საბჭოთა საქართველოს ფაბრიკებისა და ქარხნების, მაღაროების, ელექტროსადგურების და სხვა საწარმოების მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან ერთად ჩაბმული იყო საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და არაერთხელ მოუპოვებიათ საპატიო ადგილი და საკავშირო პრემიები.

მრეწველურ საწარმოებში ფართოდ გავრცელდა ახალგაზრდული კომკავშირული საფრონტო ბრიგადები. მარტო თბილისში 1944 წ. აპრილისათვის მათმა რაოდენობამ 400-ს მიაღწია. განსაკუთრებულად ფართო გავრცელება ჰპოვა ომის წლებში შეჯიბრებამ პროფესიების მიხედვით, მრავალდაზოგვანთა მოძრაობამ — სოციალისტური შეჯიბრების ახალმა ფორმებმა.

საქართველოს მუშათა კლასის შეგნების ზრდის ნათელი გამოხატულება იყო შემოქმედებითი ინიციატივა, რომელიც გამოამჟღავნა მან დიდი სამამულო ომის წლებში. მუშათა კლასის შემოქმედებითი შრომის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქალებმა და მუშა ახალგაზრდობამ, ისინი მამაცურად იტანდნენ ომის შედეგად გამოწვეულ სიძნელებებს, არაერთხელ გამოსულან წარმოების და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ინიციატორებად.

ამრიგად, ომის წლებში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. რესპუბლიკის მრეწველობის ეს ცვლილებები გამოიხატა მთლიანი პროდუქციის ფიზიკური მოცულობის შემცირებაში. 1945 წელს 1940 წელთან შედარებით აღნიშნული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა 80%-ს. ამავდროს შესამჩნევად გაიზარდა მრეწველობის წარმოებრივი აპარატი, რომელიც ფრონტის უშუალო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, ახალ მრეწველურ კერებს ემსახურებოდა. მაღალკვალიფიცირებული ძირითადი მუშათა კადრების შენარჩუნებასთან ერთად საგრძნობლად განახლდა მრეწველური წარმოების მუშათა შემადგენლობა, ამაღლდა მათი ორგანიზებულობისა და შეგნების დონე.

საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ომის უკანასკნელ წლებში მზადდებოდა პირობები სახალხო მეურნეო-

ბის, კერძოდ, მრეწველობის ომის შემდგომი დაჩქარებული აღდგენა-აღმავლობისათვის.



ძლევამოსილად დამთავრდა დიდი სამამულო ომი. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთავარ ამოცანას შეადგენდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ომამდელი დონის აღდგენა და შემდეგ ამ დონის მნიშვნელოვანი გადაჭარბება. სსრ კავშირის ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად, როგორც საერთოდ მოკავშირე რესპუბლიკების, ისე საბჭოთა საქართველოს მიერ შედგენილი იყო ახალი ხუთწლიანი გეგმა.

ყველგან — რესპუბლიკის ყველა კუთხეში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მაღაროებსა და მაღალმთიან საძოვრებზე — გაჩაღდა შრომა. სწრაფად ვითარდებოდა ომით მიყენებულ კრილობებს, აბოლდნენ ახალი ქარხნის მილები, სულ მალე მიიწევენ ახალ შენობათა ხარაჩოები. საქართველოს მრეწველობამ ომის შემდგომი გარდაქმნა დაამთავრა 1946 წელს, ხოლო უკვე 1947 წელს გადააჭარბა მრეწველური პროდუქციის ომამდელ გამოშვებას. ომის შემდგომი პირველი ხუთწლიანი მომდევნო წლებში მრეწველობის განვითარების ტემპები კიდევ უფრო გაიზარდა, 1949 წლის მეოთხე კვარტალში მიაღწიეს ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დადგენილ მრეწველური წარმოების დონეს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ომის შემდგომი 1946—1950 წლების აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა საერთოდ წარმატებით, ხოლო რიგი გეგმური დავალება გადაჭარბებით შესრულდა.

რესპუბლიკამ 1950 წლისათვის მნიშვნელოვანი გზა განვლო მრეწველობის იმ დარგების განვითარებაში, რომლებიც მძიმე ინდუსტრიას მიეკუთვნებიან. ამ დროისათვის ომამდელ პერიოდთან (1940 წ.) შედარებით უფრო მეტი იყო წარმოებული მძიმე მრეწველობის დარგების ისეთი პროდუქცია, როგორცაა: ქვანახშირი, ლითონის დამამუშავებელი რთული დაზგები, ცემენტი, ელექ-

ტროენერგია, ქვანახშირი. აღნიშნული პერიოდისათვის გაიზარდა საქართველოს სახალხო მეურნეობის უძველესი დარგის — მანგანუმის მრეწველობის სასაქონლო პროდუქცია. მრეწველობის ნაკეთობათა შორის დიდი ადგილი დაიჭირა მანქანათმშენებელი ქარხნების პროდუქციამ, კერძოდ საშახტო მოწყობილობამ და სხვადასხვა რთულმა მანქანამ. მანქანათმშენებლობის მნიშვნელოვანმა განვითარებამ საშუალება მისცა საქართველოს უშუალო მონაწილეობა მიეღო ჩვენი ქვეყნის უდიდეს მშენებლობათა დახმარების საქმეში. რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის ქარხნები ერთ-ერთი პირველთაგანი იყვნენ, რომლებმაც შეასრულეს კუიბიშევისა და სტალინგრადის ელექტროსადგურების მშენებლობის შეკვეთები. საერთოდ საქართველო ამ პერიოდში სულ უფრო დიდი რაოდენობით და ვადაზე ადრე უზზავნიდა აღნიშნულ მშენებლობებს სხვადასხვა გაწყობილობას გვირაბებისათვის, არტეზიული კებისათვის, ფოლადს, ამწეებს, დაზგებსა და ხელსაწყოებს, პლასტიკურ მასას, ბიტუმსა და სხვანაწარმს. ამასთანავე ერთად საქართველოდან გაიგზავნა ბევრი მუშაკი, განსაკუთრებით ინჟინერ-მშენებლები, გამოცდილი სპეციალისტები და ახალგაზრდა ენთუზიანისტები, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა. აღსანიშნავია, რომ 1950 წ. გამოდნობილ იქნა და გაიგლინა რამდენიმე ათასი ტონა ქართული საბჭოური ფოლადი. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ საბჭოთა საქართველო მტკიცედ დაადგა მძიმე მრეწველობის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დარგის განვითარების გზას.

საქართველოს სსრ ვადამდე შეასრულა აგრეთვე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი. რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა მეხუთე ხუთწლეულში გაიზარდა 70 პროცენტით. ამავე წლებში ამუშავდა 150 ახალი საწარმო. მრეწველურ საწარმოებში მუშაკთა (მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალი) რაოდენობა გაიზარდა 23 პროცენტით, ხოლო შრომის მწარმოებლურობა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით — 36 პროცენტით. გადიდდა ფართო მოხმარების და სასურსათო საქონლის წარმოება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ზოგიერთმა დარგმა მოიპოვა საერთო-საკავშირო მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, საქართველოს სამთამადნო და გადამუშავებითი მრეწველობა ამარა-

გებს საბჭოთა კავშირის მრეწველობას მანგანუმით, ფეროშენადნობით, ანდუზიტით, დიატომიტით, ტალკით, ბარიტით, გუმბრინით და სხვა სახეობის არამადნეული წიაღისეულით, მთლიანი კიშპული მილებით და სხვ.

საერთო-საკავშირო მეურნეობრივი ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს მანქანათმშენებელი მრეწველობა. იგი აწოდებს მოძმე რესპუბლიკებს ავტომანქანებს, სახარატო ჩარხებს, საფეიქრო და მეღვინეობის გაწყობილობას, რადიოტექნიკურ ნაწარმს, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს, ელექტრომაველებს და სხვა სახეობის იარაღ-მანქანებს.

საქართველოს ქვანახშირი იგზავნება სომხეთსა და აზერბაიჯანში. აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ფეხსაცმელი, წინდები, და ბამბულის ნართი იგზავნება ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინისა და შუა აზიის რესპუბლიკების სხვადასხვა რაიონში. საბჭოთა კავშირის ავეჯეულობის საწარმოებს საქართველო აწვდის ძვირფასი ჯიშის ხის ფირფიცარს, ბზის, ბამბუკის და სხვა მასალას.

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკები და სოციალისტური ქვეყნები ფართოდ იყენებენ საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის პროდუქციას, მაგალითად, ლობოტის, სვანეთის, შროშისა და სალიეთის მარმარილოს, რომლითაც მოპირკეთებულია მოსკოვისა და ლენინგრადის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სადგურები, მოსკოვის უნივერსიტეტის შენობა ლენინის მთებზე, კულტურისა და მეცნიერების სასახლე ვარშავაში და სხვ.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს მრეწველური წარმოება მნიშვნელოვანწილად შეზღუდული იყო ადგილობრივი ბაზრით, ახლა მისი პროდუქცია იგზავნება ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებად სახელმწიფოებში და კაპიტალისტური სამყაროს მრავალ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში.

რევოლუციამდე, როგორც წესი, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაჰქონდათ მოხმარების საგნები, ე. წ. საარსებო პროდუქტები (ძირითადად სოფლის მეურნეობის და ნაწილობრივ კვების მრეწველობის პროდუქცია), ნედლი მასალა, ნახევარფაბრიკატები, ცხოველები, წვრილი სარეწების და ნაწილობრივ მძიმე, მოპოვებითი მრეწველობის პროდუქცია. ახლა საბჭოთა საქართველო-



დან როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე საზღვარგარეთ იგზავნება ძირითადად გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, მათ შორის სატვირთო ავტომობილები, უნიკალური, მსოფლიოში პირველად საქართველოში შექმნილი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. კვების მრეწველობისათვის, კერძოდ ღვინის მრეწველობისათვის — სხვადასხვა მანქანა-დანადგარი, ელექტრო-მავლები, სხვადასხვა ჰიდრომეტეოროლოგიური და სხვა ხელსაწყო და მრავალი სხვა. რაც შეეხება კვების მრეწველობას, რომელიც მნიშვნელოვნად განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში და რომლის პროდუქციას რესპუბლიკის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მაღალი ხვედრიწონა აქვს (მისი პროდუქცია: „ქართული ღვინო“, კონიაკი, ჩაი და სხვა) ცნობილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

## II. საქართველოს მრეწველობის განვითარების მაჩვენებლები

საქართველოს სსრ-ის მსხვილი მრეწველობა ძირითადად შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების დროს. 1940 წლისათვის მთელი მრეწველური პროდუქცია იწარმოებოდა ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომლებიც აშენდა, ან მთლიანად რეკონსტრუირდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ჯერ კიდევ 1966 წელს საქართველოს გააჩნდა მსხვილი მრეწველობის 1700-მდე და წვრილი მრეწველობის 13.7 ათასამდე საწარმო.

1932 წლისათვის, ანუ პირველი ხუთწლედის დამლევს, რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 1913 წელთან შედარებით 3,6-ჯერ, 1940 წლისათვის კი — 10,2-ჯერ. აღნიშნულ პერიოდში უფრო ჩქარა იზრდებოდა მსხვილი მრეწველობის პროდუქცია. პირველი ხუთწლედის ბოლოს 1913 წელთან შედარებით მსხვილი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 9,5-ჯერ, 1940 წელს კი — 27-ჯერ.

საქართველოს მძიმე ინდუსტრიის ცენტრებია: თბილისი (მანქანათმშენებლობა, ლითონდამამუშავება), ქუთაისი (ავტომობილმშენებლობა, მანქანათმშენებლობა), რუსთავი (მეტალურგია, ქიმია), ტყიბული და ტყვარჩელი (ქვანახშირი), კვიათურა (მარგანცი), ზესტაფონი (ელექტრომეტალურგია), ბათუმი (ნავთობის გადამამუშავება, მანქანათმშენებლობა), კასპი (ცემენტი) და სხვ.



საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქტის 1965 წელს 1913 წელთან შედარებით გადიდდა თითქმის 56-ჯერ, 1940 წელთან შედარებით კი — 5,5-ჯერ. ამასთანავე 1965 წელს 1913 წელთან შედარებით საქართველოში ელექტროენერჯის უამომქმადევა გაიზარდა 302-ჯერ (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

მრეწველობის ზოვიერთი უნიშვნელოვანესი დარგის პროდუქტის წარმოება 1913—1970 წწ.

მრეწველობის დარგები	1913 წ.	1940 წ.	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.	1969 წ.	1970 წ.
ელექტროენერჯის გამომუშავება (მლნ კვტსათა)	20	742	1385	3702	6042	8314	8962
ქვანახშირის მოპოვება (ათასა ტონა)	70	625	1725	2850	2621	2317	2298
თუჩ-ს წარმოება (ათასი ტონა)	—	—	—	721	819	802	783
ფოლადის (ათასი ტონა)	—	0,2	77	1131	1364	1380	1411
შვედ ლათონის ნავლანის (ათასა ტონა)	—	—	20	821	995	1038	1148
ლითონმჭრელი ჩარბების (ცალი)	—	803	2481	3836	4250	3490	3439
მინერალური სასუქების (ათასი ტონა)	—	—	—	247	436	492	467
ცემენტის (ათასი ტონა)	—	119	264	1256	1375	1577	1450
სამშენებლო აგურის (მლნ ცალი)	30	91	142	348	333	363	386
სატვირთო ავტომანქანების (ცალი)	—	—	465	6060	10000	12701	14000
ბამბ-ს ქსოვილების (მლნ გრძივი მეტრი)	—	0,4	5,4	49,5	59,2	60,2	63,9
აბრეშუმის ქსოვილების (მლნ გრძივი მეტრი)	—	5,3	7,2	19,4	20,7	31,4	38,3
ბაიზის ჩაის პირველადი გადამუშავება (ათასა ტონა)	—	11,1	20,2	38,2	45,8	57,2	63,9
ყურძნის ღვინის (მლნ ღვინო-ლიტრი)	—	1,7	2,9	4,0	4,2	5,3	5,5

რესპუბლიკის ეკონომიკაში უანსაკუთრებულად ადგილი უკავია კვების მრეწველობას (ჩაის, ღვინის, თამბაქოს, კონსერვის, ეთერ-ზეთოვანთა და სხვ. წარმოებას), რაც გაპირობებულია მწარმოებ-



ლურ ძალთა გაადგილების სოციალისტური პრინციპებით და საქართველოს სპეციფიკური პირობებით.

ინდუსტრიული წარმოების ზრდის მაღალ ტემპებთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მრეწველობის უფრო რაციონალური გაადგილების მხრივ. მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტონომიური რესპუბლიკების ხვედრიწონა საქართველოს მრეწველურ წარმოებაში:

მრეწველური განვითარება ომისშემდგომ პერიოდში განუხრელი აღმავლობით ხასიათდებოდა, ეს აღმავლობა, ერთი მხრივ, მრეწველობის არსებული წარმოებული აპარატის გამოყენების გაუმჯობესების გზით, ხოლო, მეორე მხრივ, მისი გაფართოებისა და ტექნიკური სრულყოფის მეშვეობით განხორციელდა.

დიდი სამამულო ომის უკანასკნელ წლებში ფართოდ იყო გაშლილი საქართველოს სსრ მძიმე ინდუსტრიის მთელი რიგი ახალი ობიექტის მშენებლობა. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ომამდელ წლებში მრეწველობაში შექმნილი იყო მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყოველივე ამან შექმნა სათანადო პირობები მრეწველობის შემდგომი აღმავლობისა და ახალი ინდუსტრიული მშენებლობის გაძლიერებისათვის, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობდა 1946—1958 წლების განმავლობაში. კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობა მრეწველობაში (კოლმეურნეობების ჩათვლელად) შესაძარი ფასებით შეადგენდა: მეოთხე ხუთწლეულში (1946—1950 წწ.) — 326, მეხუთე ხუთწლეულში (1951—1955 წწ.) — 421 და 1956—1958 წწ. — 308 მლნ მანეთს, სულ 1946—1958 წლებში საქართველოს სახელმწიფოებრივი და კორპორაციული ორგანიზაციების (კოლმეურნეობათა ჩათვლელად) მიერ გაღებულ კაპიტალდაბანდებათა ოდენობა მრეწველობაში 1115 მლნ მანეთს აღწევდა. ომისშემდგომ პერიოდში მძიმე ინდუსტრიის დიდი ობიექტების (რუსთაის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის ავტომობილმშენებელი ქარხანა და სხვ.) მშენებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად ამაღლდა მრეწველობის წილი სახელმწიფოს მიერ გაღებულ საერთო კაპიტალდაბანდებაებში. თუ 1938—1940 წწ. იგი შეადგენდა დაახლოებით 38 პროცენტს, 1946—1958 წწ. მან თითქმის მისი ნახევარი შეადგინა.

ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოს სსრ მრეწველობის წარმოებრივი აპარატის გაფართოება და სრულყოფა რო-

გორც მეოთხე, აგრეთვე მეხუთე და მეექვსე ხუთწლედის წლის განმავლობაში.

მიუხედავად დიდმნიშვნელოვანი წარმატებებისა, ომისშემდგომი ხუთწლედებში საქართველოს სსრ ახალ ინდუსტრიულ მშენებლობას ახასიათებდა ნაკლოვანებები. მწვავედ იგრძნობოდა საშენი მასალების ნაკლებობა, ნელი ტემპით მიმდინარეობდა მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, ვერ ხერხდებოდა შენებადი ობიექტების გეგმურ ვადებში ამუშავება და სხვ. იგრძნობოდა მუშათა კვალიფიციური კადრების ნაკლებობაც. საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობამ აღნიშნა, რომ ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფდა ახალი სიმძლავრეების და საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების და მშენებლობის ღირებულების შემცირების დავალებათა შესრულებას, უშვებდა მატერიალური და ფინანსური რესურსების დაქსაქსვას მრავალმშენებლობაზე, ნელა ინერგებოდა ტიპური პროდუქტები და სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია.

სკკ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განხორციელდა ქმედითი ღონისძიებანი საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

1941—1950 წწ. მრეწველურ საწარმოთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ეს ზრდა 1941—1945 წწ. მარტოდენ წვრილი მრეწველური საწარმოების ხარჯზე ხდება, ხოლო მსხვილმრეწველურ საწარმოთა რიცხვი საგრძნობლად მცირდება. ეს გამოწვეული იყო უმთავრესად სამამულო ომის ვითარებით, მსხვილი ინდუსტრიული საწარმოები სამხედრო ყაიდაზე იქნენ გადაყვანილი, ხოლო ფართო მოხმარების საგანთა წარმოება, ძირითადად, წვრილი მრეწველობის ბაზაზე ხორციელდებოდა.

ომისშემდგომი ორი ხუთწლედის განმავლობაში მრეწველურ საწარმოთა რიცხვი საერთოდ მნიშვნელოვანი მატებით ხასიათდებოდა. ამავე დროს მსხვილი მრეწველობის საწარმოთა რიცხვი უფრო სწრაფად იზრდებოდა და შესაბამისად მალდებოდა მათა ხვედრიწონა მთელს მრეწველობაში. მეხუთე ხუთწლედის დამლევადან წვრილი მრეწველობის საწარმოთა რაოდენობა თვალსაჩინოდ მცირდება, რაც კოოპერაციული და ადგილობრივი სახელმწიფოებრივი მრეწველობის საწარმოთა განვითარებასთანაა დაკავშირებული.





1956—1957 წწ. მსხვილი მრეწველობის საწარმოთა რიცხვი რესპუბლიკაში კვლავ იზრდებოდა და 1957 წელს 9,4%-ით აღმატებოდა 1955 წლის დონეს, ხოლო 21,1%-ით — 1950 წლის შესადარ მაჩვენებლებს. 1958 წელს კი მსხვილი მრეწველობის საწარმოთა რიცხვი 1957 წლის მიმართ 86%-ს და 1955 წელთან შედარებით 94,0%-ს შეადგენდა. მსხვილი მრეწველობის საწარმოთა რიცხვის ზრდა მრეწველობის და მშენებლობის მართვის სრულყოფით აიხსნება. ამან დააჩქარა რესპუბლიკაში ინდუსტრიული წარმოების კონცენტრაციის პროცესი. როგორც ომისწინა პერიოდში, ისე 1958 წელსაც წვრილი მრეწველობის საწარმოთა უმეტესობა (თითქმის 52%) რესპუბლიკის კვების მრეწველობაზე მოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ 1955 წელს რაოდენობრივად საქართველოს სსრ მრეწველურ საწარმოთა დიდი უმრავლესობა კოოპერაციულ და კოლმეურნეობრივ საკუთრებას შეადგენდა. ამ წელს მთელი (მსხვილი და წვრილი) მრეწველობის საწარმოთა საერთო რაოდენობიდან: სახელმწიფოებრივ მრეწველობაზე — 27,2%, სარეწაო კოოპერაციაზე — 8,5%, სამომხმარებლო კოოპერაციაზე — 4,6% და კოლმეურნეობებზე — 59,7% მოდიოდა. ამავე 1955 წელს რესპუბლიკის მთელი მრეწველობის მთლიან პროდუქციაში სახელმწიფოებრივი მრეწველობის ხვედრიწონა 90,7%-ს, სარეწაო კოოპერაციის მრეწველობის — 5,4%-ს, სამომხმარებლო კოოპერაციის მრეწველობის — 2%-ს და კოლმეურნეობრივი მრეწველობის ხვედრიწონა 1,9%-ს შეადგენდა. აქედან ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფოებრივ მრეწველობას მთლიანი პროდუქციის მიხედვით კონცენტრაციის უფრო მაღალი დონე ახასიათებდა კოოპერაციულ და კოლმეურნეობრივ მრეწველობასთან შედარებით.

აღნიშნული მონაცემები ადასტურებენ, აგრეთვე, რომ კოლმეურნეობრივი მრეწველობა გაცილებით უფრო წვრილი საწარმოებითაა წარმოდგენილი სოციალისტური მრეწველობის სხვა სახეობასთან შედარებით. ამავე დროს კოლმეურნეობრივ მრეწველობას როგორც სკკპ XXII ყრილობა მიგვიითხებებს, დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისმეურნეობრივი ნედლეულის პირველადი დამუშავებისა და ზოგაერთი სახეობის საშენ მასალათა წარმოების განვითარებისათვის.



ომის შემდგომი ინდუსტრიული განვითარების შედეგად განუწყვეტლევ ფართოვდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა საქართველოს სსრ მრეწველობის წარმოებრივი აპარატი. ეს ეკონომიკური პროცესი, უპირველეს ყოვლისა, მრეწველურ-წარმოებრივი ძირითადი ფონდების ზრდით გამოიხატება. 1946/1950 წ. რესპუბლიკის მთელი მრეწველობის აღნიშნული ფონდების ღირებულებრივი ოდენობა დაახლოებით 2,2-ჯერ გაიზარდა და 1950 წელს თითქმის 3,1-ჯერ გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ამასთან მსხვილი და წვრილი ინდუსტრიული წარმოების მრეწველური წარმოებრივი ძირითადი ფონდების ზრდა ერთი და იმავე ტემპით ხასიათდებოდა. მაშასადამე, მსხვილ მრეწველობასთან ერთად ინტენსიურად გაფართოვდა წვრილი მრეწველობის წარმოებრივი აპარატი, რასაც სათანადო მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი რესურსების უკეთ გამოყენების მეშვეობით ფართო მოხმარების საგანთა წარმოების გადიდებისათვის.

მეოთხე ხუთწლედშიც მრეწველურ-წარმოებრივი ძირითადი ფონდების ზრდა გაცილებით უფრო ინტენსიური იყო მრეწველობის საწარმოთა მატებასთან შედარებით, რაც წარმოებრივი აპარატის მიხედვით საქართველოს სსრ მრეწველობის კონცენტრაციის დონის ამაღლებას ადასტურებს. ამასთან მსხვილ მრეწველობას ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიულ წარმოებაში ამ მხრივაც გადამწყვეტი ადგილი ეკავა. 1950 წელს მსხვილი მრეწველობა საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიულ საწარმოთა 9,9%-ს მოიცავდა, მასზე მთელი მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების 94,5% მოდიოდა.

მრეწველურ-წარმოებრივი ფონდების ზრდას მეხუთე ხუთწლედშიც ჰქონდა ადგილი. 1950 და 1955 წლების მონაცემებით რესპუბლიკის მთელი მრეწველობის აღნიშნული მაჩვენებლები ორჯერ და მეტად გაიზარდა, ამასთან მსხვილ მრეწველობაში იგი 2,3-ჯერ გადიდდა, 1955 წელს მსხვილი მრეწველობა საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის საწარმოთა 10,8-ს და ძირითადი წარმოებრივი ფონდების 96,2%-ს მოიცავდა.

1956—1958 წწ. საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულებრივი ოდენობა 29,9%-ით, ხოლო მსხვილი მრეწველობის ასეთივე მაჩვენებელი 31,1%-ით გაიზარდა. 1958 წელს მსხვილი მრეწველობა საქართვე-

ლოს სსრ მთელი ინდუსტრიული წარმოების საწარმოთა 10,9%-ს და ძირითადი წარმოებრივი ფონდების 97,4%-ს მოიცავდა. ამასთან, თოდ 1956—1958 წწ. მრეწველურ-წარმოებრივი ფონდების მიხედვით აღვილი ჰქონდა მსხვილი მრეწველობის კონცენტრაციის დონის შემდგომ ამაღლებას.

ამრიგად, დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სსრ მრეწველობის წარმოებრივი აპარატი განუწყვეტელი ზრდა-სრულყოფით ხასიათდებოდა. 1959 წლის დამდევისათვის 1941 წლის დამდევთან შედარებით საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულება თითქმის 8-ჯერ გაიზარდა. კიდევ უფრო ინტენსიური მატებით ხასიათდებოდა მსხვილი მრეწველობის შესატყვისი მაჩვენებელი. იმავე წლების მონაცემებით საქართველოს მსხვილი მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ოდენობა 8,2-ჯერ გადიდა.

1950—1957 წწ. მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოს სსრ ძირითადი წარმოებრივი ფონდების წილი სსრ კავშირის მრეწველურ-წარმოებრივ ძირითად ფონდებში. 1950 წელს ეს მაჩვენებელი 1,5% იყო, ხოლო 1957 წელს კიდევ უფრო გადიდა (1,7%). გაიზარდა აგრეთვე მძიმე ინდუსტრიის მთავარი დარგების (შავი მეტალურგია და შავი ლითონების მადნის მოპოვება, სათბობი, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, საშენ მასალათა მრეწველობა) წილი საქართველოს სსრ ძირითად წარმოებრივ ფონდებში, 1940 წელს იგი 53,2%-ს და 1957 წელს 67,9%-ს შეადგენდა.

1958 წ. რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალო ოდენობა ერთ საწარმოზე თითქმის 8-ჯერ აღემატებოდა 1940 წლის დონეს. მსხვილი მრეწველობის საწარმოთა შესატყვისი მაჩვენებელი იმავე წლებში დაახლოებით 7,1-ჯერ გადიდა. ომის შემდგომ წლებში აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით მკვეთრად ამაღლდა საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული წარმოების კონცენტრაციის დონე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ტექნიკური პროგრესის გაძლიერებას.

ამასთან, ცხადია, რომ სოციალისტური წყობილების პირობებში მრეწველური წარმოების კონცენტრაცია და ამ საფუძველზე ტექნიკური პროგრესის გაძლიერება ძირეულად განსხვავდება კა-

პიტალისტური ქვეყნების მრეწველობის კონცენტრაციისაგან. პიტალიზმის ბატონობის პირობებში მრეწველობის კონცენტრაცია და მასთან დაკავშირებული ტექნიკური პროგრესი ნიშნავს წვრილ და საშუალო მწარმოებელთა გაჩანაგებას, მსხვილი კაპიტალისტებისა და მონოპოლისტურ გაერთიანებათა საკუთრების ზრდას და აუცილებლად იწვევს მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერებას.

სოციალისტურ საზოგადოებაში მრეწველობის კონცენტრაცია და მასთან დაკავშირებული ტექნიკური პროგრესი წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე გეგმაზომიერად მიმდინარეობს, იგი მწარმოებლურ ძალთა და სოციალისტური საკუთრების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია, ამსუბუქებს მუშათა შრომას და ხელს უწყობს მათი კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობას.

ომისშემდგომი ინტენსიური ინდუსტრიული განვითარების საფუძველზე მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები მოხდა საქართველოს სსრ მრეწველობაში. ტექნიკური პროგრესი, პირველ ყოვლისა ახალი მრეწველური მშენებლობისა და არსებული საწარმოების რეკონსტრუქციის გზით მიმდინარეობდა. ძველი მრეწველური საწარმოების რეკონსტრუქცია და ახლების მშენებლობა მოწინავე ტექნიკის შესაბამისად ხორციელდებოდა. ამიტომ მრეწველობის წარმოებრივი აპარატის ზრდა ამავე დროს გაძლიერებადი ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია. 1959 წლის დამლევისათვის რესპუბლიკის მრეწველურ-წარმოებრივი ფონდების 87,4% დიდი სამამულო ომისა და უმთავრესად ომისშემდგომი წლების განმავლობაში იყო შექმნილი.

მიუხედავად ტექნიკური პროგრესისა, საქართველოს სსრ მრეწველური წარმოების რიგ დარგსა და საწარმოში, უმთავრესად მსუბუქი და კვების მრეწველობის ხაზით, მოწინავე ტექნიკის დაწერგვა ნელი ტემპით მიმდინარეობდა. საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობამ აღნიშნა, რომ არასაკმაო ტემპით ინერგებოდა ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია; ჯგროვნად არ ხორციელდებოდა შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებანი. ყრილობამ დაავალა სათანადო ორგანიზაციებს უზრუნველყოთ ტექნიკური პროგრესის შემდგომი გაძლიერება რესპუბლიკის მრეწველობასა და მთელს სახალხო მეურნეობაში.

დიდი სამამულო ომის წლებში ძირითადად შენარჩუნებულ იქნა საქართველოს სსრ მრეწველობის მუშათა კადრები, ხოლო მძიმე ინდუსტრიის ზოგიერთ დარგში მათი რაოდენობა ვადა და კიდევ ომის შემდგომი წლების მანძილზე ინდუსტრიული მშენებლობისა და მრეწველობის წარმოებრივი აპარატის გაფართოებასთან ერთად გაიზარდა სახალხო მეურნეობის ამ დარგებში დასაქმებულთა რიცხვი, რასაც ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ადასტურებს (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

მუშებისა და მოსამსახურეთა საშუალოსობრივი რიცხვი

დარგების დასახელება	1940 წ.		1950 წ.		1958 წ.		1958 წ. %-ობით	
	ათასობით	%-ობით ქმსადმა	ათასობით	%-ობით ქმსადმა	ათასობით	%-ობით ქმსადმა	ათასობით 1940 წელსთან	1950 წელსთან
მთელს სახალხო მეურნეობაში . . . . .	454	100	629	100	823	100	166,5	130,8
მრეწველობაში (მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალი)	30	26,3	175	27,8	235	28,5	180,7	134,2
მშენებლობაში (სამშენებლო-სამონტაჟო პერსონალი)	36	7,2	61	9,7	73	8,8	202,6	97,3

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში რესპუბლიკის მრეწველობის მუშებისა და მოსამსახურეების (მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალი) საშუალოსობრივი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თვალსაჩინოდ ამალდა მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის წილი საქართველოს სახალხო ხალხო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობაში და ბევრად გადააჭარბა ომის წინა შესაღარის მაჩვენებელს.

1928 წელს, ე. ი. სამი ათეული წლის წინათ, მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ხვედრიწონა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობაში 16,4%-ს არ აღემატებოდა, ხოლო 1958 წელს იგი 28,5%-ს აღწევდა. საქართველოს სახალხო მეურნეობაში სისტემატურად იზრდებოდა მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის

რიცხვი. მიღწეობდა მათი კვალიფიკაცია, კულტურულ-ტექნიკური დონე და მატერიალური კეთილდღეობა. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხვი მთელს სახალხო მეურნეობაში გაიზარდა 494 ათასი კაციდან (1940 წ.) 863 ათას კაცამდე (1959 წ.) ანუ თითქმის ორჯერ. დასაქმებულთა რიცხოვნობის განსაკუთრებული ზრდით ხასიათდებოდა 1945—1950 წწ.; 1945—1950 წწ. მუშა-მოსამსახურეთა საშუალოსიობრივი რიცხვი გაიზარდა 431 ათასი კაციდან 623 ათას კაცამდე, ანუ 50%-ზე მეტად; 1950—1959 წწ. კი — 623 ათასი კაციდან 863 ათას კაცამდე, ანუ 38,5%-ით; მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის საშუალო წლიური ზრდა 1945—1956 წწ. შეადგენდა დაახლოებით 24 ათას კაცს ანუ 3,8%-ს.

მსხვილი მრეწველობის მუშათა საშუალოსიობრივი რიცხვის უფრო ინტენსიური გადიდების შედეგად შემცირდა წვრილი მრეწველობის წილი საქართველოს სსრ მრეწველური წარმოების მუშათა საერთო რაოდენობაში.

მნიშვნელოვნად შეიცვალა აგრეთვე საქართველოს სსრ მრეწველობის მუშათა სტრუქტურა.

ომის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მრეწველობაში დასაქმებული მუშების და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ზვედრიწონის ზრდა და მოსამსახურეების შეფარდებითი შემცირება. ასე, 1950—1957 წწ. მუშების ზვედრიწონა მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალოწლიურ რიცხვში გაიზარდა 77%-დან 79%-მდე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების — 9%-დან 10%-მდე, მოსამსახურეთა ზვედრიწონა კი შემცირდა 6%-დან 5%-მდე. ეს მრეწველურ საწარმოთა მმართველობის აპარატის სრულყოფის შედეგია, რომელსაც სისტემატურად ახორციელებდა საბჭოთა ხელისუფლება სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველ წლებში მმართველობის აპარატის სრულყოფა მიმდინარეობდა ძირითადად წარსულიდან შემორჩენილი ბიუროკრატიული აპარატის ლიკვიდაციის გზით სოციალისტური მეურნეობრივი აპარატის შექმნისათვის, შემდგომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისას, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის, სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის გამარჯვების შედეგად მმართველობის აპარატის სრულყოფა მიმდინარეობდა წარმოების რაციონალიზაციისა

და შრომითი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების გზით. მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობის მნიშვნელოვანმა ზრდამ მრეწველობაში, შექმნა პირობები მმართველობის აპარატის გამარტივებისა და მასში დასაქმებულთა შემცირებისათვის. ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სსრ მრეწველურ წარმოებას მთელი რიგი ახალი დარგი და ქვედარგი შეემატა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია თუჯის, ფოლადის და ნაგლინის წარმოება, ავტომობილმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, ბამბულის ქსოვილთა წარმოება და სხვ. ამ დარგებში, დასაქმებული მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების თითქმის მთელი კადრი ომის შემდგომ წლებში მომზადდა. მრეწველობისათვის კვალიფიციური მუშების მომზადების საქმეში დიდი როლი შეასრულეს შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებლებმა და სკოლებმა, როგორც ცნობილია, აღნიშნული სისტემა 1940 წელს შეიქმნა, ამ სისტემაში 1941—1956 წწ. 101 ათასი მუშა მომზადდა. აქედან, ფაბრიკულ-ქარხნული სწავლების, მშენებლობისა და სამთომრეწველურმა სკოლებმა 59,4 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა გამოუშვეს.

ფართოდ ხორციელდებოდა აგრეთვე მუშათა კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება უშუალოდ საწარმოებში შრომითი რეზერვების სისტემის გარეშე. ამ ხაზით 1951—1957 წწ. მომზადდა 159,9 ათასი მუშა, ხოლო კვალიფიკაცია აიმაღლა 251,2 ათასმა მუშამ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მოძმე რესპუბლიკების, კერძოდ, რუსეთის და უკრაინის ინდუსტრიული ცენტრების მუშებისა და სპეციალისტების ქმედით დახმარებას. ომის შემდგომი წლების მანძილზე ათასობით ქართველი მუშა მიავლინეს აღნიშნულ ცენტრებში, სადაც ისინი დაეუფლნენ ახალ მრეწველურ პროფესიებს. 1941—1951 წწ. გაუმჯობესდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობა მრეწველობისა და მშენებლობისათვის კადრების მომზადების მხრივ. აღნიშნულ წლებში რესპუბლიკაში მომზადდა 11669 უმაღლესი განათლების მქონე ინჟინერი და 16201 საშუალო განათლების ტექნიკოსი.

მაღლდებოდა აგრეთვე მრეწველობასა და მშენებლობაში და-

საქმებულ სპეციალისტთა კვალიფიკაცია, იზრდებოდა მათი წარ-  
მოებრივი გამოცდილება და კულტურულ-ტექნიკური დონე.

საქართველოს სსრ მრეწველობაში დასაქმებული მუშებზე სა-  
შუალო წლიური რიცხვის ზრდასთან ერთად განხორციელდა მუშა-  
ძალის მიხედვით ინდუსტრიული წარმოების კონცენტრაციის დო-  
ნის ამაღლება. 1940 წელს რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის  
ერთ საწარმოზე საშუალოდ 60,4 მუშა მოდიოდა, 1958 წელს კი —  
113,4 მუშა, ანუ თითქმის 1,9-ჯერ მეტი.

მუშაძალის სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების  
თავისებურებას საქართველოს ეკონომიკური განვითარების ომის-  
შემდგომ პერიოდში (1945—1958 წწ.) წარმოადგენდა მუშაძალის  
ხვედრიწონის შეფარდებითი შემცირება არაწარმოებრივ სფერო-  
ში და მისი შეფარდებითი ზრდა მატერიალური წარმოების სფე-  
როში.

ძირითადი წარმოებრივი ფონდებისა და მუშაძალის მიხედვით  
საქართველოს სსრ მრეწველობის კონცენტრაციის დონის ამაღლე-  
ბასთან ერთად დაჩქარდა სპეციალიზაციისა და კოოპერირების  
პროცესი. ამით გაუმჯობესდა პირობები შრომის მწარმოებლუ-  
რობის შემდგომი ამაღლებისათვის.

როგორც დაეინახეთ, ომისშემდგომ წლებში ინტენსიურად მიმ-  
დინარეობდა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მრეწველურ-წარ-  
მოებრივი ფონდების ზრდა. ამასთან, აღნიშნული ფონდები გა-  
ცილებით უფრო სწრაფად იზრდებოდა მუშათა საშუალო წლიურ  
რიცხვთან შედარებით. ასეთი ეკონომიკური პროცესის შედეგად  
ამაღლდა საქართველოს სსრ მრეწველობის აღჭურვა ძირითადი  
წარმოებრივი ფონდებით. 1940 წელს რესპუბლიკის მსხვილ მრეწ-  
ველობაში ერთ მუშაზე საშუალოდ 16,1 ათასი მანეთის ძირითადი  
წარმოებრივი ფონდები მოდიოდა. 1958 წელს ამ მაჩვენებელმა  
61,6 ათას მანეთს მიაღწია, ანუ 3,8-ჯერ გაიზარდა. ამავე წლების  
მონაცემებით დასახელებული მაჩვენებელი წვრილ მრეწველობა-  
ში 2,7-ჯერ გადიოდა.

საქართველოს სსრ მრეწველობის წარმოებრივი აპარატის გა-  
ფართოებასთან ერთად ამაღლდა მუშათა ტექნიკური შეიარაღება,  
ე. ი. გაიზარდა ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიური ნა-  
წილის (მანქანა-გაწყობილობა და სხვ.) ოდენობა ერთ მრეწვე-  
ლურ მუშაზე. 1940 და 1956 წლების მონაცემებით ეს მაჩვენებე-  
3. ა. გუნია



ლი საქართველოს სსრ ჩარხმშენებლობაში 71,5%-ით გაიზარდა, ქუთაისის სამთო საშახტე გაწყობილობის ქარხანაში 1947—1956 წწ. ერთი მუშის ტექნიკური აღჭურვილობა დაახლოებით 2,7-ჯერ გადიდდა და სხვ. გაიზარდა აგრეთვე მუშათა ელექტროაღჭურვილობა. 1951—1956 წწ. ეს მაჩვენებელი თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში 61,4%-ით და ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში 3,4-ჯერ ამაღლდა, 1955 წელს რესპუბლიკის მრეწველობაში წარმოებრივი პროცესების შესასრულებლად საშუალოდ ერთი მუშის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია 8,3-ჯერ აღემატებოდა 1932 წლის შესაძარის მაჩვენებელს.

მუშათა ტექნიკური აღჭურვილობის ზრდასთან ერთად ამაღლდა მათი კვალიფიკაცია და კულტურულ-ტექნიკური დონე, ფართოდ განვითარდა წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის მთავარ დარგებში. ამავე დროს ჯერ კიდევ არასაკმარისად ხორციელდებოდა დამხმარე სამუშაოების, განსაკუთრებით შიგნითი ტრანსპორტირების მექანიზაცია.

1956—1957 წწ. მონაცემებით, საქართველოს სსრ მოწინავე მანქანათმშენებელ საწარმოებშიც კი ცალკეული მანქანების წარმოებისას ხელით შრომის წილი 40—45%-ს აღწევდა. მრეწველობისა და მშენებლობის შემდგომი სრულყოფის შედეგად, განსაკუთრებით სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, საქართველოს ინდუსტრიულ საწარმოებში ფართოდ გაიშალა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუშაოები.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის მწარმოებლობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა რიგი ახალი მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი, ფართოდ განვითარდა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების მუშათა თანამეგობრობა.

მარტო 1956 წელს რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხანაში 260-მდე რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა, რამაც ქარხანას 786,4 ათასი მანეთის ეკონომია მისცა. საერთოდ საქართველოს სახალხო მეურნეობაში 1959 წლისათვის გამოგონებულთა და რაციონალიზატორთა რიცხვმა თერთმეტ ათას კაცს გადააჭარბა, მათ მიერ შემოსულმა წინადადებათა რაოდენობამ 23 ათასს, აქედან წარმოებაში დაინერგა 11 ათასზე მეტი. როგორც საქართველოს

კომპარტიის XVIII ყრილობაზე იყო აღნიშნული, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მრეწველობის კომპლექსური განვითარების განსაკუთრებით ტექნიკური პროგრესის გაძლიერების ამოცანის გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა საერთო ღონისძიებებით. ამიტომ, მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების კადრებმა წარმოების მუშაკებთან ერთად თანამშრომლობაში ფართოდ გაშალეს მუშაობა ამ მიმართულებით.

წარმოებრივი აპარატის ზრდა-სრულყოფასა და მუშათა კადრების კულტურულ-ტექნიკური ღონის ამაღლებასთან ერთად ომის-შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო ფართოდ განვითარდა სოციალისტური შეჯიბრება, ნოვატორთა მოძრაობა. რესპუბლიკის მრეწველობის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა გააჩაღეს მუშაობა მრეწველობის წარმოებრივ სიმძლავრეთა მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვების, ზეგვემური დაგროვების გაზრდისა და სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად.

1957 წლის დამდეგს რუსთავის მეტალურგიულ ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა კონკრეტული ვალდებულებანი იკისრა და მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის მრეწველობის ყველა მუშაკს გაეწაღებინა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად. ამ მოწოდების საპასუხოდ საქართველოს სსრ მრეწველობის საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ჩაებნენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი.

ამ შეჯიბრებაში თავი ისახელეს საქართველოს სსრ ნახშირის მრეწველობისა და შახტმშენებლობის მუშაკებმა, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა, რუსთავის ცემენტის ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა და სხვ.

სულ უფრო ფართოდ ვითარდება საქართველოს სსრ მრეწველურ საწარმოთა მუშაკების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება მოძმე აზერბაიჯანის, სომხეთის, საბჭოთა რუსეთის, უკრაინის და სხვ. მოკავშირე რესპუბლიკების ინდუსტრიული საწარმოების მუშაკთა კოლექტივებთან. ასე, მაგალითად, საქართველოს მენახშირეები ეჯიბრებიან დონბასის მეშახტეებს, რუსთავის მეტა-

ლურგები — დონეცის (უკრაინის სსრ) და სუმგაითის (აზერბაიჯანის სსრ) მეტალურგებს, კიათურის მანგანუმის აუზის მადაროელები — ნიკოპოლის მანგანუმის აუზის მადაროელებს, ტყიბულის მეშახტეები — კუზნეცის აუზის მეშახტეებს, თბილისის კიროვის სახელობის ჩარმშენებელი ქარხნის მუშაკები — ერევნის ძერკინსკის სახელობის ქარხნის ჩარმშენებლებს. თბილისელი მეფეხსაცმელები — მოსკოვის მეფეხსაცმელებს, თბილისელი ფეიქრები — მოსკოველ ფეიქრებს და სხვ. ეს შეჯიბრება ხელს უწყობს მოწინავე კამოცდილებათა ფართოდ დანერგვას; იგი კიდევ უფრო აძლიერებს გეგმაზომიერად განვითარებადი სოციალისტური წარმოების ბაზაზე დამყარებულ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, მათს ამხანაგურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას.

საქართველოს სსრ მრეწველობის საწარმოთა შრომელებს მტკიცე მეგობრობა აქვთ აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ინდუსტრიულ საწარმოთა შრომელებთან,

ტექნიკური პროგრესის, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საფუძველზე. ომის შემდეგ პერიოდში უზრუნველყოფილ იქნა შრომის მწარმოებლურობის შემდგომი ზრდა საქართველოს მრეწველობაში (1941—1945 წწ. ომის სიძნელებთან დაკავშირებით რესპუბლიკის მრეწველობაში ადგილი ჰქონდა შრომის მწარმოებლურობის ერთგვარ შემცირებას). მეოთხე ხუთწლედში მრეწველობაში (კოლმეურნეობათა მრეწველობის ჩათვლელად) მუშების შრომის მწარმოებლურობა საგრძნობლად გაიზარდა და 1950 წელს 17%-ით გადააქარბა 1940 წლის დონეს. მეხუთე ხუთწლედში შრომის მწარმოებლურობა 29%-ით გაიზარდა და 1955 წელს იგი 51%-ით მეტი იყო 1940 წელთან შედარებით.

1958 წელს 1940 წელთან შედარებით შრომის მწარმოებლურობა საქართველოს მრეწველობაში (კოლმეურნეობათა მრეწველობის ჩათვლელად) 175%-ს შეადგენდა. ამავე წლების მონაცემებით სსრ კავშირის მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობა საშუალოდ 126%-ით გადიდდა.

შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეს ნელი ტემპი საქართველოს სსრ ინდუსტრიულ წარმოებაში უმთავრესად ჩვენი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შედარებითი ჩამორჩენილობით და შრომის ორგანიზაციის ნაკლოვანებებით აიხსნება. ამას-



თან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა საქართველოს მრეწველობის კონცენტრაციის დონე უფრო დაბალია სსრ კავშირის მრეწველობასთან შედარებით, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სრულყოფის შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარდა შრომის მწარმოებლურობის ზრდა რესპუბლიკის მრეწველობაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის რიგ დარგში შრომის მწარმოებლურობის ზრდა საშუალოზე გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით ხასიათდებოდა. ასე, მაგალითად, 1955 წელს 1940 წელთან შედარებით შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა: ელექტროსადგურებსა და ელექტროქსელში — 172%-ით, ლითონდამუშავება-მანქანათმშენებლობაში — 165%-ით, ჩაის მრეწველობაში — 114%-ით, საშენ მასალათა მრეწველობაში — 72%-ით და სხვ., მაგრამ მრეწველობის ზოგიერთ დარგში (ნავთობგადამუშავება, ხის დამუშავება, ბამბულის მრეწველობა და სხვ.) 1955 წელს ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული შრომის მწარმოებლურობის 1940 წლის დონე. შრომის მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესდა საქართველოს მრეწველობის ცალკეული დარგების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. ასე, მაგალითად, რესპუბლიკის შავ მეტალურგიაში ბრძმედის სასარგებლო მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი (მუშაობის ნომინალური დროით, კუბ. მეტრობით) 1954 წელს 1,06-ს, ხოლო 1958 წელს 0,75-ს შეადგენდა. ფოლადის წარმოებაში მარტენის ლუმის ქვედის ფართობის 1 კვადრატულ მეტრზე ფოლადის დღელამისეული (მუშაობის კალენდარული დროით) აღება 1950 წელს 3,48 ტონიდან 1958 წელს 6,35 ტონამდე, ანუ თითქმის ორჯერ გაიზარდა. ამავე წლების მონაცემებით საქართველოს სსრ ცემენტის ქარხნების ლუმელის საათობრივი მწარმოებლურობა 12,5-დან 15,9 ტონამდე, ე. ი. 27,2%-ით გადიდდა. რესპუბლიკის საშენებლო ფაბრიკებში ძირითადი ფონდების ათას მანეთზე მთლიანი პროდუქციის გამოშვება 1950 წელს 24 ათასს, ხოლო 1955 წელს 33 ათას მანეთს შეადგენდა, ანუ 37%-ით გაიზარდა და სხვ.

მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს სსრ მრეწველობის საქონლური პროდუქციის თვითღირებულება. ამასთან ერთად რესპუბლიკის მრეწველობას პროდუქციის თვითღირებულების შემცი-

რების მრავალი აუთვისებელი რეზერვები ჰქონდა. ამ რეზერვების გამოვლინება და სრული გამოყენება მრეწველობის შემდგომი აღმავლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

\* \* \*

1958 წელს სკკპ XXI ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრები. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმული საბჭოთა ხალხი, ახალი, მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში შეუდგა თავდადებულ შრომას შვიდწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, წარმოიშვა და ფართოდ განვითარდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები; კომუნისტური შრომის პრიციპები, გაგანოველთა მოძრაობა და სხვ.

მოსკოვის დამხარისხებულ დეპოში, სადაც 1919 წელს პირველად მოეწყო კომუნისტური შაბათობა, შეიქმნა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდების მოპოვებისათვის მებრძოლი მუშების კოლექტივი. ამ კოლექტივმა ვალდებულება აიღო წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაციის და ავტომატიზაციის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების და ქმედითი ურთიერთდახმარების მეშვეობით განახორციელოს შრომის მწარმოებლურობის მკვეთრი ამაღლება და პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირება. ამასთანავე ბრიგადის წევრებს უნდა უზრუნველყვით თავიანთი კულტურულ-ტექნიკური დონის განუწყვეტელი ამაღლება, სოციალისტური თანაცხოვრების წესების სანიმუშო დაცვა და სხვ.

ვიშნე ვოლოჩოკის სართავი კომბინატის მოწინავე ბრიგადის მძღვანელმა ვალენტინა გაგანოვამ იკისრა ჩამორჩენილი ბრიგადის ხელმძღვანელობა და მისი წამოწევა მოწინავე ბრიგადების დონემდე და სხვ.

კომუნისტური შრომის ბრიგადები და გაგანოველთა მოძრაობა ფართოდ გავრცელდა მთელს სსრ კავშირში, მათ შორის საბჭოთა საქართველოშიც. ჩვენ რესპუბლიკაში ამ ახალი პატრიოტული თაოსნობის პირველი ინიციატორები იყვნენ: თბილისის ელმავალ-მშენებელი ქარხნის ელმავალმშეობი საამქროს ზეინკლის გ. ჩადუნელის ბრიგადა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძოლველ საამქროში ა. ძამაშვილის ბრიგადა, თბილისის ქარხანაში „ელექტროავტომატი“ ზ. რუსიას ბრიგადა, ტყიბულის ლენინის

სახელობის შახტის მეორე საექსპლოატაციო უბანზე შ. კუბლაშვილის ბრიგადა და სხვ.

რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურ დახმარებას უწევდნენ წარმოების მუშაკთა პატრიოტულ თაოსნობას შვიდწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

1960 წლის 5 ივნისისათვის რესპუბლიკის 539 მოწინავე კოლექტივს (რომელშიც 6836 კაცი შედიოდა) მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება. ამ წოდებისათვის იბრძოდა კიდევ 2319 კოლექტივი, რომელშიც 33967 კაცი მონაწილეობდა. კომუნისტური შრომის დამკვერელის წოდება წარმოების 1967 მოწინავეს მიენიჭა, ამ წოდებისათვის იბრძოდა კიდევ 13324 კაცი.

კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდებისათვის მებრძოლმა მუშათა მრავალმა კოლექტივმა უკვე მოიპოვა ასეთი წოდება და ისინი მეთაურობენ აღნიშნული მოძრაობის შემდგომ განვითარებას. ამასთან კომუნისტური შრომის ბრიგადები სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ მრეწველობაში შვიდწლედის განმავლობაში დიდი მუშაობაა გაჩაღებული ტექნიკური პროგრესის გაძლიერების, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის; არსებითად ავტომატიზებულია ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები და მეტი წილი დამხმარე ოპერაციები რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ პირველად ჩვენს ქვეყანაში მოაწყო ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმის საცდელი დნობა ფეროშენადნობის დახურულ ეცხლგამძლე ბეტონისკამერიან ღუმელში. რესპუბლიკის ენერგეტიკული მეურნეობა გადაყვანილია ავტომატურ მართვაზე, ინტენსიურად მიმდინარეობს ძველი გაწყობილების შეცვლა ახალი, მაღალმწარმოებლური გაწყობილობით და მანქანა-დანადგარების მოდერნიზაცია.

ძლიერდება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობა, მეცნიერებოსა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობა.

რესპუბლიკაში სისტემატურად მიმდინარეობს შრომის მექანიზაციის დონის ამაღლების ინტენსიური პროცესი, რაც აჩვენებს მისი მწარმოებლურობის ზრდას.

ტექნიკური პროგრესისა და მშრომელთა შრომითი აქტივობის საფუძველზე 1959—1965 წწ. გეგმური დავალებები საბჭოთა საქართველოში, ისე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირის მრეწველობაში, წარმატებით შესრულდა.

როგორც ცნობილია, ომამდელი და ომის შემდგომი ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სოციალისტური ეკონომიკა. მომწიფდა შემდგომი მძლავრი განვითარების ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები. კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მნიშვნელოვანი პირობას წარმოადგენდა შეიღწილიანი (1959—1965 წწ.) გეგმის წარმატებით შესრულება.

ამ წლებში გადიდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება. აღსანიშნავია, რომ შეიღწეულად განმავლობაში თითქმის გაორჯეცდა ძირითადი წარმოებრივი ფონდები, რომელთა შექმნას საბჭოთა ხალხმა მრავალი წლის თავდადებული შრომა მოანდომა. ამ ხნის განმავლობაში მწარმოებლური ძალების განვითარებასთან ერთად უფრო სრულყოფილი გახდა სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი. განმტკიცდა სოციალისტური საკუთრების საერთო-სახალხო და კოლმეურნეობრივ-კოოპერაციული ფორმები, განხორციელდა დიდი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ანაზღაურების მოწესრიგებისა და გადიდებისათვის. გაფართოვდა წარმოების მართვის დემოკრატიული საფუძველები.

არსებითად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუქტურა.

1959—1965 წწ. საქართველოს სსრ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდა ეკონომიკის, კულტურის და მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობაში. არსებული მონაცემების მიხედვით რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის მოცულობა 7 წლის მანძილზე 40 პროცენტით გაიზარდა; მრეწველური წარმოების მოცულობა გაიზარდა თითქმის 65 პროცენტით, ხოლო პროდუქციის საშუალოწლიურმა მატებამ 1,4 პროცენტი შეადგინა.





1965 წ. პირველი სექტემბრისათვის გადაჭარბებით შესრულდა შვიდწლედის დავალებები თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მიღების, სოფლისმეურნეობრივი მანქანების და სხვა პროდუქციის წარმოების მხრივ. საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მრეწველურმა საწარმოებმა შვიდწლედის დავალებები შეასრულეს ექვს წელსა და ცხრა თვეში. ახალ მშენებლობათა შორის აღსანიშნავია ის, რომ შვიდწლედში დამთავრდა და ექსპლოატაციაში შევიდა მსხვილი ობიექტები — ლაჯანურისა და ხრამ-II-ის ჰიდროელექტროსადგურები, ჭიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანაში ახალი დახურული ღუმელები, ელექტროტექნიკური საწარმოები თბილისში, ცხინვალში, ბათუმში.

საქართველოს, ისე როგორც საბჭოთა კავშირის, მრეწველობა ვითარდებოდა სახალხო მეურნეობის, კერძოდ მრეწველობის უფრო მოწინავე დარგთა წინგამსწრები განვითარების გზით.

გარდა ამისა გადამეტებით იყო შესრულებული მრეწველურ პროდუქციის მნიშვნელოვანეს სახეობათა საქონლის გამოშვება. საკმაოდ გადიდდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. მნიშვნელოვნად გაძლიერდა მრეწველობის ტექნიკური ბაზა. შვიდწლედის მანძილზე ამოქმედდა 2658 მლნ მანეთის ძირითადი წარმოებრივი ფონდები. აშენდა მრეწველობის ობიექტები, მწყობრში ჩადგა ათობით ახალი საწარმო, რეკონსტრუირდნენ და გაფართოვდნენ ჩაის ფაბრიკები, ღვინისა და პურის ქარხნები.

მთლიანად ამოქმედდა 240-ზე მეტი ახალი მრეწველური საწარმო და საამქრო. შვიდწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის მრეწველობის პოტენციალი.

დიდი ღონისძიებები იყო გატარებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისათვის. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდნენ მრეწველობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ყოველივე ეს განაპირობა მეცნიერების და ტექნიკის ფართოდ დანერგვამ, წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ცალკეულ სახეობათა პროდუქციის ნაკადურ წარმოებაზე გადაყვანამ, ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელებამ. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1964—1965 წწ. საქართველოს



მრეწველურ საწარმოებში დაინერგა 200-ზე მეტი მექანიზებული  
ნაკადური. ავტომატური და კონვეიერული ხაზი.

მნიშვნელოვნად გაიშალა მრეწველობაში წარმოების ნოვა-  
ტორთა მოძრაობა. მარტო შვიდწლედის ორ უკანასკნელ წელს ნო-  
ვატორთა წინადადებით წარმოებაში დაინერგა 12830 სიახლე, რა-  
მაც სახალხო მეურნეობას თითქმის 19 მლნ მანეთი ეკონომია მის-  
ცა.

\* \* \*

ქვეყნის ეკონომიკის, კერძოდ მრეწველობის შემდგომი განვი-  
თარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კო-  
მიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმს. პლენუმმა განიხილა  
მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა  
და მრეწველური წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლი-  
ერების მნიშვნელოვანი საკითხები.

როგორც სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, ეკონომიკური და  
მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების თანამედროვე პირობებმა  
ქვეყნის წინაშე დააყენა ახალი, უფრო დიდი ამოცანები საზოგა-  
დოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების  
საქმეში. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რო-  
გორც ითქვა პლენუმზე, წარმოების ტექნიკური დონის შემდგომი  
ამაღლების, პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის, წარმოებული  
პროდუქციისა და არსებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების  
გამოყენების ეფექტიანობის, ცოცხალი და განივთებული შრომის  
ეკონომიის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რად-  
გან სწორედ ამ თვისებრივი ხასიათის მაჩვენებლებზე მოდის არა  
მარტო ქვეყნის შიგაეკონომიკური განვითარების, არამედ სოცია-  
ლიზმისა და კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის მშვიდობიანი ეკონო-  
მიკური შეჯიბრების მთელი სიმძიმე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის  
სექტემბრის პლენუმზე, როგორც ცენტრალური პრობლემა პირ-  
ველ პლანზე იყო წამოწეული საზოგადოებრივი წარმოების ეფექ-  
ტიანობის ამაღლება, ცოცხალი და განივთებული შრომის დანა-  
ხარჯების ეკონომია, კაპიტალურ დაბანდებათა და ძირითადი წარ-  
მოებრივი ფონდების რაც შეიძლება უფრო რაციონალური გამო-  
ყენება. ეს საკითხები, სექტემბრის პლენუმზე, განსაკუთრებით



მწვავედ იმიტომ დაისვა, რომ შეიღწეულის უკანასკნელ წლებში აღინიშნებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპების რამდენადმე შენელება.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მეურნეობის მართვის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფამ. ნაკლოვანებები სახალხო მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანწილად იმით იყო გამოწვეული, რომ შეიღწეულის ბოლო წლებში შეუსაბამობა შეიქმნა წარმოების მკვეთრად გადიდებულ მისშტაბსა და დაგეგმვის, მეურნეობის მართვის, მატერიალური სტიმულირების სისტემის მოქმედ მეთოდებს შორის. შებოჭილი იყო საწარმოთა ინიციატივა, შეზღუდული — უფლებები და შემცირებული — მათი პასუხისმგებლობა. მეურნეობის დაგეგმვასა და ხელმძღვანელობაში ჯეროვნად არ ფასდებოდა ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედება და სხვა.

ეს შეცდომები ღრმავდებოდა რიგი რთული მეურნეობრივი პრობლემების გადაჭრისადმი მოუფიქრებელი, ვოლუნტარისტული მიდგომით, რაც იწვევდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს შორის, აგრეთვე შიგადარგობრივი პროპორციების დარღვევას. მთელ რიგ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ეკონომიკურად დაუსაბუთებელი დავალებანი, რომლებიც ვერ შესრულდებოდა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ ანალიზი გაუკეთა ეკონომიკაში შექმნილ მდგომარეობას, გამოარკვია ამ უარყოფით მოვლენათა მიზეზები, დასახა მათი დაძლევის გზები, შეიღწეულის შესრულების პროცესში გამომკლავნებულმა უარყოფითმა მოვლენებმა, რომელთა გამოსწორებას პარტია ოქტომბრის პლენუმის შემდგომ შეუდგა, კონკრეტული გამოხატულება მიიღო საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფის, სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის გაუმჯობესების, წარმოების დაგეგმვისა და სტიმულირების ძირეული საკითხების გადაწყვეტაში. აღნიშნულმა ღონისძიებებმა კიდევ ურთხელ ცხადყვეს თუ როგორი ზიანის მოტანა შეუძლია ობიექტური ეკონომიკური კანონების უგულვებელყოფას სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დროს. ამიტომაც, რომ 1965 წ. სკკპ მარტისა და შემდგომ სექტემბრის პლენუმებმა შეი-

მუშავებს ახალი მიდგომა ეკონომიკის ხელმძღვანელობისადმი განსაზღვრეს ჩვენი განვითარების თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები. დასახეს მნიშვნელოვანი დონისძიებები სახალხო მეურნეობრივი რეფორმის გასატარებლად.

შვიდწლედის გამოცდილებამ ცხადყო, რომ მრეწველობის მართვის, დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ფორმები, რომლებიც მოქმედებდნენ სექტემბრის პლენუმამდე, უკვე ვეღარ პასუხობდნენ თანამედროვე ტექნიკურ-ეკონომიკურ პირობებს და მწარმოებლური ძალების განვითარების დონეს. მრეწველობის მართვის, ორგანიზაციის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პირობაა წარმოების ეკონომიკური ბერკეტების და მატერიალური სტიმულირების გაძლიერებასთან ერთად ცენტრალიზებული გეგმური ხელმძღვანელობის და საწარმოთა და კოლექტივების მეურნეობრივი ინიციატივის სწორი შეხამება. პლენუმმა განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ცენტრალიზებული გეგმური ხელმძღვანელობის წამყვან როლს ეკონომიკის განვითარებაში.

მართვის ორგანიზაციული ფორმები უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლური ძალების განვითარების მიღწეულ დონეს, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ამოცანებს. ამგვარი შეთანაწყობის გარეშე, სასურველი ეკონომიკური ეფექტი მიღწეული არ იქნება.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ძალზე რთულდება საწარმოო ტექნიკური პრობლემები, მრეწველობის ეფექტიანი ხელმძღვანელობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყველა ცალკეული დარგის ამოცანებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. ამიტომ ხელმძღვანელობის დარგობრივი პრინციპი, რომელიც გამოიმუშავა სექტემბრის პლენუმმა, უფრო სწორად უზრუნველყოფს წარმოების სპეციალიზაციას, რაც ტექნიკური პროგრესისა და წარმოების სრულყოფის მნიშვნელოვანი პირობაა.

ამ პრინციპის დარღვევამ, რომელიც გამოწვეული იყო სახალხო მეურნეობის საბჭოების დაარსებით, გარკვეული ზიანი მიაყენა წარმოებისა და ტექნიკის განვითარებას, რის შედეგად რამდენადმე შემცირდა მრეწველური წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა.

დარგობრივი ხელმძღვანელობის პრინციპიდან გადახვევამ განაპირობა დარგების ხელმძღვანელობის დაბალი დონე, ერთიანი

ტექნიკური პოლიტიკის დარღვევა, კვალიფიციური კადრების დაქ-  
საქსვა და წარმოშვა მმართველობის არაეფექტური მრავალსაფე-  
ხურიანი სისტემა.

ამასთან, დარგობრივი ხელმძღვანელობა უნდა შეესაბამებო-  
დეს ხელმძღვანელობის ტერიტორიულ პრინციპებს, სახალხო მე-  
ურნეობის კომპლექსური განვითარების ამოცანებს, როგორც მთვ-  
ლი ქვეყნის, ისე მოკავშირე რესპუბლიკის მიხედვითაც. მე-  
ურნეობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეხამება ადგი-  
ლობრივი მეურნეობრივი ორგანოების თაოსნობისა და უფლებე-  
ბის გაფართოებასთან, მეურნეობრივი მართვის სრულყოფის არსს  
შეადგენს და შეესაბამება ობიექტური ეკონომიკური კანონებს  
ნოთხოვნებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და  
სსრკ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაფარ-  
თოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები დაგეგმვის, კაპი-  
ტალური მშენებლობის, დაფინანსების, შრომისა და ხელფასის  
დარგში. ტერიტორიული დაგეგმვის, ბუნებრივი, შრომითი, ენერ-  
გეტიკული და სხვა რესურსების სწორად წარმართვისა და გამო-  
ყენების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების საგეგმო კომისიები  
ადგენენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგ-  
მათა პროექტებს, როგორც რესპუბლიკური მნიშვნელობის მრეწ-  
ველობის, აგრეთვე საკავშირო-რესპუბლიკური მნიშვნელობის დარ-  
გების მიხედვით. ამასთან, იმუშავენ რესპუბლიკის ტერიტორი-  
აზე გაადგილებული საკავშირო დაქვემდებარების მრეწველურ სა-  
წარმოთა განვითარების გეგმების პროექტებს. რასაკვირველია,  
რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვისას  
შეხამებული უნდა იყოს რესპუბლიკისა და საერთო-საკავშირო სა-  
ხალხო მეურნეობრივი ინტერესები.

თანამედროვე ეტაპზე მეურნეობის მართვის სრულყოფის თა-  
ვისებურება იმაში გამოიხატება, რომ მრეწველობის მართვის ად-  
მინისტრაციული ფუნქციები უნდა ეხამებოდეს მეურნეობრივი ან-  
გარიშაინობისა და ეკონომიკური სტიმულირების მეთოდების მნიშ-  
ვნელოვან გაძლიერებას. ამასთან, არსებითად ფართოვდება საწარ-  
მოს მეურნეობრივი უფლებები და თაოსნობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადა-  
წყვეტილებათა შუქზე, მრეწველურ საწარმოთა ეკონომიკური

ეფექტურობის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა წარმოების დაგეგმვაში. მთლიანი პროდუქციის მაჩვენებლის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მაჩვენებლით შეცვლამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. დაგეგმვის ახალმა მეთოდმა მნიშვნელოვნად დააკავშირა მოხმარება წარმოებასთან. ამასთან, რეალური პირობებია შექმნილი მოგების ამაღლებისათვის, საწარმოს რენტაბელობისათვის. მოგების, რენტაბელობის დაეალებების დადგენამ გააძლიერა ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ყოველივე ეს ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

სექტემბრის პლენუმის მიერ დასახული მეურნეობრივი რეფორმის ძირითადი მიზანი იყო დაგეგმვის მეცნიერული ღონის ამაღლება, წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერება, მეურნეობრივი ანგარიშობის განმტკიცება და საწარმოს დამოუკიდებლობის გაფართოება, ეს ღონისძიებები წარმატებით ტარდება ცხოვრებაში.

რასაკვირველია, ღონისძიებები, რომლებიც გამოიმუშავეს 1965 წლის სექტემბრის პლენუმზე (მიმართული იყო მრეწველობის დარგთა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისაკენ) ერთბაშად ვერ განხორციელდებოდა, ამისათვის სათანადო დრო იყო საჭირო. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა სახალხო მეურნეობის განვითარების მერვე ხუთწლედმა (1966—1970 წწ.), რომლის შესახებ დირექტივები მიღებული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე (1966 წ.).

აღნიშნულმა ყრილობამ დიდი როლი მიანიჭა სექტემბრის პლენუმს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, კერძოდ მრეწველური წარმოების განვითარებაში.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ სკკპ მარტის და სექტემბრის (1965 წ.) პლენუმებზე გამოიმუშავდა ახალი მიდგომა ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობაში, განისაზღვრა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული იყო 1966—1970 წწ. საქართველოს მრეწველობის შემდგომი აღმავლობა, ეს გამოიხატებოდა ელემენტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის წინგამსწრებ განვითარებაში.

რებაში, აგრეთვე კვებისა და მსუბუქი მრეწველობის შემდგომ ზრდაში.

მერვე ხუთწლედის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მოხდა ელექტროენერგეტიკის განვითარებაში, ეს გამოიხატა ენერგეტიკული ბალანსის ძირეულ გაუმჯობესებაში, მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ფართოდ გამოყენებაში, რამაც შექმნა პირობება ელექტროენერგეტიკის ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის და დიდი როლი ითამაშა საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგების, კერძოდ მრეწველობის განვითარებაში.

გარკვეული თვისებრივი ცვლილებები დამახასიათებელია მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მრეწველობის განვითარებაში, რაც კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ავტომატიზაციის, მთის მიწათმოქმედებისათვის საჭირო ტრაქტორების, კვების მრეწველობის ტექნოლოგიური გაწყობილობის, ავტომატიზაციის საშუალებების, ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და რეგულირების სხვადასხვა ხელსაწყოთა წარმოებაში, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა წარმოების ათვისებაში.

გაფართოვდა ქიმიური მრეწველობის პროდუქციის, განსაკუთრებით აზოტოვანი სასუქების და სინთეზური ბოქვოს წარმოება. დიდი მუშაობა მიმდინარეობს შავი და ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარებისათვის, რომელსაც ექმნება მტკიცე საინდუსტრიული ბაზა მადნეულის საბადოში აღმოჩენილი სპილენძის დიდი გეოლოგიური მარაგის სახით.

მსუბუქი მრეწველობის დარგებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ დარგების პროდუქციის წარმოების ზრდას, რომელზედაც მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაა, კერძოდ, ტრიკოტაჟის ნაწარმის სინთეზური ბოქვოს გამოყენებით, ხელოვნური ტყავის და აფსკების, ყოველგვარი მოსართავი მასალების, გალანტერეის და სხვა.

დაჩქარებული ტემპით ვითარდებოდა კვების მრეწველობა. მტკიცედ სრულდებოდა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულა ჩაის, ღვინის, კონსერვების, თამბაქოს, ეთეროვანი ზეთების, მინერალური წყლების პროდუქციის წარმოება. საგრძნობლად გაიზარდა სიმძლავრეები მეღვინეობის, ხორცის, რძის, საკონსერ-

ვო, პურ-ფუნთუშეულის და უალკოპოლო სასმელების მრეწველობაში.

გარდა მრეწველობის აღნიშნული სახეობის პროდუქციისა, სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით მერვე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაფართოვდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოება. გაიზარდა სარეცხი მანქანების, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ქიმიის სხვადასხვა საქონლის გამოშვება. მნიშვნელოვნად გადიდდა წარმოება, გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი და გააუმჯობესა მისი ხარისხი ადგილობრივმა მრეწველობამ.

1966—1970 წწ. მეტი ყურადღება ექცეოდა მხატვრული სარეწების განვითარებას.

ყოველივე ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან (იხ. ცხრილი 4), რომლებიც ახასიათებენ საქართველოს სახალხო მკურნეობის განვითარების მერვე ხუთწლედის გეგმის შესრულებას.

ც ხ რ ი ლ ი 4

საქართველოს სსრ მრეწველური პროდუქციის წარმოების (რეალიზაციის) გეგმის შესრულება 1966—1970 წწ. (%-ით)

მაჩვენებელი	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.	1969 წ.	1970 წ.
მრეწველური პროდუქციის წარმოება	104	103	—	103	—
მრეწველური პროდუქციის რეალიზაცია	—	102	101	100,7	103
წინა წელთან შედარებით მრეწველური პროდუქციის წარმოება გაიზარდა	12	8	8	—	10
წინა წელთან შედარებით მრეწველური პროდუქციის რეალიზაცია გაიზარდა	—	8	7	6	9

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკაში, ისე როგორც საბჭოთა კავშირში მთლიანად, მრეწველური საწარმოები თანდათანობით გადადიოდნენ დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე, მრეწველური პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების აღრიცხვა ხორციელდებოდა როგორც მთლიანი პროდუქციის წარმოების, ისე რეალიზებული პროდუქციის

მიხედვით. როგორც მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ, მრეწველური წარმოების გეგმის შესრულების ეს ორი მაჩვენებელი მთლიანად და წინა წელთან შედარებით ხუთწლედის განმავლობაში წარმატებით სრულდებოდა.

მრეწველობის აღმავალი განვითარების მაჩვენებლები დამახასიათებელი იყო აგრეთვე თბილისის, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის მრეწველური საწარმოებისათვის. ასე, მაგალითად, თბილისის მრეწველურ საწარმოებში პროდუქციის წარმოების გეგმა წინა წელთან შედარებით გაიზარდა: 1966 წ.—8%-ით, 1967 წ.—10%-ით, 1968 წ.—7%-ით, 1969 წ.—8%-ით, 1970 წ.—7,9%-ით; აფხაზეთის ასსრ შესაბამისად: 9%; 7%; 15%; 6%; აჭარის ასსრ—10%, 2%, 9%, 5%, 7%-ით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—20%, 18%, 6%, 7%, 6%-ით.

ეს დამახასიათებელი იყო აგრეთვე რესპუბლიკის მრეწველობის ცალკეული დარგებისათვისაც.

ცხრილი 5

საქართველოს მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქციის წარმოების ზრდა 1966—1970 წწ. წინა წელთან შედარებით (%-ობით)

დარგების დასახელება	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.	1969 წ.	1970 წ.
შავი მეტალურგია	3	10	3	—	5
სათბობის მრეწველობა	3	5	8	3	7
ელექტროენერჯისა და თბოენერჯის წარმოება	13	0,7	18	11	8
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	12	6	—	5	11
ქიმიური მრეწველობა	16	21	12	17	3*
საშენ მასალათა მრეწველობა	11	13	5	4	10
ტექსის, ქაღალდის და ხის დამამუშავებელი მრეწველობა	6	12	6	7	5
მსუბუქი მრეწველობა	10	16	10	8	8
კვების მრეწველობა	13	3	5	10	12

\* ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა.



ამრიგად, როგორც მთლიანად რესპუბლიკის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და თბილისის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით მრეწველობის ხუთწლედის განმავლობაში მრეწველური პროდუქციის წარმოების გეგმები წარმატებით სრულდებოდა. მთლიანად კი საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო მრეწველობაში პროდუქციის წარმოება ხუთწლედის განმავლობაში (1966—1970 წწ.) 52%-ით გაიზარდა.

მრეწველური პროდუქციის წარმოების ზრდის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა შრომის მწარმოებლურობის ზრდა. როგორც წესი, მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის გეგმა აღნიშნულ წლებში გადაჭარბებით სრულდებოდა. წინა წელთან შედარებით იგი გაიზარდა 1966 წ.—8%-ით, 1967 წ.—4%-ით, 1968 წ.—5%-ით, 1969 წ.—6%-ით და 1970 წ.—9%-ით,

ცხრილი 6

მრეწველური პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების დინამიკა  
1966—1970 წწ.

პროდუქციის დასახელება	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.	1969 წ.	1970 წ.
თუჯი (ათასი ტონა)	814	833	862	802	783
ფოლადი (ათასი ტონა)	1422	1445	1445	1380	1411
ნავლინი (ათასი ტონა)	1053	1174	1205	1038	1148
ფოლადის მილები (ათასი ტონა)	424	425	440	442	470
კოქსი (ათასი ტონა)	666	653	680	677	682
ელექტროენერჯია (მლნ კვტსაათი)	6483	6703	7771	8314	8942
მინერალური სასუქი (ათასი ტონა)	446	508	527	492	467
სამაგისტრალო ელქაელები (კალი)	176	157	103	82	91
სატვირთო ავტომობილები (ათასი ცალი)	11505	9725	12132	12701	14000
ლითონმჭრელი ჩარბები (კალი)	3938	4033	3826	3490	3439
ცემენტი (ათასი ტონა)	1465	1480	1384	1377	1450
ასაწყობა რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები ათასი კუბურ მეტრი ნაკეთობა	743	801	800	823	893
ბამბის ქსოვილები (მლნ კვადრატული მეტრი)	47	52	49	50	53
შალის ქსოვილები (მლნ კვადრატული მეტრი)	5	6,6	7,4	8	8
აბრეშუმის ქსოვილები (მლნ კვადრატული მეტრი)	21	23	27	30	37

	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.	1969 წ.	1970 წ.
ზედატრიკოტაჯი (ათასი ტონა)	5857	6449	7188	8000	10000
ტყავის ფენსაცემელი(მლნ წვეილი)	12	13,1	13,8	14	15
ხორცა* (ათასი ტონა)	21	41	40	37	44
კონსერვები(მლნ პირობითი ქილა)	170,7	170	201,1	202	225
ნატურალური ხარისხოვანა დაფასოვ- ბული ჩაი (ათასი ტონა)	17	17	22	22	19
ყურძნის ღვინო (მლნ ლექალიტრი)	11	12	12	14	14,3

მრეწველური წარმოების ამგვარმა აღმავლობამ განაპირობა წარმოებული პროდუქციის სახეობათა გაფართოება, მათი ხარისხის გაუმჯობესება და რაოდენობის ზრდა.

მრეწველური წარმოების თვისებრივი მაჩვენებლების ზრდაში დიდი როლი ითამაშა მრეწველურ საწარმოთა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანამ.

ეკონომიკური რეფორმა საქართველოს მრეწველობაში თანმიმდევრულად მიმდინარეობდა და ახალ სისტემაზე გადასულ საწარმოთა რაოდენობა ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდებოდა. თუ 1966 წ. დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე რესპუბლიკაში გადაყვანილი იყო მხოლოდ 9 მრეწველური საწარმო (მათ შორის: სოხუმის, ბათუმის, თბილისის პირველი და მეორე თამბაქოს ფაბრიკები, ჩაის ამწონი ფაბრიკა თბილისში, ბათუმის ავეჯ-ბამბუკის, თბილისის გრეხილი ავეჯის, ახალდაბის ავეჯის ფაბრიკები და თევზის მრეწველობის ერთი საწარმო), 1967 წ. გადაყვანილი იყო უკვე 163 საწარმო (მათ შორის 97 კვების და 34 მსუბუქი მრეწველობის საწარმო), 1968 წ.—546. 1969 წ. ამგვარ საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა 700-ს, ხოლო 1970 წ. დამლევისათვის — 800-ზე მეტს. 1970 წელს ეკონომიკურ რეფორმაზე გადასული საწარმოები აწარმოებდნენ მთელი მრეწველური პროდუქციის 84%-ს და სახელმწიფოს მისცეს მრეწველობის მთელი მოგების 90%-მდე.

\* კოლმეურნეობების წარმოებისა და შინაწარმოების ვარდა.

ამრიგად, სკკპ XXIII ყრილობის მიერ მიღებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ფრიად ხელსაყრელი პირობები შექმნა მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის.

1966—1970 წწ. განმავლობაში საქართველოში მწყობრში ჩადგა 57 ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმო, მათ შორის 23 ქარხანა, 13 ფაბრიკა და ერთი ელექტროსადგური. მათ შორის: სურამის მინის ტარის ქარხანა, ფოთისა და ჭიათურის სამკერვალო ფაბრიკები, ქუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ქისტაურ-ახმეტის ღვინის ქარხანა, ცაიშის, ქედის, ლიხაურის, ჩოხატაურის, გონიოს, თერჯოლისა და გალის ჩაის ფაბრიკები, ბორჯომის მეორე ჩამომსხმელი ქარხანა, ლილოს საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხანა, ბათუმის პურის ქარხანა, ჩხოროწყუს ჰიდროელექტროსადგური და სხვ. გარდა ახალი მრეწველური საწარმოებისა აღნიშნულ წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საწარმოო სიმძლავრეები მრავალ მოქმედ საწარმოში.

საქართველოს მრეწველობაში 1966—1970 წწ. ფართოდ იყო გაშლილი შემოქმედებითი მუშაობა მიმართული შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის. მხოლოდ 1966 წ. შესრულებული იყო 220-ზე მეტი უმნიშვნელოვანესი დავალება სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, დამზადდა საცდელი ხელსაწყოების, მანქანებისა და გაწყობილობის სრულიად ახალ სახეობათა 50 ნიმუში, დაინერგა ღონისძიებები: მექანიზაციის დარგში — 50, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დარგში — 30, მოწინავე ტექნოლოგიის დარგში — 70-ზე მეტი. ამ მიმართულებით 1967 წ. დაინერგა 150 ღონისძიება. აღნიშნულ ღონისძიებათა მრეწველობაში დანერგვის შედეგად მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში დაიზოგა დაახლოებით 1,5 მლნ მანეთი. 1966 წ. მოდერნიზებულ იქნა 260-მდე ლითონსაჭრელი ჩარხი, სამკვდლო-საწნეხი და სხვა გაწყობილობა. მათ შორის, მანქანათსამშენებლო და ლითონდამმუშავებელ საწარმოებში — 230, 1967 წ. ათვისებულ იქნა ახალი სახეობის 40 დასახელების მნიშვნელოვანი პროდუქცია (პირველი სამრეწველო სერია),

ფართოდ გაიშალა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობა. 1966—1970 წწ. საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებსა და ორგანიზაციებში შეტანილია მრავ-

ვალი ათეული ათასი წინადადება მიმართული წარმოების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. აქედან დაინერგა 74 ათასამდე გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგად დაიზოგა 194 მლნ მანეთზე მეტი.

როგორც ვხედავთ, საქართველოში, ისე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, სახალხო მერნეობის განვითარების 1966—1970 წწ. ხუთწლიანი გეგმის, კერძოდ მრეწველობის განვითარების წარმატებით შესრულების შედეგად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის შექმნაში.

### III. სახალხო მუშრნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის თავისებურებები

1966—1967 წლების ხუთწლიანი გეგმა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო. მისი მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა ყოველნაირად გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარების, მისი ეფექტურობის და შრომის მწარმოებლურობის გადიდების საფუძველზე უზრუნველგვეყო მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი მყარი ტემპები და ამის მეოხებით მიგვეღწია ხალხის ცხოვრების დონის არსებითი ამაღლებისა, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

მერვე ხუთწლიდის მთავარი ამოცანა არსებითად განსაზღვრავდა მის ძირითად თავისებურებებს, რომლებიც სრულიად შეესაბამებოდნენ სოციალისტური ეკონომიკის ზრდის, მისი მწარმოებლური ძალების განვითარების ახალ ეტაპს.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმების თავისებურებები გამომდინარეობენ ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნილებებიდან, მათი განხორციელება კი გამოიხატველია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისა.

ასე იყო მაშინაც, 40 წლის წინათ, როდესაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა პირველად შეუდგა სახალხო მეურნეობის განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკის შექმნას და მის აღმავლობას ხუთწლიანი გეგმების მიხედვით. საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ყველა ისტორიულ ეტაპზე ხუთწლიანი გეგმები ხასიათდებოდნენ გარკვეული თავისებურებებით. ეს თავისებურებები გამომდინარეობდნენ ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობიდან, საერთაშორისო ვითარებიდან.

ასე, მაგალითად, პირველი ხუთწლედის ძირითად ამოცანებს და მის თავისებურებებს შეადგენდა საბჭოთა კავშირის გადაქცევა ჩამორჩენილი, აგრარული, სუსტად განვითარებული მრეწველობის ქვეყნიდან მაღალგანვითარებულ, ინდუსტრიულ ქვეყნად. აღნიშნული ამოცანების გადაჭრამ განაპირობა სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ახალი სოციალისტური ეკონომიკის ბაზაზე, შეიქმნა პირობები სოფლიდან კაპიტალისტური ელემენტების განდევნისათვის, სოფლისმეურნეობრივი წარმოების გეგმაზომიერი განვითარებისათვის. გარდა ამისა, შეიქმნა ყველა ტექნიკური და ეკონომიკური წინაპირობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

მეორე ხუთწლედის თავისებურებებს, მის ძირითად ამოცანებს შეადგენდნენ: კაპიტალისტური ელემენტების, ექსპლოატაციის წარმომშობი მიზეზების, ეკონომიკაში და ხალხთა შეგნებაში კაპიტალისტური გადმონაშთების მოსპობა, სოციალისტური საზოგადოების შეგნებული და აქტიური მშენებლების აღზრდა. აღნიშნული ამოცანები გადაიჭრა მთელი სახალხო მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის გაშლილი ტექნიკური რეკონსტრუქციის ბაზაზე. სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის შეიქმნა ახალი ტექნიკური ბაზა.

მესამე ხუთწლედს ახასიათებდა ახალი ამოცანები და თავისებურებები, რომლებიც გამოხატავდნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ახალ ეტაპს. პირველი და მეორე ხუთწლედების წარმატებით შესრულებამ დღის წესრიგში დააყენა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს მეურნეობრივი განვითარების ძი-

რითადი ამოცანა — რაც შეიძლება მოკლე ვადაში დაეწეოდით და გაგვესწრო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის წარმოებაში. აღსანიშნავია, რომ ეს ამოცანა ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა დასახა 1917 წელს, მაგრამ მესამე ხუთწლედის მხოლოდ სამმა წელმა გაიარა მშვიდობიან ვითარებაში, მისი შესრულება შეგვაწყვეტინა პიტლერული გერმანიის თავდასხმამ, სამამულო ომის დაწყებამ. ომის დამთავრების შემდგომ ახალი ამოცანები დადგა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაშე. ომის შემდგომი პირველი ანდა მეოთხე ხუთწლედის ძირითად ამოცანებს და თავისებურებებს შეადგენდა: ომის შედეგად დაზარალებული რაიონების მეურნეობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენა, შემდგომ კი ამ დონის მნიშვნელოვანი გადაჭარბება, რაც წარმატებით გადაიჭრა.

მეხუთე ხუთწლედის თავისებურებებმა გამოხატულება პირველ ომის შემდგომი ეკონომიკის აღმავლობაში, კერძოდ კი მძიმე ინდუსტრიის დარგების უფრო სწრაფ განვითარებაში. როგორც მრეწველობაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მომზადდა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის წინაპირობები.

პარტიის მეოცე ყრილობამ, რომელმაც გაშლილი კომუნისტური მშენებლობის კურსი დასახა, დაამტკიცა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ღირებულებები. სამი წლის შემდეგ, პარტიის ოცდამეერთე ყრილობამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრები. მთელი ეს პერიოდი ორ ხუთწლედს შეადგენს. პარტიის XXIII ყრილობამ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წწ. გეგმის ღირებულებები მიიღო. ამრიგად, ჩვენმა ქვეყანამ სულ რვა ხუთწლიანი გეგმა შეასრულა.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი გზა, დაწყებული პირველი ხუთწლედიდან, ე. ი. 1928 წ. მერვე ხუთწლედის დამთავრების ჩათვლით, ე. ი. 1970 წლის შედეგების გათვალისწინებით, განვიხილოთ ზოგიერთი ძირითადი



მონაცემი, რომელიც განსაზღვრავდა წინაპირობებს ახალი მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესადგენად.

ცხრილი 7

მძიმე ინდუსტრიის დარგების უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების დინამიკა 1928—1970 წწ.

პროდუქციის დასახელება	1928 წ.	1940 წ.	1945 წ.	1958 წ.	1965 წ.	1970 წ.
ელექტროენერგია (მლდკლო-ვატსაათი)	5,0	48,3	43,3	235	507	740
ფოლადი (მლნ ტონა)	4,3	18,3	12,3	53,9	91,0	116
ნავთობი (მლნ ტონა)	11,6	31,1	19,4	113	243	353
გაზი (მლნ კუბური მეტრი)	0,3	3,4	3,4	29,9	129	200
ქვანახშირი (მლნ ტონა)	35,5	166	149	493	578	624
ცემენტი (მლნ ტონა)	1,8	5,7	1,0	38,3	72,4	95,2
ლათონსაქრელა ჩარხები (ათასი ცალი)	2,0	58,4	38,4	138	185	—
ავტომობილები (ათასი ცალი)	0,8	145	75	511	616	916
ტრაქტორები (ათასი ცალი)	1,3	31,6	7,7	220	355	459
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულები, მლნ ტონა)	0,14	3,2	1,1	12,4	31,3	55,4

მოტანილი მონაცემები ძალიან საგულისხმოა, ისინი გვიჩვენებენ თუ როგორი გიგანტური ნახტომი გააკეთა ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკის და ამ შემთხვევაში მძიმე ინდუსტრიის დარგების განვითარებაში. 1928 წ. ანუ პირველი ხუთწლიედი პირველ წელს ელექტროენერგია იწარმოებოდა სულ 5 მლდ კილოვატსაათი, ე. ი. ორჯერ ნაკლები, ვიდრე ახლა წლის მანძილზე აწარმოებს მარტო ვოლესკის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური კუიბისუევის ოლქში.

1940 წლისათვის ელექტროენერგიის გამომუშავება 1928 წ. შედარებით თითქმის 10-ჯერ გადიდა. 1970 წლისათვის კი — 148-ჯერ, როგორც ცხრილი გვიჩვენებს, დაახლოებით ასეთი სურათია მძიმე ინდუსტრიის სხვა დარგებშიც. 1970 წელს 1928 წელთან შედარებით ფოლადის გამოდნობა გადიდა 27-ჯერ, ნავთობის მოპოვება 30-ჯერ, ქვანახშირის ამოღება — 17-ჯერ, ცემენტის წარმოება — 53-ჯერ, ავტომობილების გამოშვება — 1145-ჯერ.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგთა განვითარებაშიც. საგრძნობლად გაიზარდა

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მისი ასორტიმენტი და ხარისხი.

ცხრილი 8

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დინამიკა 1928—1970 წწ.

პროდუქციის დასახელება	1928 წ.	1940 წ.	1945 წ.	1958 წ.	1965 წ.	1970 წ.
ყველა სახეობის ქსოვილები (მლნ გრძივი მეტრი)	3,0	4,5	1,8	7,5	9,1	7,0
ტრიკოტაჟი (მლნ ცალი)	8,3	183	50	496	907	1234
ტყავის ფეხსაცმელი (მლნ წვეილი)	58	211	63	356	486	676
ქარბლის ფხვინილი შაქარი (მლნ ტონა)	1,3	2,2	0,5	5,2	8,9	10,2
რადიომიმღები (ათასი ცალი)	—	160,5	13,9	3902	5159	7800
ტელევიზორები (ათასი ცალი)	—	0,3	—	979	3555	6700
მაცივრები (ათასი ცალი)	—	3,5	0,3	360	1675	4100

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ხუთწლეულის მანძილზე ქსოვილების გამოშვება გადიოდა 2,3-ჯერ, ტყავის ფეხსაცმელისა — 11,6-ჯერ, შაქრის ფხვინისა — 8-ჯერ. თუ 1940 წ. მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა ტრიკოტაჟის ნაწარმის 0,9 ცალი, 1970 წ. უკვე მოდიოდა 5 ცალზე მეტი, ტყავის ფეხსაცმელი შესაბამისად 1 წყვილი და 2,7 წყვილი, ყველა სახეობის ქსოვილები 23 გრძივი მეტრი და 30-მდე გრძივი მეტრი. რაც შეეხება სახალხო მოხმარების ისეთი საქონლის წარმოებას, როგორცაა: რადიომიმღები, ტელევიზორები, მაცივრები პირველ ხუთწლეულის დასაწყისში მათ ჩვენი მრეწველობა მოსახლეობის ფართო მოხმარებისათვის არ აწარმოებდა. 1940 წელთან შედარებით კი 1970 წელს მათი წარმოება გაიზარდა — რადიომიმღებების — 48-ჯერ, ტელევიზორების — 22-ათას ჯერზე მეტად, მაცივრების — 1172-ჯერ, მნიშვნელოვნად განვითარდა მრეწველობის სხვა დარგებიც.

ამრიგად, ომამდელი და ომის შემდგომი ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი სოციალისტური ეკონომიკა. შეიქმნა ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები იმისათვის, რომ ჩვენს პარტიას საყოველთაოდ ელღობინა ჩვენი ქვეყნის გადასვლა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამ პერიოდის ეკონომი-



მიკური განვითარების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა. შეიქმნილია 1959—1965 წწ. და 1966—1970 წწ. გეგმის წარმატებით შესრულება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა სწორედ მერვე ხუთწლედის დამთავრებას დაემთხვა და ამიტომ მის შედეგებს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

ცხრილი 9

სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები 1961—1970 წწ. (შედარებით 1960 და 1965 წლებთან %-ობით)

მაჩვენებლები	1961—1965 წწ. (მეშვიდე ხუთწლელი)		1966—1970 წწ. (მერვე ხუთწლელი)	
	აბსოლუტ. მატება	%-ით 1961 წ.	აბსოლუტ. მატება	%-ით 1965 წ.
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტა (მლნ მან.)	133	137	175	142
მოხმარებისათვის და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი (მლნ მან.)	45	132	77	141
მრეწველური პროდუქცია (მლნ მან.)	84	151	125	150
მათ შორის:				
„ა“ ჯგუფი	66	158	91	151
„ბ“ ჯგუფი	18	136	34	149
სოფლის მეურნეობის პროდუქცია (სამშუალო წლიური წარმოება წინა ხუთწლედთან შედარებით მლნ მან.)	7,1	112	14,0	121
კაპიტალდაბანდებთან მოცულობა (ხუთწლეულში მლნ მან.)	77	145	104	142
უველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა (მლნ ტონა კმ)	878	147	1061	138
საცალო საქონეღებრუნვა (მლნ მან.)	26,1	134	50,2	148

როგორც მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ, 10 წლის განმავლობაში უაღრესად დიდი ძვრები მოხდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარებაში. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი



იყო წინ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზენაესი  
 ბაზი. მარტო 1966—1970 წლებში შედარებით 1961—1965 წლებთან  
 მნიშვნელოვანი წარმატებები იყო მოპოვებული.

განვიღო ხუთ წელიწადში საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი  
 ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, ამადლდა მრეწველური წარ-  
 მოება, გადიდდა სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო  
 ფონდები. ამ წლებში გადიდდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და  
 თავდაცვითი ძლიერება. აღსანიშნავია, რომ ხუთწლეულის განმავ-  
 ლობაში თითქმის გაორჯევდა ძირითადი საწარმოო ფონდები, რ.ო-  
 მელთა შექმნას საბჭოთა ხალხმა ომების გამოკლებით 37 წლის  
 შრომა მოანდომა. ამ ხნის განმავლობაში საწარმოო ძალების გან-  
 ვითარებასთან ერთად უფრო სრულყოფილი გახდა სოციალისტურ-  
 რი საზოგადოებრივი ურთიერთობა. განმტკიცდა სოციალისტური  
 საკუთრების საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული  
 ფორმები, განხორციელდა დიდი ღონისძიებანი სახალხო მეურნეო-  
 ბის ყველა დარგში შრომის ანაზღაურების მოწესრიგებისა და გა-  
 დიდებისათვის. გაფართოვდა წარმოების მართვის დემოკრატიუ-  
 ლი საფუძვლები.

არსებითად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუ-  
 ქტურა. მერვე ხუთწლეულის განმავლობაში გადიდდა მუშათა, სპე-  
 ციალისტთა და მოსამსახურეთა რიცხვი. მუშათა რიცხვის ზრდა  
 ასახავს ინდუსტრიული განვითარების სწრაფ ტემპებს. 1970 წ.  
 მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიურმა რიცხვმა სახალხო  
 მეურნეობაში შეადგინა 90,2 მლნ კაცი, ახლა მუშებისა და მოსამ-  
 სახურეების წილად ოჯახებიანად მოდის საბჭოთა კავშირის მო-  
 სახლეობის დაახლოებით 76% და კოლმეურნე გლეხობის წილად  
 კი — 24,0%.

მერვე ხუთწლეულში ამოქმედდა ელექტროსადგურების ახალი  
 სიმძლავრენი 54 მილიონი კილოვატის. ფოლადის გამოდნობის —  
 18 მლნ ტონის, მინერალური სასუქების წარმოების — 33 მლნ ტო-  
 ნის, ცემენტის — 17 მილიონი ტონის, ტყავის ფეხსაცმლის —  
 148 მლნ ცალის ოდენობით. 25 ათასი კილომეტრით გადიდდა მა-  
 გისტრალური გზისადენების სიგრძე. ვარდა ამისა ამოქმედდა ბევ-  
 რი ახალი საწარმო. აშენდა მსოფლიოში უდიდესი ბრძმედები,  
 კოქსის ბატარიები, საკლინაეი დგანები, მანქანათსამშენებლო და  
 ქიმიური ქარხნები, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოე-

ბი, შეიქმნა ათეული ათასობით ახალ სახეობათა მანქანები და გაწყობილობა, გაწეულია დიდი მუშაობა ყველა სახეობის ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის.

უპირატესად განვითარდა მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ პროგრესს და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებას. მერვე ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ დიდი თვისებრივი ცვლილებები შეიტანა ჩვენი მრეწველობის განვითარებაში. მნიშვნელოვნად ამაღლდა მრეწველური წარმოების დონე. ამის ნათელი გამომხატველია ის, რომ ჯერ კიდევ 60-იანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისისათვის საბჭოთა ქვეყნის მრეწველობა აწარმოებდა პროდუქციის იმ რაოდენობას, რომელსაც კაპიტალისტური რუსეთი აწარმოებდა 1913 წ., მთელი წლის განმავლობაში:

ელექტროენერჯიის გამომუშავების მხრივ	—2	დღეში
ნავთობის მოპოვების	—18	„
ფოლადის წარმოების	—19	„
ნახშირის მოპოვების	—20	„
შავი ლითონის ნაგლის წარმოების	—21	„
რკინის მადანის მოპოვების	—24	„
მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოების	—24	„
კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების	—33	„

ჯერ კიდევ 1959—1960 წლებში მრეწველური წარმოების მიერ გამომუშავდა იმდენი პროდუქცია, რამდენიც მთელი მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში ანუ 1951—1955 წლებში. ეკონომიკური გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ 1959—1965 წწ. გამომუშავებული მრეწველური პროდუქციის აბსოლუტური ნამატი უფრო დიდია ვიდრე მის წინა ოცწლეულში (1939—1959 წწ.) გამომუშავებული პროდუქციის ნამატი. აღსანიშნავია, რომ მეშვიდე ხუთწლედში მრეწველური პროდუქციის საშუალო წლიური ნამატი უფრო მეტი იყო, ვიდრე მთელი მრეწველური პროდუქცია გამოშვებული, მაგალითად, 1934 წელს.

ზრდის მნიშვნელოვანი მონაცემებია შვიდწლედში ცალკეული დარგების მიხედვითაც. ასე, მაგალითად, სამამულო ნავთობის მრეწველობის ისტორიიდან დაწყებული შვიდწლედის დაწყებამდე ნავთობის მოპოვების აბსოლუტური ზრდა შეადგენდა 113 მლნ ტონას. შვიდწლედში კი ნავთობის მოპოვების აბსოლუტურმა ზრდამ შეადგინა 129 მლნ ტონა. მხოლოდ 1970 წ. მოპოვებული იყო 353 მლნ ტონა ნავთობი.

ამგვარი სურათია ელექტროენერჯის წარმოების მხრივაც. ელექტროენერჯის წარმოების აბსოლუტური ზრდა შვიდწლედში 1,2-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ელექტროენერჯის განვითარების მთელ ისტორიაში.

1957 წლამდე ქიმიური მრეწველობის მიერ ქიმიური ბოქვოს წარმოების აბსოლუტური ზრდა შეადგენდა 166 ათას ტონას, შვიდწლედში კი ის გაიზარდა 250 ათას ტონამდე, მინერალური სასუქების წარმოება შესაბამისად 12 მლნ და 21 მლნ ტონამდე გაიზარდა, ე. ი. 1,7-ჯერ. განსაკუთრებული მიღწევა აღინიშნება გაზის მრეწველობაში. შვიდწლედის წინ გაზის მოპოვების და წარმოების აბსოლუტურმა ზრდამ შეადგინა 30 მლნ კუბური მეტრი, შვიდწლედში კი გაიზარდა 98 მლნ კუბურ მეტრამდე ანუ 3,3-ჯერ, ხოლო 1970 წ. მოპოვებული იყო 200 მლნ კუბური მეტრი გაზი.

მრეწველური წარმოების ამგვარი ზრდისათვის, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად უნდა განვითარებულიყო მწარმოებლური ძალები, პირველ რიგში კი გაძლიერებულიყო მწარმოებლური ფონდები. ეს პროცესი მიმდინარეობდა საბჭოთა ეკონომიკის, მისი მრეწველობის განვითარების მთელ ისტორიულ პერიოდში, განსაკუთრებით კი ომამდელ, ომისშემდგომ და მის მერმინდელ ხუთწლედებში. იმისათვის, რომ უზრუნველგვეყო მრეწველური პროდუქციის აბსოლუტური ზრდა იმ რაოდენობით, რასაც საბჭოთა მრეწველობამ მიაღწია შვიდწლედში, საბჭოთა სტატისტიკოსების გამოანგარიშების მიხედვით, 1959 წლამდე საჭირო იქნებოდა მწარმოებლური ძალების განვითარების მრავალი წელი, კერძოდ: მრეწველობაში წარმოების საშუალებათა წარმოების საერთო მოცულობის მხრივ — 26 წელი.

მათ შორის თუჯის გამოდნობის მხრივ — 18 წელი, შავი ლითონის ნაგლის წარმოების მხრივ — 18 წელი, ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გამომუშავების მხრივ — 100 წელზე მეტი, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების პროდუქციის გამოშვების მხრივ — 100 წელზე მეტი, მრეწველობაში მოხმარების საგნების წარმოების საერთო მოცულობის მხრივ — 18 წელი, მათ შორის: კვების მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის მხრივ — 19 წელი, სატრიკოტაჟო ნაწარმის წარმოების მხრივ — 24 წელი;

ზემოთ მოტანილი ციფრები ფრიად საინტერესოა. ისინი დალადებენ იმის შესახებ, თუ რამდენად გაძლიერდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, მისი მწარმოებლური ძალები სოციალისტური სახალხო მეურნეობის და კერძოდ საბჭოთა მრეწველობა-სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში, რაოდენ ძლიერი გახდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა განსაკუთრებით ომის შემდგომ წლებში, კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პერიოდში.

ამის მაჩვენებელია შრომის მწარმოებლურობის არნახული ზრდაც.

ასე, მაგალითად, მრეწველობის მთლიანი პროდუქციის შედარებითი ზრდის ერთი პროცენტი (შესაღარი ფასებით) შეადგენდა:

1928 წელს	— 50 მლნ მანეთს.
1932 „	— 80 „
1952 „	— 500 „
1958 „	— 1 200 „
1960 „	— 1,400 „
1965 „	— 2,200 „

როგორც ვხედავთ, ერთი პროცენტის აბსოლუტური მნიშვნელობა წლიდან წელზე სისტემატურად იზრდება.

1961—1970 წლებში დიდი ყურადღება ექცეოდა სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების შემდგომ ტექნიკურ შეიარაღებას, რის გარეშე არ შეიძლება ეკონომიკაში მიღწეულ იქნეს მაღალი ეფექტურობა. ხორციელდებოდა რა ტექნიკური შეიარაღების ამოცანები, საბჭოთა მეცნიერების და მრეწველობის მუშაკთა მიერ მხოლოდ 1965 წ. შექმნილი იყო სამი ათასამდე ახა-

ლი ტიპის მანქანა, მექანიზმი, აპარატი და სხვა გაწყობილობა. მრეწველური საწარმოების მიერ ათვისებული იყო 900-მდე ახალი სახის პროდუქციის წარმოება. გაიზარდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 1970 წ. ე. ი. მეორე ხუთწლედის უკანასკნელ წელს შექმნილი იყო სამი ათასამდე ნიმუშის ახალი მანქანა, გაწყობილობა, აპარატი და ათასამდე ახალი სახეობის ნაწარმის სერიული გამოშვება, რომლებსაც უფრო უკეთესი ტექნიკურ-ეკონომიკური და საექსპლოატაციო მაჩვენებლები აქვთ.

მხოლოდ აღნიშნული წლის განმავლობაში დანერგილი იყო დაახლოებით 3,4 მლნ გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც 3 მლნ-მდე შანეთის ეკონომიას იძლევიან წელიწადზე გაანგარიშებით.

წარმატებით წყდებოდა სოციალისტური აღწარმოების ისეთი რთული და დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, როგორცაა მრეწველურ საწარმოთა რაციონალური გაადგილება. ურალის, ყაზახეთის, შორეული აღმოსავლეთის, შუა აზიის და ციმბირის სხვადასხვა რაიონში შეიქმნა სამრეწველო ცენტრები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მრეწველური პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ამან გამოხატულება ჰპოვა ინჟინერ-ტექნიკოსების, მუშებისა და მეცნიერების ფართოდ გაშლილ მოძრაობაში პროდუქციის გამოყენების ხანგრძლივობისათვის, მისი საიმედოობისათვის, იმისათვის, რომ ჩვენი მრეწველობის პროდუქცია თავისი ხარისხით არ იყოს მსოფლიოში წარმოებულ მრეწველური პროდუქციის საუკეთესო ხარისხზე დაბალი.

#### IV. მრეწველობის განვითარების თავისებურებები მიცხრე ხუთწლეუში (1971—1975 წწ.)

მეცხრე ხუთწლედი საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის, ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ეტაპია. ახალი ხუთწლედის ამოცანა ის არის, რომ სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტურობის ამაღლების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და შრომის

მწარმოებლურობის ზრდის დაჩქარების საფუძველზე უზრუნველ-  
 ყოფილ იქნეს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული  
 დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. ამ ამოცანებიდან გამომდინა-  
 რე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის შემდგომი ამაღ-  
 ლება მოითხოვს სახალხო მეურნეობის დარგთაშორისი და შიგა-  
 დარგობრივი ოპტიმალური პროპორციების უზრუნველყოფას და  
 განვითარების შესაბამის ტემპებს. სოციალისტური აღწარმოების  
 თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის საერთოდ და, კერძოდ, მრეწვე-  
 ლობის, სოფლის მეურნეობის და მატერიალური წარმოების სფე-  
 როს სხვა დარგთა განვითარების ტემპებისა და პროპორციების  
 სრულყოფას ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამაზეა დამო-  
 კიდებული ის თვისებრივი ცვლილებები ეკონომიკაში, რომელიც  
 დამახასიათებელი იქნება მიმდინარე ხუთწლედისათვის და ჩვენი  
 ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის თანამედროვე დონეს  
 გამოხატავს. სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების უზ-  
 რუნველსაყოფად, აგრეთვე დიდ სოციალურ ღონისძიებათა განსა-  
 ხორციელებლად დაბანდებული იქნება უდიდესი სახსრები. ერთად-  
 ერთ წყაროს, საიდანაც საბჭოთა სახელმწიფო იღებს ამ სახსრებს,  
 წარმოადგენს მშრომელთა მიერ შექმნილი ეროვნული შემ-  
 მოსავალი. ამიტომ მეცხრე ხუთწლედში ეროვნული შემოსავ-  
 ლის ზრდის ტემპების დაჩქარებას როგორც ყოველთვის, ახლაც  
 განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. აღსანიშნავია, რომ ეროვნ-  
 ული შემოსავალი მეშვიდე ხუთწლედში გაიზარდა 32 პროცენ-  
 ტით, მერვე ხუთწლედში — 41 პროცენტით, ხოლო მეცხრე ხუთ-  
 წლედში გაიზარდება — 38,6 პროცენტით. იცვლება აგრეთვე  
 პროპორციები ეროვნული შემოსავლის განაწილებაში, ასე მაგა-  
 ლითად, მეშვიდე და თითქმის ყველა წინა ხუთწლედში დაგროვე-  
 ბის ფონდის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებდა მოხმარე-  
 ბის ფონდის ზრდის ტემპს, მერვე ხუთწლედში მათი ზრდის  
 ტემპები მნიშვნელოვნად დაუახლოვდნენ. ეს იმის მაჩვენებელია,  
 რომ გაფართოებული აღწარმოება განვითარებული სოციალისტურ-  
 ი საზოგადოების პირობებში უზრუნველყოფს სახალხო მეურ-  
 ნეობის დაჩქარებულ განვითარებასთან ერთად, ხალხის ცხოვრების  
 დონის სისტემატურ ამაღლებას. ამეამად ეროვნული შემოსავ-  
 ლის ზრდის ტემპების მზრივ ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვნად გა-  
 უსწრო წინ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. თუ საერ-

თოდ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 1970 წ. შედარებით 1950 წ. ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 190 პროცენტს (ამერიკის შეერთებულ შტატებში — 149 პროცენტს), საბჭოთა კავშირში იგი შეადგენდა 392 პროცენტს (ურთიერთ ეკონომიკურ დახმარების საბჭოში შემავალ ქვეყნებში — 370 პროცენტს). ამიტომ ეროვნული შემოსავლის ზრდის სწრაფი ტემპის უზრუნველყოფა და მისი სწორი, ოპტიმალური განაწილება მოხმარებისა და დაგროვების ფონდებზე, ქვეყნის ძლიერების განმტკიცების, მშრომელთა კეთილდღეობის ქაუჩოვების ინტერესებისათვის, სოციალისტური გაფართოებული აღწარმოებისათვის ძირეულ ეკონომიურ პრობლემას წარმოადგენს.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ეროვნული შემოსავლის საერთო მოცულობამ (1965 წ. შესადარ ფასებში) 1966—1970 წწ. 1 ტრილიონ 166 მილიარდი მანეთი შეადგინა, 1961—1965 წწ. — 840 მილიარდი, ხოლო 1936—1940 წწ. — მხოლოდ 154 მილიარდი მანეთი. ზრდა უზარმაზარია. მერვე ხუთწლედში შექმნილი ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 74 პროცენტი გამოყენებულია მოხმარებისათვის და 26 პროცენტი კი — დაგროვებისათვის. აღსანიშნავია, რომ მოხმარების ფონდის საერთო ოდენობიდან მშრომელებისა და მათი ოჯახების მოხმარებისათვის, მწარმოებლურ სფეროს მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასისა და კოლმეურნეთა შემოსავლისათვის დაიხარჯა თითქმის 60 პროცენტი; განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას და მოსახლეობის სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მოხმარდა 20 პროცენტზე მეტი, შრომისუუნარო მოსახლეობის შენახვას, აგრეთვე მოსწავლეთა სტიპენდიებს და დახმარებებს — 9 პროცენტზე მეტი; მეცნიერებისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა — თითქმის 4,5 პროცენტი, სხვა დანახარჯებმა — 6,5 პროცენტი. ამრიგად, ეროვნული შემოსავლის ძირითადი ნაწილი გამოყენებული იყო მოხმარებისათვის. დაგროვების საერთო ფონდიდან სოციალისტურ გაფართოებულ აღწარმოებას ანუ საწარმოო დაგროვებას (ფაბრიკების, ქარხნების, რკინიგზებისა და სხვა სამრეწველო საწარმოების ძირითადი საწარმოო ფონდების გადიდებას), აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის გადიდებას მოხმარდა 57 პროცენტამდე, საბი-



ნაო ფონდის, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურული და სხვა დაწესებულებების ქსელის მატებას მოხმარდა 19 პროცენტამდე, თავდაცვის საჭიროებისათვის დაიხარჯა თითქმის 24 პროცენტი.

მეცხრე ხუთწლედში შეფარდება მოხმარებისა და დაგროვების ფონდებს შორის ეროვნულ შემოსავალში შესამჩნევად შეიცვლება. ეს გამოწვეული იქნება იმ დიდი სტრუქტურული ცვლილებებით, რომელიც მოხდება ქვეყნის ეკონომიკაში: ა) გადიდება ეროვნული შემოსავლის წილი, რომელიც გათვალისწინებულია მოხმარებისათვის; ბ) გადიდება კაპიტალურ დაბანდებათა წილი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისათვის; გ) სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში გადიდება სახალხო მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქციის წილი; დ) მოსახლეობის მომსახურების სფეროში მნიშვნელოვანი შრომითი რესურსები ჩაებმებიან.

საერთოდ, ხუთწლედის ბოლოს გამოყენებული ეროვნული შემოსავლის მოცულობაში მოხმარების ხვედრიწონა შეადგენს 74,6 პროცენტს და შესაბამისად მცირდება დაგროვებისათვის გამიზნული ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობაში ხუთწლედის ბოლოსათვის ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 32 პროცენტით, ხოლო გამოყენებული ეროვნული შემოსავლის მოცულობაში მოხმარების ხვედრიწონა მიაღწევს 76 პროცენტს, დაგროვებისა კი — 24 პროცენტს. მომავალი სტრუქტურული ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკაში, რომელიც მაჩვენებელია მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებებისა, წარიმართება სახალხო მეურნეობის არსებითად ხელახალი ტექნიკით აღჭურვის, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის გზით. არსებითი ცვლილებები მოხდება აღწარმოების ტემპებსა და პროპორციებში. შეიცვლება თანაფარდობა წარმოების საშუალებათა წარმოების, ე. ი. საზოგადოებრივი წარმოების პირველ ქვედანაყოფსა და მოხმარების საგნების წარმოების, ე. ი. საზოგადოებრივი წარმოების მეორე ქვედანაყოფს შორის. კერძოდ კი, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება მრეწველობაში მისი „ა“ ჯგუფისა (წარმოების საშუალებათა წარმოება) და „ბ“ ჯგუფის (მოხმარების საგნების წარმოება) შეფარდებებს.

შორის მრეწველური პროდუქციის საერთო მოცულობაში. მრეწველობა კი ეროვნული შემოსავლის წარმოების ძირითად წყაროს წარმოადგენს, ამიტომ მრეწველობაში მიმდინარე აღწარმოების პროცესებს, მის ზრდის ტემპებსა და შიგადადგობრივ პროპორციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აღწარმოებაში.

მიმდინარე ხუთწლედისათვის, ისე როგორც გასული ხუთწლედის უკანასკნელი სამი წლისათვის (1968—1970 წწ.), დამახასიათებელია სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვან საერთო ზრდასთან ერთად, მასში მოხმარების საგნების წარმოების უფრო სწრაფი ზრდა. ასე, მაგალითად, 1975 წ. 1970 წ. შედარებით მრეწველობის პროდუქცია მთლიანად გაიზრდება 47 პროცენტით, წარმოების საშუალებათა წარმოება კი—46,3 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება—48,6 პროცენტით. ეკონომიკის, კერძოდ, მრეწველობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამგვარი ტენდენცია ასახავს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანას—ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამ ამოცანას საბუთია ხელისუფლებისათვის არა დროებითი, არამედ მუდმივმოქმედი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. ამგვარი ტენდენცია გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე სრულებით არ ნიშნავს მძიმე ინდუსტრიისადმი ანუ წარმოების საშუალების წარმოებისადმი ყურადღების შენელებას, მისი ზრდის ტემპების კანონზომიერების დარღვევას. მით უმეტეს, ეს არ ნიშნავს საზოგადოებრივი აღწარმოების კანონზომიერების—მოხმარების საგნების წარმოებასთან შედარებით წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდის დარღვევას.

სამრეწველო პროდუქციის ამგვარი ზრდა განპირობებულია იმით, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, განსაკუთრებით კი 20-იან და 30-იან წლებში, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარების პერიოდში სოციალისტური გაფართოებული აღწარმოებისათვის დამახასიათებელი იყო მოხმარების საგნების წარმოებასთან შედარებით წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა. ამის მიზეზი კი იყო ჩვენი ქვეყნის შედარებითი ეკონომიკური ჩამორჩენილობა, არსე-

ბულ ეკონომიკურ ბაზასა და პოლიტიკურ ზედნაშენს შორის არა-  
ანტაგონისტური წინააღმდეგობა.

თუ გადავხედავთ მრეწველობის განვითარების ისტორიულ პროცესს და გავაანალიზებთ საერთოდ სამრეწველო პროდუქციის ზრდის, კერძოდ კი წარმოების საშუალებათა წარმოების და მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ყოველწლიურ ტემპს, დავინახავთ, რომ 1928 წლიდან 1967 წლის ჩათვლით, ე. ი. 36 წლის მანძილზე (ომის პერიოდის 1941—1944 წწ. გამოკლებით) მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპი მხოლოდ სამჯერ (1937 წ., 1945 წ. და 1946 წ.) იყო უფრო სწრაფი, ვიდრე წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდისა, ხოლო 1953 წელს — მისი თანაბარი.

მრეწველობის ამ ორი ძირითადი ჯგუფის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპებისა და მათი თანაფარდობის კანონზომიერებაზე, რომელიც წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდით გამოიხატება, ამ გამოჩაყლის აღნიშნულ წლებში არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

ცხადია, მრეწველობისა და განსაკუთრებით მისი „ა“ ჯგუფის განვითარების მაღალი ტემპები 1928 წელთან შედარებით იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ქვეყანა იმ ისტორიულ პერიოდში ეკონომიკურად საერთოდ, კერძოდ კი მძიმე მრეწველობის განვითარების მხრივ ჩამორჩენილი იყო. 20-იანი წლების მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით 30-იან წლებში უაღრესად დიდი თვისებრივი ცვლილებები მოხდა. შეიქმნა და განმტკიცდა სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მნიშვნელოვნად ამაღლდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, განვითარდა საერთოდ მრეწველობის, განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობის პროგრესული დარგები — ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა და სხვ. ვინაიდან 1940 წლის მაჩვენებლები ეკონომიკურად შედარებით ძლიერი, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის მონაცემებს წარმოადგენს, ამიტომ როგორც მრეწველობის საერთო პროდუქციის, ისე მისი ძირითადი ჯგუფების მიხედვით შემდგომი ზრდის ტემპები 1940-წელთან შედარებით ერთგვარად შენელებულია, მაგრამ წარმოების საშუალებათა წარმოება მაინც უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოხმარების საგნებისა. ამგვარმა განვითარებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა

მრეწველობის საერთო პროდუქციის ძირითად ჯგუფთა პროპორციებში. ასე, მაგალითად, თუ მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1928 წელს წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრიწონა შეადგენდა 39,5 პროცენტს, ხოლო მოხმარების საგნების წარმოებისა კი — 60,5 პროცენტს, 1940 წ. ისინი შესაბამისად შეადგენდნენ 61,2 და 38,8 პროცენტს, 1969 წ. კი — 73,8 და 26,2 პროცენტს. თანაფარდობის ამგვარი დინამიკა განპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური თავისებურებებით და საერთაშორისო მდგომარეობით (ეკონომიკური ჩამორჩენილობით და ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობით, ომამდელ წლებში კაპიტალისტური გარემოცვით, ომისშემდგომ კი მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობით). ყოველივე ამან განაპირობა წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდა, განსაკუთრებით კი მისი მაღალი ხვედრიწონა მრეწველობის საერთო პროდუქციაში. განვითარების მხოლოდ ამგვარმა თანმიმდევრულმა განხორციელებამ მოგვცა შესაძლებლობა დაგვეცვა სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, ბოლო მოგველო საუკუნოვანი ჩამორჩენილობისათვის, უზრუნველგვეყო გიგანტური ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესი. წარმოების საშუალებათა წარმოების სწრაფ ზრდასთან ერთად არსებითი თვისებრივი ცვლილებები მოხდა მის სტრუქტურაში. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა შრომის იარაღების ხვედრიწონა წარმოების საშუალებათა საერთო მოცულობაში, რაც ინდუსტრიული განვითარების ფრიად მნიშვნელოვანი თვისებრივი მაჩვენებელია. ასე, მაგალითად, 1950 წ. წარმოების საშუალებათა საერთო მოცულობაში შრომის იარაღების ხვედრიწილი შეადგენდა 26 პროცენტს, ხოლო შრომის საგნებისა — 74 პროცენტს, 1960 წ. შესაბამისად — 38 და 62 პროცენტს, 1966 წ. კი — 46 და 54 პროცენტს.

შრომის იარაღების წარმოების ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა წინ როგორც საერთოდ წარმოების საშუალებათა წარმოებას, ისე შრომითი საგნების წარმოებას. თუ 1962 წელს შრომის იარაღების წარმოება 1950 წელთან შედარებით 6,5-ჯერ გაიზარდა, 1965 წ. იგი გაიზარდა 9-ჯერ, ხოლო 1966 წ. — 10-ჯერ, შესაბამისად შრომის საგნების ზრდა მოხდა 3,2-ჯერ, 4-ჯერ და 4,3-ჯერ. შრომის იარაღების ხვედრიწონის ზრდა წარმოების საშუალებების

წარმოებაში, აგრეთვე მათი წარმოების მაღალი ტემპები ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის კანონზომიერებას წარმოადგენს. წარმოების საშუალებებში ყველაზე რევოლუციური სწორედ შრომის იარაღებია, რომელთა სრულყოფა სისტემატურად მიმდინარეობს. მათი სრულყოფის პროცესი კი უსაზღვროა.

ამრიგად, მრეწველობის განვითარების ისტორიული პროცესი საერთოდ, და წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდა კერძოდ, მოწმობს, რომ ჩვენს ქვეყნის ინდუსტრიის სახით სახალხო მეურნეობას აქვს ისეთი მძლავრი ტექნიკური ბაზა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მკვეთრად ავამაღლოთ მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონე და უფრო მეტად დავაკმაყოფილოთ მისი მზარდი სულიერი მოთხოვნილება. ამისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ამჟამად ჩვენ გვაქვს ისეთი ეკონომიკა, რომელიც ერთ დღეში აწარმოებს თითქმის ორი მილიარდი მანეთის საზოგადოებრივ პროდუქტს, ესე იგი 10-ჯერ მეტს, ვიდრე 30-იანი წლების დამლევს აწარმოებდა ყოველწლიურად.

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მრეწველობის განვითარებისათვის სოციალიზმის, აგრეთვე კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პირობებში დამახასიათებელია წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდის კანონზომიერება. მაგრამ ეს ნიშანდობლივია არა მარტო მრეწველობისათვის, არამედ მთლიანად საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისათვის.

ამასავე მოწმობენ მონაცემები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოყენების შესახებ 1959 და 1966 წლების დარგთაშორისი ბალანსის მიხედვით. 1966 წელს 1959 წელთან შედარებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრიწონა, რომელიც საბოლოოდ საწარმოო მოხმარებისათვის იყო გამოყენებული, გაიზარდა, ე. ი. მატერიალური წარმოების სფეროში (მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და სხვ. დარგები) გადიდდა იმ პროდუქციის გამოყენების ხვედრიწონა, რომელიც წარმოებული იყო მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში, ხოლო შემცირდა აღნიშნული დარგების პროდუქციის იმ ნაწილის ხვედრიწონა, რომელიც გამიზნული იყო მოხმარებისათვის, დაგროვებისა და სხვა ხარჯებისათვის, აგრეთვე ექსპორტისათვის.

სახალხო-სამეურნეო ბალანსის ყველა მონაცემი მოწმობს იმას, რომ 1959—1966 წწ. (და ეს დამახასიათებელია არა მარტო ამ პერიოდისათვის) მიმდინარეობდა გაფართოებული აღწარმოების ინტენსიური პროცესი. იგი, პირველ რიგში, ხორციელდებოდა მრეწველობაში წარმოების საშუალებების, განსაკუთრებით შრომის იარაღების მოდერნიზაციისა და სრულყოფის ხარჯზე, რომლებითაც აღიქურვებოდა როგორც წარმოების საშუალებების, ისე მოხმარების საგნების მწარმოებელი დარგები.

სახალხო მეურნეობის 1959 და 1966 წლების დარგთა შორის ბალანსის მონაცემებით შესაძლებელი ხდება მიახლოებით მაინც დადგინდეს საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფების პროპორციები აღნიშნული პერიოდისათვის. თუ ავიღებთ მატერიალური წარმოების ძირითად დარგებს — მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და მშენებლობას, მათი საერთო პროდუქცია 1959 წ. და 1966 წ. შეადგენდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის თითქმის 90 პროცენტს. ამიტომ მათი პროდუქციის განაწილების პროპორციები საბოლოო დანიშნულების მიხედვით აღნიშნულ პერიოდში ძირითადად სწორად ასახავს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილებას, მათი პროპორციების დინამიკას. აღნიშნული წლების დარგთაშორისი ბალანსის მონაცემების მიხედვით წარმოების საშუალებების ზვედრიწონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში 1959 წ. 65 პროცენტიდან 1966 წ. 72 პროცენტამდე ამაღლდა, ხოლო მოხმარების საგნებისა, შესაბამისად, 35-დან 28 პროცენტამდე შემცირდა.

დარგთაშორისი ბალანსის მონაცემები გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი წარმოება აღნიშნულ პერიოდში ვითარდებოდა სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების კანონზომიერების მიხედვით, ე. ი. მოქმედებდა წარმოების საშუალებების წარმოების უფრო სწრაფი ზრდის ობიექტური ეკონომიკური კანონი.

რაც შეეხება იმას, რომ 1968—1970 წწ. და მეცხრე ხუთწლეულში (1971—1975 წწ.) მრეწველობაში მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპი რამდენადმე წინ უსწრებს წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპს, ეს არ ცვლის აღნიშნულ კანონზომიერებას როგორც მრეწველობის ძირითადი ჯგუფების, ისე საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფების განვი-

თარების პროცესში, ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდაში, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში.

აქ ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად ოპტიმალურია (რაციონალურია) თანამედროვე პირობებში როგორც მრეწველობის ძირითადი ჯგუფების, ისე საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფებს შორის ჩამოყალიბებული პროპორციები.

თანამედროვე პირობებში საბჭოთა კავშირს იმდენად ძლიერი ინდუსტრიული ბაზა აქვს და ისე ამაღლდა მისი ეკონომიკური პოტენციალი, რომ არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელი გახდა მოხმარების საგნების წარმოების მნიშვნელოვანი დაჩქარება, გარკვეულ პერიოდში კი — მათი წარმოების უფრო სწრაფი ზრდაც. უფრო მეტიც, ეს აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ უახლოესი დროისათვის ჩამოყალიბდეს ოპტიმალური თანაფარდობა საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის. თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური პოლიტიკისათვის სწორედ ეს მიმართულებაა დამახასიათებელი, რომელმაც თავისი ასახვა ჰპოვა სკკპ XXIV ყრილობის დადგენილებებში საერთოდ და კერძოდ, 1971—1975 წწ. სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ, როგორც ყრილობის მიერ მიღებულ დირექტივებში, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებულ კანონში.

ხუთწლედის მთავარი ეკონომიკური ამოცანის განხორციელებისათვის საჭიროა უზარმაზარი რესურსების გამოყენება. სოფლის მეურნეობა უნდა მომარაგდეს უფრო სრულყოფილი წარმოების საშუალებებით, გაფართოვდეს სოფლად კაპიტალური მშენებლობა. სოფლის მეურნეობა საჭიროებს ისეთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სოფლის გარდაქმნის პრობლემების გადაწყვეტას, შეამცირობს ბუნების სტიქიური ძალების გავლენას მიწათმოქმედებაზე, ამისათვის უნდა დაჩქარდეს მრეწველობის იმ დარგების განვითარება, რომლებიც ამზადებენ წარმოების საშუალებებს სოფლის მეურნეობისათვის, აგრეთვე ტექნიკას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებისათვის, მისი ტრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციისათვის. სულ უფრო მეტად განვითარდება სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაცია, რომელიც შექმნის პრო-





ბებს სოფლის მეურნეობაში ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვისათვის.

გარდა ამისა, სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის და ა. შ.), აგრეთვე ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის (ტელევიზორების, მაკინების, რადიომიმღებების, სარეცხი მანქანების და მსუბუქი ავტომანქანების) წარმოებისათვის, მათი რაოდენობრივი ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა მანქანათმშენებლობის შესაბამისი დარგების — მოხმარების საგნების წარმოებისათვის წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარება.

სათანადო ინდუსტრიული ბაზის შექმნა საჭირო იქნება მომსახურების სფეროსთვისაც, რომელიც თანამედროვე პირობებში უნდა ვითარდებოდეს, როგორც მსხვილი მექანიზირებული დარგი.

ამრიგად, მოკლე ხანში მოხმარების საგნების წარმოებისათვის უნდა შეიქმნას წარმოების საშუალებათა წარმოების შესაბამისი ინდუსტრიული ბაზა, ჩამოყალიბდეს ოპტიმალური თანაფარდობა წარმოების საშუალებათა წარმოებისათვის წარმოების საშუალებათა წარმოებასა, მოხმარების საგნების წარმოებისათვის წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საგნების წარმოებას შორის.

წლების განმავლობაში საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფში თანაფარდობანი წარმოების საშუალებათა წარმოებისათვის წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საგნების წარმოებისათვის წარმოებათა საშუალებათა წარმოებას შორის შემდეგი დინამიკით ხასიათდებოდა. თუ 1950 წ. მრეწველობის „ა“ ჯგუფის პროდუქციის გამოყენების თანაფარდობაში წარმოების საშუალებების წარმოების ხვედრიწონა საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფისათვის შეადგენდა 72 პროცენტს, ხოლო წარმოების საშუალებების წარმოების ხვედრიწონა საზოგადოებრივი წარმოების II ქვედანაყოფისათვის — 28 პროცენტს, 1955 წ. შესაბამისი მაჩვენებლები იყო — 75 და 25, 1960 წ. — 78 და 22, 1965—1966 წწ. — 82 და 18 პროცენტი.

როგორც ვხედავთ, მრეწველობის „ა“ ჯგუფში 1950—1966 წწ. მოხმარების საგნების წარმოებისათვის წარმოების საშუალებების



წარმოების ხვედრი წონის შემცირების ტენდენცია მოქმედებდა. ამეამად საგრძნობლად უნდა ამაღლდეს საზოგადოებრივი წარმოების II ქვედანაყოფისათვის წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრიწონა წარმოების საშუალებების საერთო პროდუქციაში და მათ შორისაც, სოციალისტური აღწარმოების კანონზომიერებიდან გამომდინარე, უნდა ჩამოყალიბდეს ოპტიმალური პროპორცია. ამისათვის კი საჭიროა დაჩქარდეს წარმოების საშუალებათა წარმოება მოხმარების საგნების წარმოებისათვის, რაც გათვალისწინებულია 1971—1975 წწ. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით.

ეკონომიური განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოხმარების საგნების წარმოებისათვის უნდა შეიქმნას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, ინდუსტრიული ბაზა, რაც გარკვეულ დროსა და წარმოების სათანადო დარგების შესაბამის განვითარებას მოითხოვს. ამრიგად, პირველ რიგში, საჭიროა წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდა. მრეწველობაში თანამედროვე ისტორიულ მონაკვეთზე, როგორც დროებით მოვლენას — წარმოების საშუალებათა წარმოებასთან შედარებით მოხმარების საგნების წარმოების უფრო სწრაფ ზრდას არ შეუძლია სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების საერთო კანონზომიერების შეცვლა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის შესაბამისი ინდუსტრიული ბაზის შექმნა, მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში შრომის საერთაშორისო დანაწილება და წარმოების სპეციალიზაცია, აგრეთვე ჩვენი და, საერთოდ, სოციალისტური ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, ისე როგორც კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და შემდგომი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების კანონზომიერებათა მიხედვით. სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების კანონზომიერებები მოქმედებს და გამოიხატება არა მარტო სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მისი ძირითადი დარგებისა და ჯგუფების განვითარების ტემპებში, არამედ იმ ღრმა ცვლილებებში, რომლებიც დამახასიათებელია სოციალიზმის (კომუნისმის) საწარმოო ძალების განვითარებისთვის, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისათვის.



ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში მოხმარების საგნების მწარმოებელი დარგებისათვის სრულყოფილი ინდუსტრიული ბაზის შექმნა, რაც გარკვეულ დროს საჭიროებს, განპირობებულია მოხმარების საგნების წარმოების უფრო სწრაფი ზრდის აუცილებლობით. ეს დროებითი მოვლენაა იმდენად, რამდენადაც ეს თავის მხრივ განპირობებულია მრეწველობის საერთო პროდუქციაში მოხმარების საგნებისა და წარმოების საშუალებათა წარმოების ოპტიმალური შეფარდებების მიღწევით. რაც შეეხება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსს, რომელიც კომუნისტური პარტიის მიზანს წარმოადგენს, განისაზღვრება არა მარტო მეცხრე ხუთწლედის მთავარი ამოცანით, არამედ გამოხატავს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების საერთო ორიენტაციას ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. ამიტომაც, რომ ამჟამად გაზრდილი ეკონომიკური პოტენციალი, სახალხო მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებანი შესაძლებელსა და საჭიროს ხდიან ეკონომიკის კიდევ უფრო მკვეთრ შებრუნებას ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ.

წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდა კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებად რჩება. საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, მნიშვნელოვნად ამცირებს ძირითადი წარმოებითი ფონდების, განსაკუთრებით მისი აქტიური ნაწილის — მანქანა-დანადგარების ექსპლოატაციის ვადებს, მუდმივად მოითხოვს მათ სრულყოფას და გარკვეულ, უფრო შემცირებულ ვადებში (ვიდრე თანამედროვე პირობებში) მთლიანად განახლებას.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია გვაძლევს წარმოების მეთოდების რადიკალურ გარდაქმნას, შრომის პრინციპულად ახალი, უფრო სრულყოფილი იარაღების, პროგრესული მასალების შექმნის შესაძლებლობას, ქმნის ახალ დარგებს, უზრუნველყოფს მთელი წარმოებითი საქმიანობის ფექტიანობის გადიდების უმაგალითო შესაძლებლობას. ამიტომაც, რომ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები და უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული კანონი სახალხო მეურნეობის და, კერძოდ მრეწველობის, განვითარების

შესახებ 1971—1975 წწ. ითვალისწინებენ იმ დარგების განვითარების წინგამსწრებ ტემპებს, რომლებიც ტექნიკურ პროგრესს განსაზღვრავს. საერთო პროდუქციის წარმოება ისეთ დარგებში, როგორცაა ელექტროენერგეტიკა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაციის საშუალებების, გამომთვლელი მანქანების და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის გაწყობილობის წარმოება გათვალისწინებულია 67 პროცენტით გადიდდეს. პროგრესული დარგების განვითარება არ წარმოადგენს დროებით მოვლენას, ეკონომიკური განვითარების ყოველ ისტორიულ ეტაპზე ესა თუ ის დარგი ყოველთვის განსაზღვრავს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, ამიტომ ამგვარი განვითარება საწარმოო ძალების ზრდის, ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების, ინდუსტრიული ბაზის შემდგომი სრულყოფის განუხრელი კანონზომიერებაა. სისტემატურად უნდა იქმნებოდეს თვისებრივად ახალი შრომის იარაღები, დაჩქარებული ტემპით ხდებოდეს მოძველებული ტექნიკის განახლება და შეცვლა, შრომატევად სამუშაოთა ფართო მექანიზაცია, სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია, მატერიალური წარმოების სფეროს დარგებიდან სამუშაო ძალის გამოთავისუფლება, მეცნიერების და ტექნიკის შემდგომი აღმავლობა. ყოველივე ამის განხორციელება კი საერთოდ შეუძლებელია წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდის კანონის მოთხოვნათა გათვალისწინების გარეშე.

## V. საქართველოს მრეწველობის განვითარება ახალ ხუთწლეულში (1971—1975 წწ.)

სკკ XXIV ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. მას საფუძვლად უდევს პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკა, რომლის მიზანია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ყოველმხრივი განმტკიცება. ყრილობის დირექტივების მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკების ხუთწლიან გეგმებს საფუძვლად ედება თვითეული რესპუბლიკის ეკონომიკური თავისებურებანი და შესაძლებლობანი. გეგმებში გათვალისწი-

ნებულის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის სამეურნეო ურთიერთობების განმტკიცება და სრულყოფა, სსრ კავშირის ყველა შიდა მე ხალხის ინტერესების დაცვა. საკუთარი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებით თვითეული რესპუბლიკა მაქსიმალურ წვლილს შეიტანს საერთო-საკავშირო ამოცანების გადაწყვეტაში.

ამ მიზნით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მწარმოებლური ძალების რაციონალურ განლაგებას მოკავშირე რესპუბლიკებსა და ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებში.

გამომდინარე 1971—1975 წწ. სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი დავალებებიდან, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მწარმოებლური ძალების ახალ მძლავრ აღმავლობას და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობისათვის გამოყოფილი საერთო კაპიტალური დაბანდებებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება გამოყენებული მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველური წარმოების განვითარებისათვის. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდება 1971—1975 წწ. მრეწველობის პროდუქციის წარმოება.

მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა მოკავშირე რესპუბლიკებში 1971—1975 წწ. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის მიხედვით იქნება:

სსრ კავშირი . . . . .	1,47-ჯერ	ლატვის სსრ . . . . .	1,49-ჯერ
რუსსრ . . . . .	1,47 "	მოლდავეთის სსრ . . . . .	1,62 "
უკრაინის სსრ . . . . .	1,43 "	ლატვიის სსრ . . . . .	1,40 "
ბელორუსიის სსრ . . . . .	1,58 "	ყირგიზეთის სსრ . . . . .	1,55 "
უზბეკეთის სსრ . . . . .	1,51 "	ტაჯიკეთის სსრ . . . . .	1,38 "
ყაზახეთის სსრ . . . . .	1,59 "	სომხეთის სსრ . . . . .	1,64 "
საქართველოს სსრ . . . . .	1,44 "	თურქმენეთის სსრ . . . . .	1,64 "
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	1,46 "	ესტონეთის სსრ . . . . .	1,38 "

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მეცხრე ხუთწლეულში მნიშვნელოვნად გაიზრდება მრეწველური წარმოება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

მრეწველობის საერთო ზრდასთან ერთად ყველა ნაციონალური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იქნება გარკვეული თავისებურებებიც.

თანახმად 1971—1975 წწ. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა, ძირითად მიმართულებას საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში წამოადგენს სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის შემდგომი ზრდა 44%-ით; ამასთან ერთად სწრაფი ტემპით განვითარება მანქანათმშენებლობის არალითონტექვადი დარგებისა.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით გადიდდება: ელექტროენერჯის (1,7-ჯერ), მანქანათმშენებლობის (1,8-ჯერ), ქიმიური მრეწველობის (2-ჯერ), კერძოდ, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების (4,7-ჯერ), სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა (2,1-ჯერ), შიფერისა (2-ჯერ), მსუბუქი მრეწველობისა (1,5-ჯერ), ხილბოსტნეულის კონსერვებისა (1,4-ჯერ) და ავეჯის (2-ჯერ) წარმოება. დამთავრდება რიგი ელექტროსადგურის მშენებლობა და ამოქმედდება მათი სიმძლავრეები (ენგურისა და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პირველი ელექტროსადგური). დაიწყება ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის და დამთავრდება მდინეულის სპილენძამადიდრებელი კომბინატის მშენებლობა, აშენდება ფაიფურ-ქაშანურის ქარახანა, მნიშვნელოვნად გადიდდება მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეები. საგრძნობი ცვლილებები მოხდება სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც. გაიზრდება ჩაის, ყურძნის, თამბაქოსა და ციტრუსოვანთა, ხორცისა და რძის წარმოება. ფართოდ ჩატარდება საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოები, განმტკიცდება მეცხოველეობის საკვები ბაზა.

როგორც ვხედავთ, პერსპექტივაშიც გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები ეროვნული მეურნეობის განვითარებაში.

რესპუბლიკის ეკონომიკაში თვისებრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის საჭიროა მივაღწიოთ კაპიტალური დაბანდებების ათვისების უფრო მაღალ დონეს ვიდრე გასულ წლებში, აგრეთვე ძირითადი წარმოებრივი ფონდების უფრო ეფექტურ გამოყენებას და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ამ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ისე როგორც მრეწველობის პროდუქციის წარმოების ხვედრიწონას, შესაბამის საშუალო-სა-

კავშირო მარჯვენებელში შემცირების ტენდენცია ჰქონდა, მაშინ ცხადი იქნება ჩვენთვის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება რესპუბლიკის მეურნეობრივ ორგანოებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. ამის მნიშვნელოვან პირობას კი წარმოადგენს მეცხრე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პრაქტიკული განხორციელება.

მიღწეულმა წარმატებებმა საქართველოს მრეწველობაში შექმნეს აუცილებელი წინაპირობები საქართველოს სოციალისტური ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ეს პოულობს თავის გამოხატულებას იმ პერსპექტივებში, რომელიც დასახულია საქართველოს ეკონომიკის და კერძოდ მრეწველობის განვითარებისათვის ახალ ხუთწლედში (1971—1975 წწ.),

მრეწველური წარმოების შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად ამაღლდება სახალხო მეურნეობის ამ დარგში დასაქმებულთა როგორც აბსოლუტური ოდენობა, ისე ხვედრიწონა სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა შორის. მნიშვნელოვანი იქნება მისი პროდუქციის ხვედრიწონის ზრდა როგორც ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში, აგრეთვე ეროვნულ შემოსავალში.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში საერთო კაპიტალური დაბანდებებიდან თითქმის ნახევარი დაბანდდება მრეწველობაში. მრეწველობის ცალკეული დარგებიდან კი კაპიტალური დაბანდებების მაღალი ხვედრიწონა ექნება ელექტროენერგეტიკას, მანქანათმშენებლობას და ლითონდამუშავებას, კვების მრეწველობას და სხვ.

მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებების და საერთოდ მრეწველური წარმოების გაშლა-განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად ამაღლდება ამ დარგის თვისებრივი მაჩვენებლები. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი იქნება მრეწველური პროდუქციის იმ ნაწილის სწრაფი ზრდა და მისი მაღალი დონე მრეწველობის მთლიან პროდუქციაში, რომელიც შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ხარჯზე მიიღება.

ამრიგად, ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს მრეწველობა 1971—1975 წწ. მნიშვნელო-

ვან ნაბიჯს გადადგამს წინ რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენცი-  
ალის შემდგომი ამაღლებისათვის, კომუნისტური მატერიალურ-ტექ-  
ნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

## VI. საქართველოს მრეწველობის ძირითადი დარგები და მათი განვითარების პერსპექტივები 1971—1975 წწ.

**ელექტროენერგეტიკა.** საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელსვე ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად დაიწყო საქართველოს სსრ ელექტროფიკაციის სამუშაოები. 1922 წელს საფუძველი ჩაეყარა ზაპესის მშენებლობას და 1927 წელს ამუშავდა მისი პირველი აგრეგატი. ამავე წლებში დაიწყო აგრეთვე აქარწყლის ჰიდროელექტროსადგურის, აბაშქესისა და ზოგიერთი მცირეძალოვანი სოფლის ელექტროსადგურის მშენებლობა. 1930 წელს შეუდგნენ ზაპესის გასაფართოებელ სამუშაოებს და მეორე ხუთწლედის ბოლოს იგი მთელი პროექტული სიმძლავრით ამუშავდა. საქართველოს მეორე დიდი რაიონული ჰიდროელსადგურის — რიონჰესის მშენებლობა დაიწყო პირველი ხუთწლედის დამდეგს. ამ სადგურის პირველი ორი აგრეგატი 1933 წელს, ხოლო ორი უკანასკნელი აგრეგატი 1934 წელს ამუშავდა. 1934 წელს დაიწყო მშენებლობა და 1947 წელს ამუშავდა მძლავრი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგური — ზრამქესი I, რომლის მშენებლობა შეწყდა ომის დაწყებასთან დაკავშირებით და განახლდა დიდი ხნით ადრე ომის დამთავრებამდე; ამ ჰიდროსადგურის ამუშავებით მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკაში ელექტროენერჯის გამო-  
მუშავება, განსაკუთრებით ზამთრის წყალნაკლებობის პერიოდში.

ზრამის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებით მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკაში ელექტროენერჯის გამომუშავება. ზრამის ელექტროსადგურის შემდეგ ამოქმედდა სოხუმის ჰიდროსადგური, რომელიც ამარაგებს ელექტროენერჯით აფხაზეთის ასსრ და სხვა რაიონების მეურნეობას. 1955 წლის დასაწყისში ამუშავდა შაორის ჰესი, ხოლო 1956 წლის ბოლოს — ტყიბულის ჰესი.

ბორჯომის ხეობაში მდინარე მტკვარზე ომისშემდგომ წლებში აგებულია ჩითახეჰესი. ზემო ავჭალის ჰესის შემდეგ ეს მეორე

რე ჰიდროელექტროსადგურთა მდინარე მტკვარზე საქართველოს ფარგლებში.



ამავე მდინარეზეა აგებული ქ. თბილისში ორთაქალკესი.

ენერგეტიკული მეურნეობის განვითარებამ შესაძლებელი გახდა შექმნილიყო მრეწველობის სრულიად ახალი დარგები, ამასთანავე განხორციელებულიყო ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროწვევაზე გადაყვანა და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამუშაოების ფართოდ გაშლა.

დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის სამგორის ირიგაციულ-ენერგეტიკული სისტემის შექმნას, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ ომამდელ წლებში დაიწყო. აგებულია ზემო სამგორის სარწყავი სისტემა, რომელიც შედგება თიანეთის რაიონში, მდ. იორზე, სოფ. დოსთან მოწყობილ წყალსადები კაშხალისაგან, არხებისა და გვირაბებისგან. ზემომავისტრალურ არხს წყალი მიჰყავს თბილისის წყალსაცავთან, რომელიც შექმნილია ბუნებრივი ქვაბურებისა და სამი ეგრეთწოდებული „მლაშე“ ტბისაგან. ამჟამად ეს წყალსაცავი — „თბილისის ზღვა“ — წარმოადგენს თბილისელებისათვის კეთილმოწყობილ დასასვენებელ ადგილს. ზემომავისტრალური არხის ვარდნილებზე აგებულია სამგორის სამი ჰესი, რომლებიც ჩართულია რესპუბლიკის ენერგეტიკულ სისტემაში.

მნიშვნელოვნად განვითარდა საქართველოში სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია, როგორც კოლმეურნეობრივი და კოლმეურნეობათაშორისი ჰიდროელსადგურების მშენებლობის ბაზაზე, ასევე სახელმწიფო ენერგოსისტემაში სოფლის მომხმარებელთა ჩართვის გზით. თუ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რესპუბლიკას ჰქონდა მხოლოდ 6 სასოფლო ჰიდროელსადგური, ამჟამად მათი რიცხვი 2000-ს აღემატება.

საქართველოში ენერგომშენებლობის წარმატებას მოწმობენ შემდეგი მონაცემები: 1940 წელთან შედარებით 1950 წელს ელექტროენერჯის გამომუშავება გაიზარდა 1,8-ჯერ, ხოლო 1913 წელთან შედარებით — 62,0-ჯერ. ამოქმედდა მარგეულირებელი ჰიდროელექტროსადგურები და საშუალოზე უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდა თბოელექტროსადგურების სიმძლავრეები. 1958 წელს ელექტროენერჯის გამომუშავება 1923 წელთან შედარებით 148,1-



ჯერ და 1940 წელთან შედარებით თითქმის 4-ჯერ გაიზარდა: ტბო-  
ელექტროსადგურების წილი ელექტროენერჯის საერთო გამომუ-  
შავებაში 1940 წლის 26,6%-დან 1967 წელს 63,8%-მდე გაიზარდა. მე-  
ხუთე ხუთწლედის დამდეგიდან საქართველოს სსრ ენერჯოსისტე-  
მა სათანადო ენერჯოგადამცემი ხაზით დაუკავშირდა აზერბაიჯანის  
ენერჯოსისტემას, რის შედეგად ჩვენმა რესპუბლიკამ 1955 წელს  
დამატებით მიიღო 235 მლნ და 1967 წელს—450, 9 მლნ კილოვატ-  
საათი ელექტროენერჯია. საერთოდ, 1970 წელს 1940 წ. შედარე-  
ბით ელექტროენერჯის გამომუშავება საქართველოში გაიზარდა  
12-ჯერ, რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით (1913 წ.) თითქ-  
მის 450-ჯერ.

რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზა წლიდან წლამდე მტკიც-  
დება და ვითარდება. ჰიდროელექტრომშენებლობას მნიშვნელო-  
ვანი ადგილი უჭირავს კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულო-  
ბაში. ლაჯანურის, გუმათის, ტყიბულის, ბეჟუის, ხრამის მეორე  
რიგი ჰიდროელექტროსადგურების ექსპლოატაციაში გადაცემის  
შემდეგ, და აგრეთვე ტყვარჩელჰესის მესამე რიგის მშენებლო-  
ბის დამთავრებისა და რუსთავის ქარხნის თბოელექტროსადგურის  
გაფართოების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს  
ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრე.

რესპუბლიკის რიგი მსხვილი ჰიდროელექტროსადგური აღ-  
კურვილია ავტომატური აგრეგატებით და მათი მართვა ტელემექა-  
ნიკის საშუალებათა დახმარებით ხდება.

1959—1965 წწ. დამთავრებული იყო და ექსპლოატაციაში გა-  
დაეცა ლაჯანურის და ხრამ II-ის ელექტროსადგურები.

ელექტროენერგეტიკის ბაზის განმტკიცებისათვის განსაკუთ-  
რებული მნიშვნელობა ჰქონდა 930 ათასი კილოვატი სიმძლავრის  
თბილისის თბოელექტროსადგურის მშენებლობას, და მის ექსპლო-  
ატაციაში გადაცემას, რადგან იგი მთელი ელექტროენერჯის გა-  
მომუშავების 60 პროცენტს იძლევა. მისი ამუშავების შედეგად  
საგრძნობლად გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობის მომარაგება.

დიდი სამუშაოები წარმოებს საქართველოში ენერჯის უდი-  
დესი ელექტროსადგურის მშენებლობაზე. მიუხედავად ამისა, საბ-  
ჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა ჯერ კიდევ განიცდის  
ელექტროენერჯის ნაკლებობას და ელექტროენერგეტიკული მრე-

წველობის განვითარების დაჩქარება რესპუბლიკის შემდგომი მეურნეობრივი აღმავლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამასთანავე, საქართველოს სსრ მდიდარი ჰიდროენერგორესურსები გააჩნია. რესპუბლიკის მდინარეთა საერთო სიმძლავრე 12,3 მლნ კილოვატს აღწევს და ელექტროენერგიის წლიური გამომუშავების პოტენციური ოდენობა დაახლოებით 108 მლრდ კილოვატსაათს შეადგენს, ამ რესურსების ათვისებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ელექტროენერგეტიკული მრეწველობის განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის.

1971—1975 წწ. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად გათვალისწინებულია ელექტროენერგიის წარმოების სწრაფი ზრდა. მეცხრე ხუთწლედის ელექტროენერგიის წარმოება გადიდება 1,7-ჯერ და მისი გამომუშავება 15,5 მლნ კილოვატსაათს მიაღწევს. ამრიგად, ხუთწლედის დამლევისათვის, ე. ი. 1975 წ. ბოლოსათვის ერთი დღის განმავლობაში იმდენი ელექტროენერგია უნდა გამომუშავდეს, რაც 1940 წ. იწარმოებდა ერთი თვის განმავლობაში. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეების — ვარციხის კასკადის პირველი რიგის ამოქმედება. დაიწყება ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა. თბილისის თბოელექტროსადგურებზე ამოქმედდება 360 ათასი კილოვატი სიმძლავრის ახალი ავრეგატები.

მიუხედავად იმისა, რომ 1971—1975 წწ. ელექტროენერგიის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზრდება, რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული ბალანსი მეცხრე ხუთწლედის დამლევისათვის მაინც საკმაოდ დაიძაბება, რაც მოითხოვს რიგი არსებითი ღონისძიებების გატარებას ამ მიმართულებით.

განსაკუთრებით დიდი სამუშაოები შესრულდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, რაც აუცილებელი პირობაა მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულ სიმძლავრეთა ამოქმედების უზრუნველყოფისათვის. უნდა შესრულდეს 350—400 მლნ მანეთის მოცულობის რთული სამუშაოები, მათ შორის უნიკალური თაღოვანი კაშხალის, სადერივაციო გვირაბისა და მიწისქვეშა ელექტროსადგურის სამანქანო შენობა-ნაგებობათა მშენებლობა.

ენურის ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრეთა ამოქმედება წარმოადგენს სახალხო მეურნეობის, მისი ძირითადი დარგების განვითარების და რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

**ქვანახშირის მრეწველობა.** ტყიბულის ქვანახშირის საბადოები აღმოაჩინეს გასული საუკუნის 30-იან წლებში. 1845 წელს აქ მოიპოვეს 750 ტონა ქვანახშირი. მომდევნო წლებში ქვანახშირის მოპოვება გაიზარდა, მაგრამ არასოდეს არ აღემატებოდა ათას ფუტს დღე-ღამეში. ტყიბულის ნახშირის საბადოების დამუშავება უპირატესად ხდებოდა ღია (საკარიერო) წესით, ქვანახშირის ამოღება წარმოებდა ძირითადად არქაული იარაღებით — წერაქვითა და ნიჩბით, ნახშირის მიზიდვა რკინიგზის სადგურზე, ვაკონებში დატვირთვის ადგილზე ხდებოდა გლეხური ურმებით. შახტების პატრონები ეწეოდნენ მუშა-მალაროელთა სასტიკ ექსპლოატაციას. მეშახტენი დღეში 16—18 საათს მუშაობდნენ, მოკლებული იყვნენ სამედიცინო დახმარებას. მალაროებში არ იყო დაცული უსაფრთხოების ელემენტარული წესები. მენშევიკური მთავრობის დროს ტყიბულის ქვანახშირის მალაროები სრულ დაცემამდე მივიდა, ქვანახშირის მოპოვება შემცირდა.

ტყიბულის ქვანახშირის რაიონის მძლავრი განვითარება დაიწყო მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ფართოდ შეისწავლეს ტყიბულის ქვანახშირის საბადოები, რამაც საგრძნობლად გაადიდა ქვანახშირის მრეწველური მარაგი. უახლესი გამოკვლევების საფუძველზე გაიშალა დიდი მშენებლობა. ახლანდელი ტყიბულის შახტები — ეს კარგად მოწყობილი, მძლავრი მიწისქვეშა ქარხნებია. ტყიბული მეშახტეთა დიდ ქალაქად გადაიქცა.

ომამდელ ხუთწლეულებში საქართველოში შეიქმნა და განვითარდა ქვანახშირის მოპოვების მეორე რაიონი — ტყვარჩელი (აფხაზეთის ასსრ). 1956 წელს აქ მოეწყო ახალი მალარო. შემდგომ ამაუშავდა ახალი მალარო ახალციხეში.

ტყიბულის, ტყვარჩელის და ახალციხის მალაროებში დანერგულია თანამედროვე სრულყოფილი მანქანები და მექანიზმები, საბურღი ჩაქუჩები, მთის ქანების და ქვანახშირის სატვირთო მანქანები, საფხეკი ტრანსპორტიორები, მძლავრი ელექტრომავლები.

ქვანახშირის მრეწველობაში წარმოებრივი პროცესების მე-

ქანიზაცია შესაძლებლობას იძლევა განუზრელად გავზარდოთ ქვანახშირის მოპოვება. ისეთი სამუშაოები, როგორცაა ნახშირის გაყვლა და მონგრევა, მისი გამოზიდვა საწმენდი სანგრებიდან, ნახშირის და ქანების ზიდვა ტვირთბრუნვით, ნახშირის დატვირთვა რკინიგზის ვაგონებში 100 პროცენტითაა მექანიზირებული. გაორკეცდა ქვანახშირის მოპოვება ახალციხეში, მეტ პროდუქციას იძლევა ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროები. 1958 წელს ქვანახშირის მოპოვება საქართველოში 1913 წელთან შედარებით გადიდა 43-ჯერ, 1950 წელს 1940 წელთან შედარებით — 2,7-ჯერ, ხოლო 1970 წელს — თითქმის 4-ჯერ.

ეუფლებიან რა ახალ ტექნიკას და აუმჯობესებენ რა შრომის მეთოდებს, დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქვანახშირის მრეწველობის განვითარებაში შრომის ნოვატორებმა — მეშახტეებმა.

წლიდან წლამდე იზრდება ქართველ მეშახტეთა კეთილდღეობა. გადიდა მათი ხელფასი, კეთილმოწყობილია მემადაროეთა ქალაქები და დაბები.

1971—1975 წწ. გაიზრდება ქვანახშირის მოპოვება. ტყიბულში აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორი ახალი მაღარო, თვითეული 600 ათასი ტონის სიმძლავრისა.

საერთოდ მეცხრე ხუთწლედში სამრეწველო და კომუნალური საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებისათვის სათბობის მოხმარება გაიზრდება თითქმის 1,6-ჯერ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სათბობის ბალანსის სტრუქტურა, ეს გამოიხატება იმაში, რომ სათბობის საერთო ბალანსში ბუნებრივი გაზის მოხმარების ხვედრიწონა შეადგენს 45,5 პროცენტს, ნაცვლად 25 პროცენტისა 1970 წ., რაც გაპირობებულია ბუნებრივი გაზის რესურსების გადიდებით უწინარეს ყოვლისა გაზის ირანიდან მოწოდების ხარჯზე.

**ქიათურის მანგანუმი.** ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას ჰქონდა დიდძალი მანგანუმის მადანი, მანგანუმს იყენებენ მატერიალურ წარმოებაში სხვადასხვა შენადნობის სახით, მაღალხარისხოვანი ფოლადის მისაღებად, აგრეთვე ქიმიურ და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში. მანგანუმს იყენებენ აგრეთვე იოდის, სალბავის, მანგანუმის პრეპარატების, აკუმულატორული ბატარეებისა და სხვ. წარმოებისათვის. ქიათურის რაიონი საბჭოთა კავშირის მანგანუმის საბადოების მსხვილი ბაზაა. როგორც ცნობი-

ლია, კიათურის მანგანუმის საბადოები ხარისხით საუკეთესოა მსოფლიოში, ზოლო საერთო მარაგით მას ჩვენს ქვეყანაში მეორე ადგილი უკავია (ნიკოპოლის შემდეგ).

საბჭოთამდელ პერიოდში მანგანუმის მოპოვება წარმოებდა ხელით და მალაროებიდან მადანი ურუმებით გამოჰქონდათ. ლითონის დანაკარგები მადნის გამდიდრების დროს შეადგენდა 50 პროცენტს, სამუშაო დღე 14—16 საათს გრძელდებოდა. მალაროები მოუწყობელი იყო, ზშირად ხდებოდა ჩამონგრევა, რაც იწვევდა მრავალი ადამიანის მსხვერპლს. მემალაროეთა ქალაქს სასმელი წყალიც კი აკლდა.

საბჭოთა პერიოდში კიათურამ საფუძვლიანი ცვლილებები განიცადა. მალაროების დამუშავების წინანდელი პრიმიტიული ხერხებიდან კვალიც არ დარჩა. დღევანდელი კიათურის მანგანუმის მალაროები მსხვილი საწარმოებია. 1928 წელს შექმნილი ტრესტი „კიათურმარგანეცი“ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს ტრესტს. ტრესტის ექვსი მადანსამმართველო აერთიანებს მალაროებს და გამამდიდრებელ ფაბრიკებს.

კიათურის მალაროები აღჭურვილია უახლესი ტექნიკით — სკრეპერებით, ელექტრომავლებით და სხვა სრულყოფილი მექანიზმებით. ისეთი პროცესები, როგორიცაა ბურღვა, მონგრევა, ზიდვა (მალაროში), პროდუქციის მალაროდან გაზიდვა — მთლიანად მექანიზებულია.

ფრიად განვითარდა მადნის გამამდიდრებელი ტექნიკა, რომელიც მაქსიმალურად ამცირებს ლითონის დანაკარგებს და ზრდის პირველხარისხოვანი მადნის გამოშვებას. კიათურის მანგანუმის და აჯამეთის ქალცედონის ბაზაზე, საქართველოს რაიონული ელექტროსადგურების გაერთიანების შედეგად მიღებული იაფფასიანი ენერგიით ზესტაფონში მუშაობს მსხვილი ელექტრომეტალურგიული ქარხანა.

მანგანუმის მრეწველობაში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის მეოხებით შემსუბუქებულია მალაროს მუშის შრომა, მკვეთრად გაიზარდა მადნის მოპოვება. 1913 წელთან შედარებით კიათურის მალაროს მუშის დღიური შრომის მწარმოებლურობა ჯერ კიდევ 1956—1957 წწ. გადიდა 6-ჯერ და მეტად. 1956 წელს კიათურაში მოიპოვეს გაცილებით მეტი მანგანუმი, ვიდრე 1913 წელს, როდესაც კიათურის მანგანუმის მრეწველობის

პროდუქცია მანგანუმის მსოფლიო მოპოვების 50%-ს შეადგენდა. საერთოდ მანგანუმის მადნის მოპოვება 1940—1970 წწ. შესამჩნევად გაიზარდა. ამჟამად საქართველო იძლევა მანგანუმის მადნის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე მანგანუმის უმთავრესი მსოფლიო მიმწოდებლები — სამხრეთ აფრიკის კავშირი, განა (ოქროს ნაპირი), მაროკო, კონგო, მექსიკა, და აშშ ერთად აღებული.

ქიათურის მანგანუმის მოპოვების ზრდის თავისი მცირე გამტარუნარიანობის გამო მნიშვნელოვნად აფერხებდა ვიწროლიანდაგიანი ქიათურა-შორაპნის რკინიგზა. 1957 წელს აქ მწყობრში ჩადგა ფართოლიანდაგიანი ელექტროფიცირებული რკინიგზა, რამაც ხელი შეუწყო მანგანუმის მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

90 წელიწადზე მეტია რაც წარმოებს ქიათურის მანგანუმის უნიკალური საბადოების დამუშავება, მაგრამ აქამდე ძირითადად იყენებდნენ მხოლოდ დაეანგულ მაღალხარისხოვან მადნებს. დაბალი ხარისხის კარბონატული მჩატეფორიანი და სხვ. მადნეულის გადამუშავება არ წარმოებდა, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა მათ დიდ დანაკარგებს.

ახლა, ვინაიდან მაღალი ხარისხის შემცველი მადნეულის მარაგი რამდენადმე შემცირდა, დაისვა საკითხი დაბალი ხარისხის მადნეულის უტილიზაციის შესახებ. ქართველი მეცნიერ-მეტალურგების მიერ შემუშავებულია მარგანეცის მადნის ახალი სტანდარტები, რაც იძლევა საშუალებას ღარიბი მადნეულის გამოყენებისათვის. ამასთანავე, მრეწველობის ამ დარგში დასმულია საკითხი ადგილზე მთელი მარგანეცის კონცენტრატების მანგანუმის შენადნობად გადამუშავების შესახებ. ეს საშუალებას ქმნის საზღვარგარეთ გავიდეს მარგანეცის კონცენტრატების მაგიერ ფეროშენადნობები, რასაც დიდი ეკონომიკური ეფექტი ექნება.

გარდა ამისა, საკითხი დგას წვრილმარცვლოვანი მანგანუმის მადნის დანაპროვების შესახებ, აგლომერაციისა და დაბირკეტების საშუალებით, რაც შექმნის დახურული ლუმელების ნორმალური მუშაობის პირობებს და მოსპობს ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას. მანგანუმის ღარიბი მადნების გამოყენებას დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. ისინი გამოიყენებიან ქიმიურ მრეწველობაში უმაღლესი ხარისხის რეაქტივების მისაღებად, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში ვალვანური ბატარეების საწარმოებლად. ამრიგად, სა-

ქართველოს მანგანუმის მრეწველობაში მოსალოდნელია მნიშვნე-  
ლოვანი თვისებრივი ცვლილებები.



ქიათურის მალაროელები დიდი ხანია იმყოფებიან ძმურ, მე-  
გობრულ კავშირში უკრაინის სსრ ნიკოპოლის მალაროელებთან.  
წლების განმავლობაში ამ ორი რესპუბლიკის მანგანუმის აუზები  
ურთიერთს ეჯიბრებიან წარმოების გადიდებასა და შრომის მწარ-  
მოებლურობის ამაღლებაში.

ძნელადსაცნობი გახდა უკანასკნელ წლებში ქალაქი ქიათუ-  
რა. აქ აგებულია ახალი საცხოვრებელი სახლები და საზოგადო-  
ებრივი შენობები, თითოეულ მადანსამართველოსთან გაშენებუ-  
ლია კეთილმოწყობილი მუშათა დაბები. მალაროელთა ქალაქის  
ცენტრალურ მოედანს ამშვენებს აკაკი წერეთლის სახელობის დრამა-  
ტიული თეატრის ახალი შენობა.

**შავი მეტალურგია.** საქართველოს მშრომელთა სიამა-  
ყეს წარმოადგენს მოკლე დროის განმავლობაში თითქმის გაუდაბ-  
ნოებულ ადგილას აგებული ახალი სოციალისტური ქალაქი რუს-  
თავი თავისი მეტალურგიული ქარხნით. ქარხანა მუშაობს საქარ-  
თველოს კოქსეადი ნახშირის (ტყვარჩელი, ტყიბული) და დაშქესა-  
ნის (აზერბაიჯანის სსრ) რკინის მადნის საბადოების ბაზაზე. ფარ-  
თოდაა გამოყენებული აგრეთვე მინერალური ნედლეულის ად-  
გილობრივი სახეობანი. ქარხანა აწარმოებს კოქსს, თუჯს, ფო-  
ლადს, ნაგლინს, მთლიანქიმულ მილებს და სხვ.

შავი ლითონები, განსაკუთრებით თუჯი და ფოლადი თანამედ-  
როვე მრეწველობის, მთელი სახალხო მეურნეობის თავისებური  
ხერხემალია. ომამდელ ხუთწლეულებში საქართველოში შეიქმნა  
შავი მეტალურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობა — ფერო-  
შენადნობთა წარმოება (ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა,  
რომელიც ჯერ კიდევ 1933 წელს ამუშავდა). მაგრამ სხვა სახეო-  
ბის შავ ლითონთა წარმოება (თუ არ ჩავთვლით ფოლადს, რომლის  
ჩამოსხმა 1940 წელს 200 ტონას არ აღემატებოდა) რესპუბლიკას  
ჯერ კიდევ არ ჰქონდა.

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ფოლადისა და ნაგლი-  
ნის გამოშვება მეოთხე ხუთწლეულის დამლევს, ხოლო თუჯის წარ-  
მოება მეხუთე ხუთწლეულის ბოლო წლებში დაიწყო. ამით საბ-

კოთა საქართველოს მრეწველური წარმოების პროდუქციის ნომენ-  
კლატურას ფრიად მნიშვნელოვანი ახალი სახეობის პროდუქცია,  
შეემატა. ამასთან ერთად, განვითარდა კოქსის წარმოება და  
მტკიცე საფუძველი ჩაეყარა აზოტოვანი სასუქის მრეწველობის  
წარმოქმნა-განვითარებას. თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარ-  
მოების რაოდენობის მხრივ 1956—1958 წწ. საბჭოთა საქართვე-  
ლომ მესამე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბ-  
ლიკებს შორის. 1940 წელთან შედარებით 1950 წელს ჩვენი რეს-  
პუბლიკის შავი მეტალურგიის მთლიანი პროდუქცია 71%-ით გაი-  
ზარდა, ხოლო 1967 წელს 1950 წელთან შედარებით — 7-ჯერ.  
ცალკეული უმნიშვნელოვანესი პროდუქციის წარმოება კი 1950 წ.  
შედარებით გაიზარდა: თუჯისა — 1,8-ჯერ, ფოლადის — 2,1-ჯერ,  
შავი ლითონის ნაგლინის — 1,9-ჯერ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ამუშავების შედეგად, ჯერ  
კიდევ ორმოცდაათიან წლებში საქართველო მოსახლეობის ერთ-  
სულზე თუჯის გამოდნობის მხრივ რამდენიმეჯერ აჭარბებდა ისეთ  
ინდუსტრიულ ქვეყნებს, როგორცაა იაპონია და იტალია, ხოლო  
ფოლადს აღნობდა მნიშვნელოვნად მეტს, ვიდრე შვეიცარია, ნორ-  
ვეგია და თურქეთი ერთად აღებული.

ახალი ქარხნის კვალიფიციური მუშებით უზრუნველსაყოფად  
ასობით ქართველი ახალგაზრდა გაიგზავნა ქვეყნის უმსხვილეს მეტა-  
ლურგიულ ცენტრებში ენაკიევოს, გორლოვკას, დნეპროდერჟინსკს,  
სტალინგრადს, ტაგანროგს, პერვოურალსკსა და მაკეევკაში,  
რათა შეესწავლათ ფოლადის დნობის ხელობა. იქ მათ ასწავლიდ-  
ნენ კვალიფიციური ოსტატები (რუსები, უკრაინელები და სხვ.),  
რომლებიც ხალისით გადასცემდნენ საქართველოდან მოსულ მე-  
გობრებს თავიანთ გამოცდილებას, ცოდნას, მოთმინებით და სიყ-  
ვარტლით ზრდიდნენ მათგან მომავალ მეტალურგებს, მგლინა-  
ვებს, მეკოქსე-ქიმიკოსებს და ელექტრომოტორისტებს, მემწეებ-  
სა და ცეცხლფარეშებს.

წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ასამალ-  
ლებლად ქარხანაში ხორციელდება მრავალი ღონისძიება. დაინერ-  
გა ფოლადის უწყვეტადი სხმის უნიკალური მეთოდი; განხორ-  
ციელდა მილსაგლინავი დგანი „400“-ის სრული ავტომატიზაცია,  
რომლის პროექტის შემქმნელს და წარმოებაში ამთვისებელ სპე-  
ციალისტთა ჯგუფს მიენიჭა ლენინური პრემია.



რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე აგებულია რიგი მსხვილი საწარმო, რომელთაც დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვთ: ჯერ კიდევ 1955 წელს მუშაობა დაიწყო რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გადამმუშავებელმა საამქროებმა, რომლებიც აწარმოებენ მინერალურ სასუქებს. ქარხანა იყენებდა საკოქსე ბატარიის გამონაყოფ გაზებს (ამჟამად გადასულია ბუნებრივ გაზზე), ხოლო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბრძმედებიდან მიღებულ ტუტეს თანდათანობით იყენებენ ცემენტის წარმოებისათვის. ქალაქ რუსთავეში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა ქიმიური მრეწველობა.

1971—1975 წწ. კიდევ უფრო მეტად განვითარდა შავი და ფერადი მეტალურგია. შავ მეტალურგიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების გაფართოებას და მათი ხარისხის გაუმჯობესებას. მეცხრე ხუთწლედში თუჯის წარმოება გაიზარდა 4,7 პროცენტით, რასაც უზრუნველყოფს ბრძმედების სიმძლავრეების ზრდა და მათი უკეთ გამოყენება. სრულყოფილი იქნება აგრეთვე სხვა ტექნოლოგიური დანადგარები, რომლებიც გააუმჯობესებენ მზა პროდუქციის ხარისხს და შექმნიან პირობებს ხაგლინის მსოფლიო სტანდარტების დონეზე გამოშვებისათვის.

ფერად მეტალურგიაში არსებულ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებასთან ერთად ნაეარაუდევია სპილენძამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის დამთავრება ბოლნისის რაიონში.

უკანასკნელ წლებში, მადნეულის საბადოში აღმოჩენილი სპილენძის მადნის მარაგი დიდ პერსპექტივებს სახავს, რათა საქართველოს ამ ახალ სამრეწველო რაიონში შეიქმნას ფერადი მეტალურგიის მსხვილი საწარმო. აქვე, თანმხლები პროდუქტების ბაზაზე გოგირდმეყვას და გამდიდრების ნარჩენების გამოყენებით მოხდება ხარისხოვანი საშენი მასალების წარმოება.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის მთიან ნაწილში გეოლოგების მიერ აღმოჩენილია მეტად პერსპექტიული დიდი სიმძლავრის დამადნებელი ზონა, რომელიც შეიცავს სპილენძსა და პოლიმეტალებს — ტყვიასა და თუთიას. წინასწარი მონაცემები აღნიშნულ საბადოებს შესახებ მეტად საიმედოა და შესაძლებელია, რომ ახალ ხუთწლედში აფხაზეთში შეიქმნეს სათანადო ბაზა მოპოვებული ფერადი ლითონების წარმოების განვითარებისათვის.

როგორც ვხედავთ, ფრიად მნიშვნელოვანი პერსპექტივები იშლება შავი და ფერადი ლითონების განვითარებისათვის საქართველოში.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან ერთად იზრდება ქალაქი რუსთავიც. დასაწყისში გაჩნდნენ პირველი საცხოვრებელი სახლები და ადმინისტრაციული შენობები, გაიყვანეს ქუჩები, აშენდა მთელი კვარტალები, გაიშალა მოედნები, სულ უფრო კეთილმოწყობილი გახდა სოციალისტური რუსთავი — საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა ქალაქი, რომელიც წარმტაცად განლაგებულია მტკვრის ორსავე ნაპირზე. ამ ადგილას, ოდესღაც შორეულ წარსულში იდგა ძველი ციხექალაქი, რომელმაც განიცადა თემურლენგის ურდოების შემოსევა. მიწის წილში დღემდე შემონახულია ქართველი ხალხის უძველესი მატერიალური კულტურის მრავალი ნაშთი.

1948 წელს დაბა რუსთავი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გამოცხადდა.

ქალაქს ამშვენებს კულტურის სახლი, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, სკოლები და სამკურნალო დაწესებულებანი, აბანოები და მშვენიერი მალაზიები. ქალაქის მარცხენა და მარჯვენა მხარეები დაკავშირებულია ლამაზი ხილით, ქალაქში მუშაობს თანამედროვე ტრანსპორტი.

**ქიმიური მრეწველობა.** საქართველოს სსრ ქიმიური მრეწველობა შექმნილია რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ომის შემდგომ პერიოდში და წარმოადგენს მრეწველობის ახალ დარგს. ომამდე ეს დარგი წარმოდგენილი იყო ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული, ქუთაისის ლითონის, ბათუმის კოფეინის ქარხნებით და რამდენიმე წვრილი, სხვადასხვა მინერალური საღებავების საწარმოებით. შემდგომ საქართველოს ქიმიურ მრეწველობას შეემატა ისეთი დიდი საწარმოები, როგორცაა რუსთავის აზოტოვანი სასუქების, ქიმიური ბოჭკოების, კაპროლაქტამის ქარხნები, რომლებიც უშვებენ ძვირფას ქიმიურ პროდუქტებს. გაფართოვდა წარმოება ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაშიც.

ქიმიური მრეწველობის ძირითად პროდუქციას ახლო წარსულში წარმოადგენდა მარტო მინერალური სასუქების წარმოება, რომ-

ლის ოდენობა გაიზარდა 30 ათასი ტონიდან. (1955 წელს) 462 ათას ტონამდე (1970 წელს), ანუ 15-ჯერ და მეტად:

საქართველოს  
საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებათა  
აкадеიის  
გამომცემლობა

ომისშემდგომ წლებში განხორციელდა სამთო-ქიმიური და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა ტექნიკური რეკონსტრუქცია და შეიქმნა აზოტოვანი სასუქების მრეწველობა. რუსთავეში 1946 წელს დაიწყო აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებლობა. ქარხნის პირველი პროდუქცია მიიღეს 1955 წლის 11 აპრილს.

მარტო 1956—1958 წწ. განმავლობაში მინერალური სასუქების წარმოება თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა. იმ დროისათვის საქართველოს სსრ ქიმიური მრეწველობა რამდენიმე სახეობის ლიქ-საღებავს, სამედიცინო პრეპარატს, მინერალურ სასუქსა და სხვა ძვირფას პროდუქტს ამზადებდა, ფართოდ განვითარდა აგრეთვე მინის ტარის წარმოება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კონსერვის მრეწველობის, მინერალური წყლების ჩამოსხმისა და ინდუსტრიული წარმოების სხვა დარგებისათვის.

მიუხედავად საქართველოს ქიმიური მრეწველობის თვალსაჩინო ზრდისა ომისშემდგომ პერიოდში, ეს დარგი ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად განვითარებული. მრეწველობის ამ ერთ-ერთი პროგრესული დარგის განვითარების ტემპების მნიშვნელოვანი ზრდა უკანასკნელ წლებში მოხდა. მისი მთლიანი პროდუქციის წარმოება 1968 წელს შედარებით 1960 წელთან 3,5-ჯერზე მეტად გაიზარდა.

1964 წელს საქართველოს ქიმიურ მრეწველობას შეემატა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კაპროლაქტამის ქარხანა და ქიმიური ბოჭკოების მწარმოებელი საწარმოები. ახლა საქართველოში შექმნილია განვითარებული ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, რომელიც მინერალურ სასუქებთან ერთად აწარმოებს გახსნილი ზეთის საღებავებს, ნატურალურს, ხელოვნურს და ნახევრად ხელოვნურ ოლიფას, საკვებ საფუარს (პიდროლიზურს და სულფიტურს) არასაკვები ნედლეულისაგან, სინთეზურ ბოჭკოს და სხვა პროდუქციას. თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის იშვიათი სამკურნალო პრეპარატები გადის სოციალისტურ და სახალხო დემოკრატიის რიგ ქვეყანაში, ბათუმის კოფეინის ქარხანა ერთადერთი საწარმოა საბჭოთა კავშირში, რომელიც უშვებს ამ ძვირფას პროდუქტს, რაც წინათ საზღვარგარეთიდან შემოგვ-

ქონდა. ამრიგად, ქიმიური მრეწველობა რესპუბლიკაში დგება ინდუსტრიული განვითარების მტკიცე ბაზაზე.

ახალ ხუთწლეულში (1971—1975 წწ.) ქიმიური მრეწველობის პროდუქცია ორჯერ გაიზარდება. ეს ზრდა ძირითადად განხორციელდება არსებული სიმძლავრეების უფრო რაციონალური გამოყენებით.

გამომშვებული პროდუქციის ზრდა მეტწილად გათვალისწინებულია რუსთაველაში მინერალური სასუქების წარმოების 2,3-ჯერ და ქიმიური ბოჭკოების — 1,6-ჯერ გადიდებით.

ქუთაისის ლითონის ქარხანაში საგრძნობლად გადიდდება ლითონის წარმოება, აგრეთვე გაიზარდება კულტურული საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საჭიროების ქიმიური პროდუქციის გამოშვება.

ამრიგად, ქიმიური მრეწველობის პროდუქციის წარმოების ზრდა ძირითადად წარმართება ამ დარგის ინტენსიური განვითარების გზით, რაც აუცილებელია არსებული ახლად შექმნილი ინდუსტრიული ბაზის უფრო რაციონალური გამოყენებისათვის.

**მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება.** მანქანათმშენებლობა საქართველოსათვის მრეწველობის შედარებით ახალი დარგია, იგი საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. მანქანათმშენებლობის ქარხნების უმეტესი ნაწილი თავმოყრილია თბილისში, დანარჩენები კი გაადგილებულია ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში.

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა ამზადებს სახარატო-ხრახნსაქრელ, მილების დამმუშავებელ და სხვა სახეობის მძიმე ჩარხებს გემთსაშენი, ნავთობისა და მრეწველობის სხვა დარგებისათვის.

1956 წელს ქარხანა შეუდგა ახალ მაღალმწარმოებლურ სახარატო-ხრახნსაქრელი ჩარხის „163“ მოდელის გამოშვებას, რომელიც უზრუნველყოფდა ჭრის ჩქაროსნული რეჟიმის გამოყენებას. 1957 წლიდან დაიწყო სარემონტო ქარხნის — „სტანოკის“ რეკონსტრუქცია, რომელიც შემდგომ შეუდგა რთული ლითონმჭრელი, მრგვალი სახეხი პრეციზიული დაზგების „3100“ მოდელის გამოშვებას.

საქართველოს უმველესმა (მას 1960 წელს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა), ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებ-

ბელმა ქარხანამ ჯერ კიდევ მეტეოლოგიური და მეექვსე ხუთწლეულებში ითვისა ორმოცზე მეტი სხვადასხვა სახეობის მანქანა სსრკ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეღვინეობის მრეწველობისათვის, აგრეთვე მანქანები ჩაის მწვანე ფოთლის გადამამუშავებისათვის და ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციისათვის. ეს ქარხანა თითქმის ერთადერთია საბჭოთა კავშირში, რომელიც სპეციალური მანქანადანადგარებით (სხვადასხვა კატეგორიის ყურძნის წნეხები, ყურძნის საკვლეტი და კლერტსაცლელი მანქანები, ღვინის ტუმბოები და ფილტრები, ყურძნის გადამამუშავებელი ავტომატური ხაზები და სხვ.) წარმატებით ამარაგებს სსრ კავშირში ღვინის პირველადი დამამუშავების მრეწველობას. მისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი იგზავნება აგრეთვე სოციალისტურ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ჩაის ფაბრიკების, შამპანური ღვინოებისა და კონსერვის მრეწველობის საწარმოთა გაწყობილობას ამზადებს აგრეთვე ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა, ბათუმში მზადდება სხვადასხვა სახის საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის მანქანები:

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა ომის შემდგომ წლებში სპეციალიზებული იყო ნახევრად ავტომატური საქსოვი დაზგების გამოშვებაზე აბრეშუმის მრეწველობისათვის. ამზადებდა კიდევ ლიფტებს, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში მოსახმარებლად, აგრეთვე ქვეყნის სხვადასხვა რაიონში გასაგზავნად. 1957 წლიდან კი ქარხანა სოფლისმეურნეობრივი მანქანების წარმოებაზე გადავიდა:

თბილისის მექანიკური ქარხნისაგან პროფესიონალურ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებები, აგრეთვე სსრ კავშირის ცალკეული საწარმო ღებულობენ სახარატო ჩარხებს და სხვადასხვა საქარხნო გაწყობილობას. ქუთაისის სამთო-სამახტე გაწყობილობის მანქანათმშენებლობის ქარხანამ აითვისა სამახტე ელექტრომავლის, არტეზიული ტურბინული ტუმბოს, უნივერსალური ამწე-ექსკავატორის, ვაგონეტების და სხვა ნაგებობათა წარმოება, რომლითაც მარაგდებიან არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების სამთამადნო საწარმოები. კოლხეთის ველის დაჭობებული მიწების ამოშრობისათვის ფოთის ქარხანა ამზადებს მიწსაწოვებს — „ახალი კოლხიდა“. მეექვსე ხუთწლეულში ქარხანამ დაიწყო ახა-

ლი უფრო მძლავრი კონსტრუქციის მიწაწოვების გამოშვება შუა  
აზიის რესპუბლიკების მეზამბეობის რაიონებისათვის.

1956 წელს მწყობრში ჩადგნენ თბილისის ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოები: ქარხნები „ელექტროავტომატი“, „ელექტროგამშვები“ და სხვა.

რესპუბლიკის უძველეს მსხვილ საწარმოს, რომელსაც აქვს დიდებული რევოლუციური წარსული, წარმოადგენდა თბილისის ორთქლმავალ-სარემონტო ქარხანა. ომისშემდგომ პერიოდში, 1967 წელს ლოკომოტივების სარემონტო ქარხნის ბაზაზე წარმოიშვა ელექტრომავლების მშენებელი ქარხანა, რომელმაც პირველი ელექტრომავალი იმავე წელს გამოუშვა.

ეს საწარმოები ახორციელებენ ამიერკავკასიის და მომიჯნავე რკინიგზების მოძრავი შემადგენლობის რემონტსაც.

რესპუბლიკაში მუშაობს ავტოსარემონტო ქარხანა, ქარხანა „ცენტროლიტი“, რომელიც ამარაგებს სხმულით კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანას და სსრკ ჩარხმშენებელი მრეწველობის სხვა საწარმოებს.

საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, განსაკუთრებით კი მანქანათმშენებლობა დიდი სამამულო ომის პერიოდში თვალსაჩინო ზრდით ხასიათდებოდა. ომისშემდგომ წლებში რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის წინათ არსებული დარგების გაფართოება-რეკონსტრუქციასთან ერთად შეიქმნა ახალი დარგები, მათ შორის ავტომობილმშენებლობა, ელმავალ-მშენებლობა, გემთმშენებლობა, სამთო-საშახტე განწყობილობის წარმოება და სხვ. გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში ფართოდ განვითარდა ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთა მშენებლობა.

ავტომობილმშენებლობა არათუ საქართველოს, არამედ რევოლუციამდელ რუსეთსაც კი არ ჰქონდა. საბჭოთა ავტომობილმშენებლობა პირველი ხუთწლედის პირშეოა. ქუთაისის ავტოქარხანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოა სსრ კავშირის მრეწველობის ამ დარგში.

ქუთაისის სატვირთო ავტომობილების ქარხნის მშენებლობა მეოთხე ხუთწლედში დაიწყო. ავტოქარხნის ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ მისი კონვეიერიდან სისტემატურად ვადმოდის

სხვადასხვა სახის თანამედროვე ეკონომიური ავტომანქანები „კოლხიდა“, მათ შორის: ცემენტის გადაზიდვისათვის თვითმცლელები, ბამბის გადაზიდვისათვის ავტომანქანა 25 კუმეტრი ტევადობის და სხვ. ქუთაისის ავტოქარხანაში აღიზარდნენ ღირსეული კადრები, მრავალი ინჟინერი და მუშა. ბევრი მათგანი ყოფილი კოლმეურნეა. მათ სათანადო კვალიფიკაცია და სპეციალური ცოდნა მიიღეს მოსკოვის და გორკის ავტოქარხნებში, სადაც სპეციალისტების დახმარებით წარმატებით აითვისეს ავტომშენებლის პროფესია.

ქუთაისის ავტომშენებლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მანქანათმშენებლობის განვითარებაში.

ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობა საქართველოში 1965 წლიდან ვითარდება. ეს დარგი გარდა ელმავლებისა ამზადებს ელექტროაპარატურას მომპოვებელი მრეწველობისათვის, ელექტროშემდუღებელ გაწყობილობას, ელექტროძრავებს, ელექტროვიბრაციულ მანქანებს, ელექტრომექანიკურ გამძლიერებლებს, კაბელებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრო მანქანებს, დაბალვოლტიან აპარატურას და სხვ. რესპუბლიკის ხელსაწყომშენებელი საწარმოები უშვებენ ხელსაწყოებს, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ტრანსპორტში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერულ-კვლევითსა და კულტურულ დაწესებულებებში და სხვ. თბილისის ქარხანა „ჭიდრომეტხელსაწვოს“ ჰიდრომეტეოროლოგიურა და აეროლოგიური ხელსაწყოები გააქვთ მოკავშირე რესპუბლიკებში, აგრეთვე ბევრ უცხო ქვეყანაში.

საქართველოს მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება წარმოდგენილია ფრიად სხვადასხვა დარგებით. ყველაზე მაღალი ხვედარიწონა მანქანათმშენებლობის საერთო პროდუქციაში აქვს დაზგათმშენებლობას და ინსტრუმენტალურ მრეწველობას, საავტომობილო მრეწველობას და ელექტროტექნიკურ მრეწველობას; შემდეგ — მძიმე მანქანათმშენებლობას, ხელსაწყომშენებლობას და სხვ.

საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ომისშემდგომი განვითარების ტემპი გაცილებით უფრო ჩქარი იყო მთელ მრეწველობასთან შედარებით. 1968 წელს აღნიშნული ინდუსტრიული დარგის მთლიანი პროდუქცია 10-ჯერ აღემატებო-



და 1950 წლის დონეს, ხოლო საკუთრივ მანქანათმშენებლობის პროდუქცია შესაბამისად თითქმის 25-ჯერ გაიზარდა. ამასთანავე, მკვეთრად გაიზარდა მანქანათმშენებლობის ხვედრიწონა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მთლიან პროდუქციაში. 1940 წელს ეს მაჩვენებელი 24%-ს აღწევდა, ხოლო 1958 წელს იგი სამ მეზუთედს სჭარბობდა. ჩვენი რესპუბლიკის თანამედროვე მანქანათმშენებლობა მეტწილად ომის შემდგომ წლებში ჩამოყალიბდა. ამის მაჩვენებელია საკუთრივ მანქანათმშენებლობის მეტად ჩქარი ზრდა. X

ომის წლებში საბჭოთა საქართველოს მანქანათმშენებლობის პროდუქციის ნომენკლატურა უმთავრესად ცალკეული ჩარხების, ჩაის, ღვინის და საფეიქრო მრეწველობის ზოგიერთი სახეობის მანქანა-გაწყობილობით შემოიფარგლებოდა. 1958 წელს იგი უშვებს რვაღერძიან ელექტრომავლებს, სატვირთო ავტომობილებს, რამდენიმე სახეობის ჩარხებს, მეტალურგიული, სამთამადნო, ქიმიური, ჩაისა და ღვინის მრეწველობის მანქანა-გაწყობილობას, თვითმფრინავებს, მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს, ჩაის საკრეფ, სასხლავ მანქანებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მანქანათმშენებლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მანქანათმშენებლობის გულს — ჩარხმშენებლობას, რომელიც 1961 წლის მონაცემებით იძლეოდა რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 0,8%-ს, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის — 6,2%-ს, ხოლო მანქანათმშენებლობის პროდუქციის — 8,4 პროცენტს. მრავალრიცხოვანი იყო აგრეთვე ელექტროტექნიკური, რადიოტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის პროდუქცია. ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებლობა, კერძოდ ელექტროტექნიკური მრეწველობა თავისი პროდუქციის მრავალ სახეობას აწოდებს საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, სახალხო დემოკრატიისა და აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მანქანათმშენებელ საწარმოთა გაწყობილობა მნიშვნელოვნად განახლდა, მაგრამ ტექნიკური პროგრესის და შრომის მწარმოებლურობის შემდგომი ზრდის ინტერესები მოითხოვენ მათ სისტემატურ სრულყოფას, აგრეგა-



ტების განახლებას და მოდერნიზაციას, უახლესი კონსტრუქციის მანქანებით შეცვლას. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მთლიანი პროდუქცია 1970 წელს 1960 წელთან შედარებით 3,1-ჯერ გაიზარდა.

სოფლიოში პირველად, უნიკალური ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ შექმნისათვის სპეციალისტ-მანქანათმშენებელთა ჯგუფს მიენიჭა ლენინური პრემია.

1971—1975 წწ.-ში მნიშვნელოვნად განვითარდება მანქანათმშენებლობის რიგი დარგი — ჩარხმშენებლობა და საინსტრუმენტო მრეწველობა გაიზარდა 1,8-ჯერ, სოფლის მეურნეობის მანქანების წარმოება — 2,5-ჯერ, განვითარდება მანქანათმშენებლობის სხვა დარგებიც. მათი განვითარება ძირითადად მიღწეული იქნება წარმოების ინტენსიფიკაციის გზით, რაც გამოიხატება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციასა და სრულყოფაში, ტექნოლოგიური დანადგარების განახლებასა და მოდერნიზაციაში, ახალი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვასა და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ეფექტურობის ამაღლებაში.

ახალ ხუთწლედში სოფლისმეურნეობრივი მანქანათმშენებლობის განვითარების ერთ-ერთი ღონისძიება იქნება თბილისის სოფლისმეურნეობრივი მანქანათმშენებლობის ქარხნის გადაყვანა მთლიანად რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციფიკური დარგებისათვის მანქანების წარმოებაზე. მოხდება ხელოვნური დაწვიმებისა და სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დანიშნულების დანადგარების წარმოების ათვისება.

მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ქუთაისის ავტოქარხნის ზოგიერთი საამქროს რეკონსტრუქცია-გაფართოება. აშენდება ნახევრადმისამგლები ახალი საამქრო, რეკონსტრუქცია-გაფართოება მექანიკური საამქრო, განახლდება მისი ტექნოლოგიური დანადგარები და სხვ.

დასრულდება მშენებლობა და სრული სიმძლავრით ამუშავდება რუსთავის თუქსასხმელი ქარხანა.

მანქანათმშენებლობის წარმოების შემდგომი განვითარებისათვის დამახასიათებელია საშუალო და მცირე ქალაქებში, სადაც არის სათანადო შრომის რესურსები, მანქანათმშენებლობის ზოგიერთ მეთაურ საწარმოთა ფილიალების შექმნა, მაგალითად, გურჯაანი-

კროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ფილიალისა და სხვა.

უფრო სწრაფად განვითარდება მანქანათმშენებლობის არალიონტენტევადი დარგები, კერძოდ, ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოება გაიზარდა 4,7-ჯერ, ელექტროტექნიკური მრეწველობისა — 4,6-ჯერ და სხვ. დასრულდება მშენებლობა და სრულ სიმძლავრეს მიაღწევს თბილისის მმართველი გამოსათვლელი მანქანების ქარხანა, სოხუმის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხანა, თბილისის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხნის ახალი კორპუსი, ბათუმის ახალი ელექტროტექნიკური ქარხანა და სხვ. ამრიგად, ფრიად დიდი პერსპექტივებია დასახული მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მრეწველობის მთლიანად და კერძოდ მისი ქვედარგების, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებელი მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარებისათვის.

**ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობა.** ხე-ტყის მრეწველობის საწარმოები უმთავრესად თავმოყრილია კოდორში, მცხეთასა, ცხინვალსა და ზუგდიდში. გრეხილი ავეჯის ფაბრიკა მუშაობს მარელისში, ავეჯის ფაბრიკები — თბილისში, ცხინვალსა და ბორჯომში, ხის დამამუშავებელი ქარხანა — ბათუმში, ფირფიცის ქარხნები — ბათუმსა და თბილისში. ქაღალდის პირველი ფაბრიკა თბილისში 1933—1934 წწ. აშენდა. იგი ამუშავდა ჩამოტანილი ცელულოზისა და მაკულატურის ბაზაზე. 1937—1938 წწ. ზემო სვანეთის ტყის რესურსების ბაზაზე ზუგდიდში აშენდა ინგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატი. შემდგომ იგი საგრძნობლად გაფართოვდა.

ტყის მრეწველურ ექსპლოატაციასთან ერთად რესპუბლიკაში მიმდინარეობს ტყის გაშენებისა და სანერგეების მოწყობის სამუშაოები.

ომისშემდგომ წლებში შესამჩნევად განვითარდა ჩვენი რესპუბლიკის ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობა. ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი და ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1960 წელს 2,2-ჯერ აღემატებოდა 1950 წლის დონეს. ამ დარგის ცალკეული მნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოება 1960 წელს 1950 წელთან შედარებით გაიზარდა: მაქნისი მერქნის გამოზიდვა — 1,7-ჯერ, დახერხი-

ლი ხე-ტყის წარმოება — 1,7-ჯერ, ქაღალდის — 1,8-ჯერ; ქაღალდის წარმოება 1967 წელს 31 ათას ტონას აღწევდა და 5-ჯერ სჭარბობდა 1940 წლის შესაღარ მაჩვენებელს. საერთოდ ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1970 წელს 1960 წელთან შედარებით 58 პროცენტით გაიზარდა.

რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება ავეჯის წარმოება, სულ უფრო ფართოვდება მისი ასორტიმენტი და მაღლდება ხარისხი.

მეცხრე ხუთწლედში მეტი ყურადღება მიექცევა წარმოების სტრუქტურის გაუმჯობესებას და მერქნის კომპლექსურ, უფრო ეკონომიურ გამოყენებას. მნიშვნელოვნად გაიზრდება ქაღალდისა და მუყაოს გამოშვება, როგორც ტექნიკური მიზნებისათვის ისე კვების პროდუქტების მანქანური დაფასოებისათვის. განხორციელდება ხე-ტყის გადამამუშავებელ საწარმოთა რეკონსტრუქცია, მათი ტექნიკური აღჭურვილობა, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. დაინერგება უფრო სრულყოფილი მანქანები და გაწყობილობა. შესამჩნევად გაიზრდება ავეჯის მრეწველობის სიმძლავრეები, გაიზრდება ამ მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, დაინერგება ახალი ტექნოლოგიური პროცესები და მაღალეფექტიანი მასალები. ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელ მრეწველობაში საგრძნობლად ამაღლდება შრომის მწარმოებლურობა.

ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოება 1971—1975 წწ. გაიზრდება დაახლოებით 26 პროცენტით, ავეჯის წარმოება კი — 50 პროცენტზე მეტად. ავეჯის წარმოებაში გათვალისწინებულია ახალი სიმძლავრეების შეყვანა ძირითადად მომქმედი საწარმოების გაფართოება-რეკონსტრუქციის გზით. მეცხრე ხუთწლედში აშენდება თელავის ავეჯ-კომბინატი და ტყვარჩელის ავეჯის ფაბრიკა.

**საშენ მასალათა მრეწველობა.** საშენ მასალათა მრეწველობის ზრდა განისაზღვრება სამშენებლო სამუშაოების მასშტაბით. საქართველოს რესპუბლიკა ძირითადად აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას საშენ მასალაზე. აქ ბევრია ძვირფასი საშენი და მოსაპირკეთებელი ქვა. დიდ როლს ასრულებენ კასპისა და რუსთავის

ცემენტის ქარხნები რესპუბლიკაში მუშაობს აგურის, კირის, კრამიტის მრავალი საწარმო.

განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა საქართველოში არამდნეული ნედლეულის მოპოვებამ. ამ ნედლეულის საფუძველზე რესპუბლიკაში მუშაობს: შუშის, ფაიფურის, კერამიკული ნაწარმის, სხვადასხვა ცეცხლგამძლე ნაკეთობების და სხვა ქარხნები.

ყაზბეგის და ბაკურიანის რაიონებში წარმოებს ანდეზიტის მოპოვება, რომელიც გამოიყენება ქიმიურ საწარმოთა მშენებლობაში. თელავის მახლობლად, მდინარე ლოპოტის ხეობაში მიმდინარეობს ლოპოტის საუკეთესო ქართული მარმარილოს დამუშავება.

მიუხედავად საშენ მასალათა მრეწველობის განუხრელი ზრდისა ომამდელ ხუთწლეულებში, მისი პროდუქცია ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას. ომისშემდგომ წლებში, განსაკუთრებით მეხუთე ხუთწლეულში გაძლიერდა საშენ მასალათა მრეწველობის განვითარება. 1950 წელს 1940 წელთან შედარებით საშენ მასალათა მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 3-ჯერ გაიზარდა, 1960 წელს 1950 წელთან შედარებით — 3,5-ჯერ, ხოლო 1967 წელს 6-ჯერ გადიდა. აქედან ცემენტის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1950 წელს 1940 წელთან შედარებით—2,4-ჯერ, ხოლო 1960 წელს შედარებით 1950 წელთან — 5,7-ჯერ და 1967 წ. კი — 7,6-ჯერ. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არასაკმარაა განვითარებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება, რესპუბლიკაში იგრძნობა საკედლე საშენი მასალების დეფიციტი.

ამიტომ, ამ დეფიციტის ლიკვიდაცია, განსაკუთრებით ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების, მსხვილპანელიანი და ბლოკებიანი დეტალების წარმოების მკვეთრი გადიდება და მშენებლობის ინტენსიური ინდუსტრიალიზაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

შვიდწლეულის უკანასკნელ წლებში მწყობრში ჩადგა მსხვილპანელიანი სახლმშენებლობის საწარმოები თბილისში, რუსთავში, ქუთაისში და კურორტ ბიჭვინთაში, რომელთა წლიური სიმძლავრე 35,0 ათას კვ. მეტრ საცხოვრებელ ფართს შეადგენს. ახლო მომავალში ამ საწარმოებს კიდევ მოემატება რამდენიმე ახალი მძლავრი საწარმო.



მეცხრე ხუთწლედში საშენ მასალათა მრეწველობა უფრო სწრაფად განვითარდება. მისი წარმოების მთლიანი მოცულობა გაიზარდება 78 პროცენტით, აქედან საკედლე მასალების წარმოება — 64 პროცენტით, შიფერისა — 2-ჯერ, ხოლო ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება 1,8-ჯერ. სრული სიმძლავრით ამუშავდება გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა, რომელიც 120 მლნ კვ. მეტრ რუბეროიდს და 50 ათას ტონა მუყაოს გამოუშვებს. ნავარაუდევია საკედლე პანელების, აზბესტცემენტის სახურავი ფილების, დიატომიტის ფხვნილის წარმოების ქარხნების მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა. გაიხსნება ინერტული მასალების ახალი კარიერები და სხვ. გაიშლება მუშაობა ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში პერლიტებისა და ობსიდიანების მდიდარი საბადოების სამრეწველო ათვისებისათვის, რომელთა ბაზაზე მსუბუქი შემესვები მასალების წარმოება შესაძლებელს გახდის ამ მასალებით უზრუნველყოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება და გავიტანოთ იგი ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებშიც. საშენ მასალათა მრეწველობის ამგვარი განვითარება ხუთწლედში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რესპუბლიკაში მშენებარე ობიექტების მომარაგებას საშენი მასალებით.

**მსუბუქი მრეწველობა.** მსუბუქი მრეწველობის ძირითადი დარგები საქართველოში შექმნილი იყო რევოლუციამდე. მაგრამ მაღალ განვითარებას მათ მიაღწიეს საბჭოთა საქართველოში. ამჟამად რესპუბლიკის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ხვედრი წილი საგრძნობლად მაღალია. მსუბუქი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1970 წელს გაიზარდა 1940 წელთან შედარებით 5,2-ჯერ. მათ შორის საფეიქრო — 7,3-ჯერ, აქედან ბამბის ქსოვილებისა — თითქმის 22-ჯერ, შალის — 7-ჯერზე მეტად, აბრეშუმის — 3-ჯერ, ტყავ-ბეწვეულის და ფხსაცმლის — თითქმის 2,5-ჯერ და სხვ.

ამენდა და ექსპლოატაციაში გადაიყვანა რიგი ახალი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმო, გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტი და ამაღლდა მისი ხარისხი. საფეიქრო მრეწველობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აბრეშუმის ქსოვილთა წარ-

შობას, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი უძველესი დარგის  
შეაბრეშუმეობის ბაზაზე განვითარდა.

აბრეშუმის პარკის მთელი მოსავლის გადამუშავება ხდება ქუ-  
თაისის, მახარაძის, სამტრედიის, წულუკიძის და თელავის აბრე-  
შუმსახვევ ფაბრიკებში. ამ დარგის ყველაზე დიდი საწარმოე-  
ბია თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა და ქუთაისის აბრეშუმის  
კომბინატი. უწინ აბრეშუმის პარკი, აგრეთვე მატყლი და ტყავე-  
ულობა დასამუშავებლად საქართველოს გარეთ იგზავნებოდა.

ომამდელ პერიოდთან შედარებით რამდენიმეჯერ გადიოდა  
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის და ქუთაისის მაუდის ფაბ-  
რიკის მიერ შალის ქსოვილთა წარმოება. სისტემატურად იზრდება  
დიდი სამომხმარებლო მოთხოვნილების და მაღალხარისხოვანი  
ქსოვილების გამოშვება.

მკვეთრად გაიზარდა ბამბის ქსოვილების გამოშვება გორის  
ბამბეულის კომბინატში. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომ-  
ბინატმა აითვისა კაპრონის წინდების და სათეთრფულო ტრიკო-  
ტაჟის წარმოება. რიგი მსხვილი სამკერვალო ფაბრიკა მოქმედებს  
თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, მსუბუქმა მრეწველობამ თა-  
ვისი განვითარების მნიშვნელოვანი გზა განვლო. იგი ამჟამად  
საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთ მოწინავე დარგს წარმოად-  
გენს, რომელიც წარმოების საკმაოდ მაღალი კულტურით ხასიათ-  
დება.

მძიმე მრეწველობის დარგთა აღმავლობასთან ერთად, ომის-  
შემდგომ პერიოდში საგრძნობლად დაჩქარდა მსუბუქი მრეწველო-  
ბის განვითარება. არსებითად ამ პერიოდში შეიქმნა რესპუბლიკაში  
ბამბის ქსოვილთა წარმოება, აგრეთვე წინდების, ხალიჩების, ზო-  
გიერთი სახეობის ტრიკოტაჟისა და საგალანტერიო ნაწარმის მრე-  
წველობა. 1940—1970 წლების მონაცემებით, გაიზარდა წინდების  
ნაწარმის გამოშვება 2,8 მილიონიდან 16 მლნ წყვილამდე (5,8-  
ჯერ), ტრიკოტაჟის საცვლის — 2,4 მილიონიდან 21 მლნ ცალამდე  
(8,7-ჯერ), და ზედა ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვება 1,5  
მილიონიდან 10 მლნ ცალამდე (6,6-ჯერ). 1950—1968 წლებში სა-  
ფეიქრო და სამკერვალო მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გა-  
დიოდა 4-ჯერზე მეტად. ტყავის, ბეწვეულისა და ფეხსაცმლის

მრეწველობის ასეთივე მაჩვენებელი 2,3-ჯერ აღემატებოდა 1950 წლის შესაღარის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ტყავისა და ფეხსაცმლის წარმოების ზრდის ტემპები მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგების პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპებთან შედარებით უფრო დაბალია, რაც უმთავრესად სოფლისმეურნეობრივი ნედლეულის ბაზის რამდენადმე ჩამორჩენილობით აიხსნება. მერვე ხუთწლეულში (1966—1970 წწ.) მსუბუქი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 2-ჯერ გადიდდა.

მიმდინარე ხუთწლეულში (1971—1975 წწ.) მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 43 პროცენტით. მათ შორის, შალის ქსოვილების წარმოება—1,5-ჯერ; სწრაფი ტემპით გაფართოვდება ტრიკოტაჟისა და შეკერილი ნაწარმის წარმოება. გატარდება ამ დარგის საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქცია. გვეთრად გაუმჯობესდება არსებული და ახალი სიმძლავრეების გამოყენება.

ხუთწლეულში სრული სიმძლავრით ამუშავდება ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 28 მლნ მანეთის საგალანტერიო ნაწარმს გამოუშვებს, ამუშავდება მექანიკური სათამაშოებისა და მიკროელექტროძრავების ქარხანა ქ. ცხინვალში, შულავერის ტყავნედლეულის ქარხანა, ფაიფურ-ქაშანურის ახალი საწარმო. შთლიანად რეკონსტრუირდება თბილისის მაუდკამოლის კომბინატი, ძველი დაზგები შეიცვლება ახალი უფრო სრულყოფილი და მაღალწარმადობის დაზგებით. გაფართოვდება და რეკონსტრუირდება ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კულამის საქსოვი ფაბრიკა და სხვა.

სკკპ XXIV ყრილობის მითითებებიდან გამომდინარე მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი ამაღლების შესახებ, მნიშვნელოვნად გაფართოვდება მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესდება მისი ხარისხი.

**კვების მრეწველობა.** კვების მრეწველობას ჩვენს რესპუბლიკაში წარმოების მოცულობის მხრივ პირველი ადგილი უკავია. იგი თავის პროდუქციას გზავნის საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აშშ, ინგლისში, საფრანგეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში, ირანში და სხვ. ყველაზე



დიდად განვითარდა ჩაის, ღვინის, თამბაქოს, კონსერვების, ეთერ-ზეთოვანთა და ცხიმების მრეწველობა, აგრეთვე მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება.

საქართველოს კვების მრეწველობა იძლევა სსრ კავშირში წარმოებული ბაიხის ჩაის 95 პროცენტამდე, აგურა ჩაის — 100 პროცენტს, ღვინომასალის — დაახლოებით 11 პროცენტს, შამპანურის — 15 პროცენტს, მინერალური წყლების — თითქმის მეოთხედს, ტუნგოს ზეთის — 100 პროცენტს, ეთერზეთების — სამ მეოთხედს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩაის მრეწველობას. რესპუბლიკაში მუშაობს ჩაის ფოთლის პირველადი დამუშავების რამდენიმე ათეული ფაბრიკა, ორი ჩაის საწნეხი და ერთი ჩაის საწონი ფაბრიკა. ეს საწარმოები აღჭურვილია სამამულო ტექნიკით. ჩაის ფაბრიკებმა აითვისეს მაღალხარისხოვანი ბაიხის ჩაის, „საქართველოს თაიგულის“, „ექსტრას“ და სხვ. წარმოება. 1970 წელს 1950 წელთან შედარებით ბაიხის ჩაის პირველადი დამუშავების პროდუქცია 3-ჯერზე მეტად გაიზარდა.

საქართველოს ჩაის ფაბრიკებში დამზადებული შავი ბაიხის ჩაი იგზავნება დაფასობისათვის აგრეთვე სხვა რესპუბლიკებში არსებულ ჩაის გადასაწონ ფაბრიკებში. საქართველოში წარმოებული მწვანე ბაიხის ჩაი იგზავნება შუა აზიის რესპუბლიკებში, მწვანე აგურა ჩაი — მონღოლეთის, ყირგიზეთის, ტუვის ოლქის მეცხოველეობისათვის, ჩუკოტკისა და ანადირის მეირმუეებისათვის, საბჰოთა იმერპოლარეთის მოსახლეობისათვის.

ომის შემდგომ წლებში და მის შემდგომ ჩაის მრეწველობისა და მისი სანედლეულო ბაზის განვითარების საკითხებს დიდი ყურადღება მიაქცია საქართველოს კომპარტიის XIV ყრილობამ (1954 წ. თებერვალი). 1955 წლისათვის ჩაის მომჭმდ ფაბრიკათა რიცხვში იმყოფებოდა ბაიხის ჩაის გადამმუშავებელი 60, მწვანე ფილა ჩაის 2 და ერთი ჩაის საწონი ფაბრიკა. აღნიშნულ წელს საქართველოს ჩაის მრეწველობამ გამოუშვა შავი ბაიხის ჩაი 29 ათასამდე, მწვანე აგურა ჩაი — 7 ათასამდე და დაფასოებული ბაიხის ჩაი — 5 ათასამდე ტონა. სულ 1955 წ. აწარმოეს 36 ათასამდე ტონა ხარისხოვანი ჩაის მზა პროდუქცია. მთლიანად 1950 წელს შედარებით 1955 წელთან აწარმოეს ბაიხის ჩაი 41%-ით, მწვანე



აგურა ჩაი — 83%-ით და დაფასოებული შზა ჩაი — 53%-ით მეტი. ამგვარად, რესპუბლიკაში ჩაის მრეწველობისა და მისი საწარმოებელი ბაზის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის XIV ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებების ცხოვრებაში გატარების შედეგად, უკვე 1955 წ. რესპუბლიკის მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ამის შემდგომ რესპუბლიკურ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიერ არაერთხელ იყო გამახვილებული ყურადღება ჩაის მეურნეობის საერთოდ, და კერძოდ, ჩაის მრეწველობის განვითარებაზე, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებაზე. 1965 წლისათვის საქართველოს ჩაის მრეწველობის მოქმედ ჩაის ფაბრიკათა მწყობრში იმყოფებოდა 66 პირველადი გადამუშავების ფაბრიკა (გარდა ამისა შავი და მწვანე ფილა ჩაის — 2 და ჩაის საწონი — 2 ფაბრიკა), რომელთაგან 10 იყო გადამამუშავებული აჭარაში, 10 — აფხაზეთში, დანარჩენი კი დასავლეთ საქართველოს სხვა ადმინისტრაციულ რაიონებში.

ჩაის მრეწველობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ამ დარგის ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების მექანიზაციას, ავტომატიზაციას და საერთოდ ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის დანერგვას. ამ მიმართულებით წლების განმავლობაში განხორციელებული იყო მრავალი სხვადასხვა ღონისძიება. მხოლოდ 1959—1965 წწ. ჩაის 27 ფაბრიკაში გატარდა საამქროების მექანიზაცია. შემუშავდა ჩაის ფოთლის გადამამუშავების პროცესთა კომპლექსური მექანიზაციის ახალი მეთოდი. 1962 წ. ჩაის კომბინირებული წაჭმოების გამოყენებამ რესპუბლიკის 27 ფაბრიკაში და გრეხის ახალი ტექნოლოგიის დანერგვამ 52 ფაბრიკაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შრომის პირობები, შეამცირა მუშაძალის ოდენობა და საგრძნობლად აამაღლა პროდუქციის ხარისხი. ჩაის პროდუქციის ტექნიკური სრულყოფა მიმდინარეობდა როგორც ჩაის ყველა სახის პროდუქციის დამზადების, ისე წარმოების ცალკეული უბნის გაწყობილობის მწარმოებლურობის ღონის ამაღლების გზით. აღნიშნულ და სხვა ღონისძიებათა გატარების შედეგად უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ჩაის მრეწველობის პროდუქციის მოცულობის გადიდებასთან ერთად საგრძნობლად გაუმ-

ჯობესდა ქართული ჩაის ხარისხი, კიდევ უფრო მეტად ამალდა ჩაის ფოთლის გადამუშავების კულტურა და ტექნოლოგია.

საერთოდ ჩაის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1958 წელს შედარებით 1955 წელთან გაიზარდა 55%-ით, ხოლო 1970 წელს 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 5,7-ჯერ, 1950 წ. შედარებით — 3,1-ჯერ და 1960 წ. შედარებით — 1,7-ჯერ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მრეწველობის ამ დარგში მალაღია შრომის მწარმოებლურობაც. ასე, მაგალითად, თუ რესპუბლიკის კვების მრეწველობაში მთლიანად შრომის მწარმოებლურობა 1940 წელთან შედარებით 1967 წელს გაიზარდა 2,4-ჯერ, 1950 წ. შედარებით — 93%-ით და 1960 წ. შედარებით — 28%-ით, ხოლო 1969 წელს 1965 წელთან შედარებით — 16 პროცენტით, ჩაის მრეწველობაში იგი გაიზარდა შესაბამისად — 4,1-ჯერ, 98%-ით, 34%-ით და 19%-ით.

მალაღი არის ჩაის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ხვედრიწონა. რესპუბლიკის კვების მრეწველობის მთლიან პროდუქციასთან ასე, მაგალითად, იგი შეადგენდა 1958 წ. — 27,3, 1960 წ. — 29,5, 1965 წ. — 27%-ს.

საქართველოს კვების მრეწველობის სხვა დარგებს შორის ჩაის მრეწველობა ერთ-ერთი რენტაბელური დარგია, საკმარისია ითქვას, რომ 1960 წელს ჩაის წარმოებიდან მიიღეს 41 მლნ მანეთზე მეტი მოგება, ხოლო 1964 წლის მოგებამ გადააჭარბა 52 მლნ მანეთს. ანუ ოთხი წლის განმავლობაში ჩაის მრეწველობის მოგება გაიზარდა 27%-ზე მეტად. ამ მოგებით მიღებული სახსრებიდან გარკვეული რაოდენობის თანხა იხარჯებოდა ჩაის მრეწველობის მუშაკთა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი და ჯანმრთელობის დაცვის პრობლემის გასაუმჯობესებლად. ჩაის ფაბრიკებთან ახლოს შეიქმნა ახალი დასახლებები, აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, გაიხსნა სასადილო, მალაჩია, ჯანმრთელობის კერები, სკოლა და ბავშვთა ბაგა.

დღლია საქართველოს ჩაის მრეწველობის ხვედრიწონა სსრ კავშირის ჩაის პროდუქციის წარმოებაში. 1965 წ. საქართველოს ჩაის მრეწველობაზე მოდიოდა სსრ კავშირის ჩაის მრეწველობის ბაზის ჩაის პროცენტული გადამუშავების მთლიანი პროდუქციის

95,5% და წარმოებაში საშუალოდ ყოველწლიურად ჩაბმულ ზე-  
შაკთა საერთო რაოდენობის — 93,6%.



ამჟამად ჩაის მრეწველობა რესპუბლიკის მრეწველობის და  
კერძოდ კვების მრეწველობის ერთ-ერთ უმსხვილეს და მაღალრენ-  
ტაბელურ დარგს წარმოადგენს.

რესპუბლიკის მეღვინეობის რაიონებს აქვთ ათეულო-  
ბით ახალი ღვინის პირველადი წარმოების მარნები, ღვინისა და  
კონიაკის ქარხნები, მრავალი მათგანი აღქურვილია სამამულო მო-  
წინავე ტექნიკით; მათ აქვთ ელექტროენერგეტიკული, მაცივრისა  
და ორთქლის მეურნეობა.

თბილისში აგებულია შამპანური ღვინის ქარხანა, რომლის  
წლიური მწარმოებლურობა ამჟამად 11 მილიონ ბოთლს აღემატე-  
ბა. განთქმულია კახეთში არსებული ქართული ღვინის სარდაფე-  
ბი.

ყურძნის ღვინის გამოშვებამ 1970 წელს 6,5-ჯერ გადააჭარბა  
1940 წლის დონეს (მათ შორის მზა პროდუქციის საბოლოო გამო-  
შვების ადგილის მიხედვით — 2,8-ჯერ), ხოლო შამპანური ღვინი-  
სამ — 5,8-ჯერ.

საქართველოს ღვინის მრეწველობა განთქმულია მთელს მსოფ-  
ლიოში. დიდი მოთხოვნილებაა მაღალხარისხოვან ქართულ კონი-  
აკზე.

საკმარისია აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 10—15 წლის მან-  
ძილზე ქართულმა ღვინოებმა და კონიაკებმა საერთაშორისო კონ-  
კურსებზე 233 მედალი მიიღეს, მათ შორის — 117 ოქროსი, 108  
ვერცხლის და 8 ბრინჯაოსი.

მევენახეობა-მეღვინეობის კლასიკური ქვეყნის — საქართვე-  
ლოს დედაქალაქ თბილისში 1962 წ. სექტემბერს ჩატარდა მევე-  
ნახეობისა და მეღვინეობის მეათე საერთაშორისო კონგრესი, მას-  
ში 20 ქვეყანა მონაწილეობდა. 1965 წლის სექტემბერში თბილის-  
შივე მოეწყო ღვინოების, შამპანურებისა და კონიაკების მსოფლიო  
კონგრესი, რაშიც მონაწილეობა მიიღო უცხოეთის 27-მა სახელ-  
მწიფომ და საბჭოთა კავშირის 12-მა რესპუბლიკამ. აქ საქართვე-  
ლომ წარადგინა ღვინო-პროდუქტების 65 ნიმუში, რომლებმაც 34  
ოქროს, 18 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მიიღო. ამით ერთ-

ხელ კიდევ დადასტურდა ქართული მეღვინეობის მაღალი კულტურული დონე.

ცნობილია, რომ ღვინის მსხვილი ჭარხნების მშენებლობა საქართველოში დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. მაკგუდენი როგორც კერძო კაპიტალისტები, ისე მეფის საუფლისწულო უწყებანი.

თბილისში, პირველი მსხვილი ღვინის ჭარხანა (ღვინის ჭარხანა № 2) აშენდა 1880 წელს, 1881 წ. საფუძველი ჩაეყარა წინანდლის ღვინის ჭარხნის მშენებლობას. აქედან დაწყებული 1919 წლამდე როგორც თბილისში, აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონებში აშენდა რამდენიმე ღვინის, არყის სახდელი და კონიაკის ჭარხანა.

განსაკუთრებულად განვითარდა ღვინის მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს აშენდა კარდანახის (გურჯაანის რ-ნი) ღვინის ჭარხანა. ღვინის ჭარხნები აშენდა ყვარელში (1930 წ.), ხირსაში (სიღნაღის რ-ნი 1931 წ.) და სხვა რაიონებში. მათი მშენებლობა ფრიად ინტენსიურად მიმდინარეობდა, როგორც ომამდელ ისე ომის შემდგომ წლებში.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მარკიანი ღვინის დაქველების საქმეში, როგორც საქართველოსათვის, ისე ამიერკავკასიისა და მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის, ყვარლის მიწისქვეშა ღვინის სარდაფის აგება, სადაც ერთდროულად მიმდინარეობს 2 მლნ დკლ ღვინის დავარგება. ეს ღვინის მარანი, რომელიც გამოკვეთილია კავკასიის მთის კალთებში, მეღვინეობის ერთ-ერთი საუკეთესო საწარმოა მსოფლიოში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ (1953 წ. დეკემბერი) გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგად, ფართოდ იქნა დანერგული ღვინის მრეწველობაში მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ეს მიმდინარეობდა მეღვინეობაში ძირითადი პროცესების მექანიზაციის, ყურძნისა და მისი ნარჩენების ტრანსპორტირების, პირველადი მეღვინეობის მაცივრებითა და თბოგამტარებით უზრუნველყოფის, პროდუქციის დანაკარგების თავიდან აცილებისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესებისათვის სტაციონალურ-

რა მილსადენების გაყვანის და სხვა ღონისძიებათა გატარების გზით.

საქართველოს  
საბჭოთა კავშირი

მთავარი პრობლემა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში გადაუწყვეტლად რჩებოდა, იყო პირველად ნელვინობაში ყურძნის გადამუშავების უწყვეტი ხაზის შექმნა.

ამრიგად, ღვინის ქარხნების და მარნების ფართო მშენებლობის, ღვინის მრეწველობაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის შედეგად საქართველოში შეიქმნა მეღვინეობის საკმაოდ მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ღვინის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ, ღვინის წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის ახალი ღონისძიებების დანერგვამ და ამ დარგის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებამ განაპირობეს ღვინის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების და შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი ზრდა. ღვინის მრეწველობის პროდუქცია, ისე როგორც შრომისმწარმოებლურობა იზრდებოდა უფრო ჩქარა ვიდრე სათანადო მაჩვენებლები კვების მრეწველობაში მთლიანად. ასე, მაგალითად, 1940 წ. შედარებით 1968 წ. კვების მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 4,9-ჯერ, ღვინის მრეწველობისა კი — 7,5-ჯერ; 1950 წ. შედარებით შესაბამისად — 3,5-ჯერ და 4,8-ჯერ; 1960 წ. შედარებით — 68%-ით და 217%-ით; შრომის მწარმოებლურობა კვების მრეწველობაში 1940 წ. შედარებით 1968 წ. გაიზარდა 2,2-ჯერ, ღვინის მრეწველობაში კი — 2,6-ჯერ; 1950 წ. შედარებით შესაბამისად — 74%-ით, და 2,4-ჯერ, ხოლო 1969 წ. 1965 წელთან შედარებით 16%-ით და 26%-ით. ღვინის მრეწველობის პროდუქციის ამგვარმა მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა მისი ადგილი შრომის საკავშირო დანაწილებაში.

ყურძნის ღვინის წარმოების მიხედვით, საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მეოთხე, ხოლო ხარისხოვანი მარკიანი ღვინის გამოშვების მხრივ მეორე ადგილი უკავია. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საქართველო ყურძნის ღვინის წარმოების მხრივ ყოველთვის პირველ ადგილზე იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, განსაკუთრებით „სამტრესტის“ დაარსების (1929 წ.) შემდეგ, მეღვინეობა ყოველთვის მაღალი მომგებიანობით ხასიათდებოდა.

მიუხედავად ამისა, სისტემატურად ტარდება ღონისძიებები ღვინის მრეწველობაში შრომისმწარმოებლურობის ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ხარისხის გაუმჯობესების და წარმოების რენტაბელობის გადიდების მიზნით.

მნიშვნელოვნად განვითარდა თამბაქოს მრეწველობა. თამბაქოს კულტურა საქართველოში ცნობილია XVII საუკუნის დამლევადან, ხოლო მრეწველური ხასიათი მან მიიღო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

რევოლუციამდე თამბაქოს ფერმენტაციის საქართველოში აწარმოებდნენ ბუნებრივ პირობებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. გამოუმუშავებული იყო ფერმენტაციის საქარხნო ტექნოლოგია, რომლის დანერგვა დაიწყო რესპუბლიკაში 1928 წლიდან. საფერმენტაციო ქარხნები გაადგილებულია თბილისში, ლაგოდეხში, სოხუმში, გუდაუთაში, ვანთიადში, ოჩამჩირეში და ბათუმში. საქართველოს საფერმენტაციო ქარხნები აღჭურვილია ახალი ტექნიკით, სრულყოფილია თამბაქოს ფერმენტაციის ტექნოლოგია.

რევოლუციამდე საქართველოში იყო რამდენიმე შედარებით მსხვილი თამბაქოს კერძო ფაბრიკა და წვრილი ნახევრად კუსტარული საწარმო. თამბაქოს ფაბრიკების წარმოების მოცულობა 1921 წ. შეადგენდა 476 მლნ ცალ თამბაქოს ნაწარმს. 1925 წ. საქართველოს თამბაქოს მრეწველობაში განხორციელდა საწარმოთა გამსხვილება. მათი საერთო რაოდენობა დაყვანილი იყო 14-მდე, მათ შორის სახელმწიფოს ეკუთვნოდა — 8 საწარმო, კოოპერაციის — 2 და კერძო მესაკუთრეებს — 4. 1929 წ. გაძლიერდა თამბაქოს მრეწველობის კონცენტრაცია. თამბაქოს 7 ფაბრიკის ბაზაზე თბილისში შეიქმნა 2 მსხვილი ფაბრიკა. გამსხვილდა თამბაქოს ფაბრიკები სოხუმსა და ბათუმში.

ამჟამად საქართველოში თამბაქოს 3 მსხვილი ფაბრიკა და ერთი კომბინატია (სოხუმში), რომელთა წლიური სიმძლავრე შეადგენს 14 მილიარდ პაპიროსს და სიგარეტს.

1970 წელს გამოუშვეს 15,2 მილიარდი ცალი პაპიროსი და სიგარეტი, რაც 1940 წლის წარმოებას თითქმის 3,2-ჯერ აღემატებოდა.

სისტემატურად მიმდინარეობს თამბაქოს ფაბრიკების აღჭურვა ახალი მანქანა-დანადგარებით, მთელი საწარმოო ციკლის მექა-

ნიზაცია და ავტომატიზაცია. ამის შედეგად შესამჩნევად გაიზარდა შრომის მწარმოებლურობა, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტი და ამალდა წარმოების რენტაბელობა.

ინდუსტრიულ ნიადაგზეა დაყენებული პურის ცხოვრება, რომელიც ემყარება განვითარებულ საფეხვედ მრეწველობას. აგებულია მსხვილი წისქვილკომბინატები ფოთსა და თბილისში, მძლავრი პურის ქარხნები, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორსა და სხვა ქალაქებში, აგრეთვე მექანიზებული პურსაცხოვებები — რაიონებში. სწრაფად ვითარდება საკონდიტრო წარმოება.

კონსერვის მრეწველობა ამზადებს უპირატესად კომპოტს, მურაბას, ჯემს, ბოსტნეულის კონსერვებს, საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებულია კონსერვის ქარხნები: გორში, ქუთაისში, სამტრედიისში, სოხუმში, გურჯაანში, ზესტაფონში და სხვა ქალაქებში.

1970 წელს დამზადდა 225 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი, რაც 1940 წლის წარმოებას 7,7-ჯერ აღემატება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის და კერძოდ კვების მრეწველობის მნიშვნელოვან დარგს ხორცისა და რძის მრეწველობა წარმოადგენს, ძველი სასაქლოების ნაცვლად შექმნილია მძლავრი მრეწველური საწარმოები, რომლებიც ხორცისა და რძის ნაწარმს უშვებენ, აგრეთვე აწარმოებენ სამკურნალო პრეპარატებს და ნედლეულს ფარმაცევტული მრეწველობისათვის, ამ დარგის ყველაზე მსხვილ საწარმოებს წარმოადგენენ თბილისის რძისა და ხორცის კომბინატები.

საქართველოს მდინარეებში, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროზე განვითარებულია მე თ ე ვ ზ ე ო ბ ა. იჭერენ ხამსას, ქაშაყს, კუფალს, სტავრიდას, სვიას, ზუთხს, თართსა და სხვ. წარმოებს თევზის კონსერვების დამზადება.

1969 წელს დაიჭირეს 80,2 ათასი ტონა თევზი, რაც თითქმის 9,7-ჯერ მეტია 1940 წელთან შედარებით.

სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავების საფუძველზე დაიწყო ძვირფასი მცენარეული ზეთის წარმოება. ქობულეთში ამზადებენ მალშრობად და მღვრად ზეთებს ლაქსალეზავი მრეწველობისათვის. დასაუ-



ლეთ საქართველოში აწარმოებენ ეთეროვან ზეთებს პარფიუმერია-  
რიის დარგის მრეწველობისათვის.

საქართველო  
სსრკ-ის მრეწველობა

მთელს საბჭოთა კავშირში დიდძალი მომხმარებელი ჰყავს საქართველოს მინერალურ წყლებს: ბორჯომს, საირმეს, სკურს, ლუგელას და სხვა. აგრეთვე მაღალხარისხოვან გამაგრილებელ და სადესერტო ხილის სასმელებს, ლიმონათებსა და სიროფებს.

ომისშემდგომ წლებში და მის შემდგომ ინტენსიურად ფართოვდება კვების მრეწველობის სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოება.

საქართველოს კვების მრეწველობის მაღალ დონეზე ლაპარაკობს ისიც, რომ ჯერ კიდევ 1961 წელს რესპუბლიკაში მოსახლეობის ერთ სულზე მრეწველობის პროდუქცია 34,1%-ით ნაკლები, ხოლო კვების მრეწველობის პროდუქცია 21,6%-ით მეტი მოდიოდა, ვიდრე სსრ კავშირში საშუალოდ.

აღნიშნულ სახეობათა პროდუქციის თვალსაჩინო ზრდის მიუხედავად საქართველოს კვების მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება ომისშემდგომ წლებში ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამ მხრივ ღვინის, კონსერვისა და მრეწველობის ზოგადი სხვა დარგის წარმოებრივი სიმძლავრე ჯერ კიდევ არასაკმარისია არსებული სოფლისმეურნეობრივი ნედლეულის მთლიანად ათვისებისათვის.

რესპუბლიკის კვების მრეწველობა, რომელიც სულ უფრო ვითარდება, განსაკუთრებით ღვინის, ჩაისა და კონსერვების წარმოება დიდ მოთხოვნებს აყენებს ახალ მანქანებზე და მექანიზმებზე. ამ მოთხოვნებს მნიშვნელოვნად აკმაყოფილებენ ჩვენი რესპუბლიკის ქარხნები. ბოლო წლებში შესამჩნევად გაძლიერდა ყურძნის გადამამუშავებელი ტექნიკური ბაზა, რაც უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი მარკის ღვინოებისა და შამპანურის გამოშვების რაოდენობრივ ზრდას.

სსრ კავშირში საქართველომ დაიმკვიდრა ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს ზეთის (ძირითადი მასობრივი მწარმოებლის), სუფრის ღვინოების, საბჭოთა შამპანურის, თამბაქოს, ხილის, კონსერვების, ეთეროვანი ზეთების, კეთილშობილი დაფნისა და მინერალური წყლების უმსხვილესი მწარმოებლის ადგილი.



1971—1975 წწ. საქართველოში კიდევ უფრო განვითარდება კვების მრავალდარგოვანი მრეწველობა. ასე, მაგალითად რძის მრეწველობის პროდუქცია გაიზრდება 1,8-ჯერ, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების გამოშვება—1,4-ჯერ, ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმა—2-ჯერ. გადიდება სამარკო ღვინოების, შამპანურისა და კონიაკის, აგრეთვე კვების მრეწველობის სხვა პროდუქციის წარმოება. მნიშვნელოვნად გაიზრდება კვების მრეწველობის სწავარმოთა სიმძლავრეები ახალი ჩაის ფაბრიკების, პირველადი მეღვინეობის ქარხნების მშენებლობისა და არსებულ საწარმოთა გაფართოებისა და გაწყობილობის განახლების, მათი სრულყოფის გზით.

დიდი მუშაობა ჩატარდება ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმის გადიდებისათვის. თუ 1970 წლის განმავლობაში ჩამოსხმული იყო 200 მილიონამდე, 1975 წლისათვის დაგეგმილია 400—450 მილიონამდე ბოთლი ბორჯომის წყალი, ე. ი. გაიზრდება 2-ჯერზე მეტად.

გამდიდრდება მოსახლეობის კეთილდღეობის ამალღების ამ მნიშვნელოვანი დარგის პროდუქციის ასორტიმენტი, ამალღდება წარმოების კულტურა, პროდუქციის ხარისხი და გაუმჯობესდება მისი გარეგნული გაფორმება.

\* \* \*

ომისშემდგომ წლებში და მის შემდგომ ფართოდ განვითარდა საქართველოს სსრ მრეწველური წარმოების სხვა დარგებიც. პოლიგრაფიული, ავეჯის, მუსიკალური ინსტრუმენტების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების წარმოება და სხვ. ამ დარგთა მნიშვნელოვანი ნაწილი ომისშემდგომ პერიოდში წარმოიქმნა. მრეწველობის აღმავლობასთან ერთად არსებითი ძვრები მოხდა საქართველოს მრეწველური წარმოების გაადვილებაში. განხორციელდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემდგომი მრეწველური განვითარება. გაძლიერდა მრეწველური წარმოება წინათ ჩამორჩენილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

გამომდინარე სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებიდან სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ 1971—1975 წწ. და კერ-

ძოდ სახალხო მოხმარების პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ, სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, მეცხრე ხუთწლედში საგრძნობლად გაფართოვდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოება. განვიღწეოთ წლებში, განსაკუთრებით მერვე ხუთწლედში, რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქში შექმნილი სამრეწველო კომბინატები მკვეთრად გაადიდებენ ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოებას.

კიდევ უფრო მეტად განვითარდება მხატვრული სარეწები.

იმისათვის, რომ მნიშვნელოვნადა გაიზარდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მოხდება არსებულ საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქცია. აშენდება ადგილობრივი მრეწველობის ახალი ობიექტები: რკინა-კავეულის ქარხანა — ბოგდანოვკაში, დამთავრდება მექანიკური ქარხნის მშენებლობა ცხინვალში; მოდერნიზირდება თბილისის № 3 მექანიკური და თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანა, ლილოს მექანიკური სათამაშოების ფაბრიკა, გორის მექანიკური ქარხნები, განახლდება მათი დანადგარები.

საერთოდ 1971—1975 წწ. გეგმის მიხედვით რესპუბლიკურ დაქვემდებარების საწარმოთა პროდუქცია გადიდდება 55,5 პროცენტით, მათ შორის ადგილობრივი მრეწველობისა — 73,4 პროცენტით.

ამრიგად, როგორც ადგილობრივი მრეწველობის, აგრეთვე მხატვრული სარეწების შემდგომი განვითარების გზით მიიღწევა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა.

1971—1975 წწ. აფხაზეთსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შემდგომ განვითარდება მრეწველობა. წინასწარი ვარაუდის მიხედვით მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზრდება 1,5—1,8-ჯერ, ე. ი. უფრო სწრაფად ვიდრე ეს იქნება დამახასიათებელი მთლიანად საქართველოს მრეწველობისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სახალხო მოხმარებისა და საოჯახო საჭიროების საქონლის წარმოებას.

როგორც ვხედავთ, განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივებია დასახული 1971—1975 წწ. საქართველოს მრეწველობის წინაშე, როგორც მთლიანად, ისე ცალკეული, ძირითადი დარგების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მიხედვით.

## VI. კაპიტალური მშენებლობა 1971—1975 წწ.

მერვე ხუთწლედის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენდა კაპიტალური მშენებლობის ფართოდ გაშლა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საბინაო მშენებლობას. ამ მიზნებისათვის სსრ კავშირში დაიხარჯა დაახლოებით 60 მილიარდი მანეთი, აშენდა 11 მლნ 350 ათასი ბინა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელსაც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში აეშენებინოს ამდენი ბინა, მაგრამ ბინით მოსახლეობის ნორმალურად უზრუნველყოფის პრობლემა ჯერ კიდევ ბოლომდე გადაჭრილი არ არის. ამიტომაც, რომ ახალ ხუთწლედში მას ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოში 1966—1970 წწ. დიდი სახელმწიფო სახსრები დაბანდდა კაპიტალურ მშენებლობაში. აშენდა და ამოქმედდა 3.364 მლნ მანეთის ღირებულების ძირითადი საწარმოო ფონდები, ეს 58 პროცენტით უფრო მეტი იყო, ვიდრე 1961—1965 წწ. 57 მსხვილ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობასთან ერთად, აშენდა მრავალი შედარებით მცირე საწარმო, ბევრი მოქმედი საწარმო კი გაფართოვდა და რეკონსტრუირდა.

კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობამ მერვე ხუთწლედში შეადგინა 4.980 მლნ მანეთი, აქედან სახელმწიფოებრივ, კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციების მიერ დაბანდდა 4.362 მლნ მანეთი ანუ საერთო დაბანდების 87,6%, დანარჩენი 22,4% მოდიოდა მოსახლეობაზე, მათი საკუთარი სახლებისა და ბინების მშენებლობაზე.

1966—1970 წწ. მოქმედებაში შევიდა სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ანგარიშზე 50 ათას ჰექტარზე მეტი სარწყავი და 45 ათას ჰექტარზე მეტი ამოსაშრობი მიწა. დიდი თანხები დაბანდდა სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მშენებლობაზე.



მნიშვნელოვანი კაპიტალი დაბანდა საბინაო მშენებლობისათვის, რის შედეგად რესპუბლიკის საბინაო ფონდი რამდენიმე ათეული მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით გაიზარდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ქ. თბილისის საბინაო ფონდი 1966—1970 წწ. გაიზარდა თითქმის 45 მლნ კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობით.

1971—1975 წწ. დიდი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად განხორციელდება კაპიტალური მშენებლობის ფართო პროგრამა.

მეცხრე ხუთწლედში სსრკ კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა შეადგენს 50 მილიარდამდე მანეთს, ანუ 42 პროცენტით მეტს ვიდრე მერვე ხუთწლედში. აღსანიშნავია, რომ არსებითად შეიცვლება კაპიტალდაბანდებათა პროპორციები.

ასე, მაგალითად, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება გაიზარდება (%-ით): სოფლის მეურნეობაში—70-ზე მეტად, კერძოდ, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში—დაახლოებით—2-ჯერ, მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოების განვითარებაში—60-ჯერ, მსუბუქ მრეწველობაში—96, კვებისა და ხორცის მრეწველობაში—60-ჯერ.

სულ სოფლის მეურნეობის განვითარებას, სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას მოხმარდება სახალხო მეურნეობაში მთელი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების დაახლოებით 30 პროცენტი.

ამჟამად საბჭოთა კავშირში შექმნილია მძლავრი საშენებლო ინდუსტრია, რომელსაც აქვს დიდი საშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები, მანქანებისა და მექანიზმების დიდი პარკი და მალაკვალიფიციური კადრები.

1966—1970 წწ. საიჯარო ორგანიზაციათა ძირითადი წარმოებრივი ფონდები გაიზარდა 83 პროცენტით, შრომის მექანიკური აღჭურვილობა კი მშენებლობაში—53 პროცენტით. ეს მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის ფრიად საგულისხმო თვისებრივი მაჩვენებელია. მეცხრე ხუთწლედში საშენებლო ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას უნდა მოხმარდეს დაახლოებით 21 მილიარდი მანეთი, ნაცვლად 16,5 მილიარდისა მერვე ხუთწლედში.

ახალ ხუთწლედში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება სახალხო მეურნეობაში გადიდდება 36—40 პროცენტით. ამდენადვე გაიზრდება მშენებლობაში შრომის მწარმოებლურობა.

1971—1975 წწ. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებიანი.

ახალ ხუთწლედში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებთან საერთო მოცულობა საქართველოში გაიზრდება 43 პროცენტით, რაც შეადგენს 3380 მლნ მანეთს. აქედან სოფლის მეურნეობაში დაბანდება 1400 მლნ მანეთზე მეტი, ანუ გაიზრდება 78,7 პროცენტით, რაც შეადგენს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობის 40 პროცენტზე მეტს.

კაპიტალური დაბანდების გაზრდილი მოცულობის ათვისებისათვის რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად ამაღლება მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე. უკეთ აღიჭურვებიან სამშენებლო ორგანიზაციები მაღალი წარმადობის ტექნიკით. გაფართოვდება მშენებლობაში უფრო ეფექტური საშენი მასალებისა და ასაწყობი ქარხნული მზადყოფნის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენება. გაუმჯობესდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე.

მშენებლობაში ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, რომელიც გასულ წლებში წარმატებით დაინერგა მრეწველობაში და მნიშვნელოვნად აამაღლა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობა.

## VII. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა მიცხრა ხუთწლედში

1966—1970 წწ. სსრ კავშირში მნიშვნელოვნად განვითარდა ყველა სახეობის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. ძირითადად დამთავრდა რკინიგზებზე ორთქლის წვეის ელექტროფიცია და თბოწვეით შეცვლა. მიუხედავად ამისა რკინიგზა და საავტომობილო ტრანსპორტი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს, განსაკუთრებით კი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. მერვე ხუთწლედში რკინიგზების საექსპლოატაციო სივრცე საქართველოში არსებითად არ გაზრდილა, მაგ-

რამ იგი ერთადერთი მოკავშირე რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში, სადაც ელექტროფიცირებულია რკინიგზის მთლიანი ქსელი, რკინიგზის ტრანსპორტზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ტვირთების გადაზიდვა.

საქართველოს პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ავტოსაკაპანო გზების მშენებლობას და მათ რეკონსტრუქციას. ავტოსაკაპანო გზების სიგრძე 1970 წ. დამდგვისათვის შეადგენდა თითქმის 21 ათას კილომეტრს, მათ შორის 16 ათას კილომეტრზე მეტი მაგარი საფარით იყო. რესპუბლიკაში ფართო ქსელია არასაერთო სარგებლობის (საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვ.) ავტოსაკაპანო გზებისა. 1970 წ. ამგვარი გზების სიგრძე (მაგარი საფარით) შეადგენდა 6 ათას კილომეტრზე მეტს. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1970 წ. 1940 წ. შედარებით გაიზარდა 168-ჯერ, 1960 წ. შედარებით — 2,1-ჯერ, ხოლო 1965 წ. შედარებით — 1,5-ჯერ. 1970 წ. ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვა 3,3-ჯერ უფრო მეტი იყო ვიდრე 1960 წ. და 1,7-ჯერ მეტი ვიდრე 1965 წ. სახალხო მეურნეობის საავტომობილო ტრანსპორტის საერთო ტვირთზიდვაში საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთზიდვის ხვედრითმა წონამ 1970 წ. შეადგინა 44%.

საპაერო ტრანსპორტით საქართველოში 1932 წ. გადაიყვანეს მხოლოდ 400 მგზავრი, 1937 წ. — თითქმის 11 ათასი, ხოლო 1970 წ. — 1994 ათას კაცზე მეტი, რაც 75-ჯერ მეტი იყო ვიდრე 1940 წ. ამ ხნის განმავლობაში მგზავრთბრუნვა გაიზარდა 223-ჯერ.

ამჟამად საქართველოს დედაქალაქი თბილისი, აგრეთვე ქალაქები ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი საპაერო ხაზებით დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მსხვილ ქალაქთან.

1971 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისადმი მიძღვნილ საზეიმო დღეებში მწყობრში შევიდა თბილისის აეროპორტის ახალი შენობა.

მნიშვნელოვნად განვითარდა საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტი, ტროლეიბუსის საექსპლოატაციო ერთმაგი ხაზის სიგრძე 1970 წ. ბოლოსათვის შეადგენდა 195 კმ ნაცვლად 16 კმ-ისა 1940 წ., 92 კმ-ისა 1960 წ., 11 კმ-ისა 1965 წ. ამასთან ერთად სამგზავრო ტროლეიბუსების რიცხვი გაიზარდა 40-დან

1940 წ., 197-მდე 1960 წ., 215-მდე 1965 წ. და 295-მდე 1970 წ. ტროლეიბუსების საერთო გარბენა გაიზარდა 0,6 მლნ მანქანა-კილომეტრიდან 1940 წ. 11,8 მლნ მანქანა-კილომეტრამდე 1970 წ., გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა — 11 მლნ კაციდან 1940 წ. 100 მლნ კაცამდე 1970 წ., ანუ 10-ჯერ.

სატროლეიბუსო მიმოსვლა დაიწყო თბილისში 1937 წლიდან, ქუთაისში — 1949 წლიდან, ამჟამად სატროლეიბუსო მიმოსვლა არის სოხუმში, ქიათურასა და რუსთავში.

მეტროპოლიტენის საექსპლოატაციო ორმაგი გზის სიგრძე 1970 წ. ბოლოსათვის შეადგენდა 10,3 კმ-ს ნაცვლად 6,3 კმ-ისა 1966 წ., ე. ი, მეტროპოლიტენის ექსპლოატაციაში გადაცემის წელთან შედარებით გაიზარდა 1,6-ჯერ. სამგზავრო ვაგონების რიცხვი შესაბამისად შეადგენდა 62-ს, ნაცვლად 26-ისა, ხოლო გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა გაიზარდა 21,5 მლნ კაციდან 74,4 მლნ კაცამდე ანუ 3,5-ჯერ.

როდესაც თბილისის მეტროპოლიტენი გადაეცა ექსპლოატაციაში (1966 წ. იანვარი), მოქმედებდა 7 სადგური, ამჟამად კი საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობას ემსახურება მეტროპოლიტენის 11 სადგური.

1971 წ. დასაწყისისათვის საქართველოში ჭავშირგაბმულობის საწარმოების საერთო რაოდენობა შეადგენდა 1430 ერთეულს, ანუ თითქმის 14-ჯერ მეტს ვიდრე 1913 წელს.

პირველად საქართველოში ტელეხედვა ორგანიზებულ იყო 1957 წ. ამჟამად სატელევიზიო სადგურების რაოდენობამ 36-ს მიღწია. რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ხედავს სატელევიზიო გადაცემებს თბილისიდან, მოსკოვიდან, აგრეთვე ინტერგადაცემას. 1971 წ. დასაწყისისათვის რესპუბლიკაში იყო 489 ათასი ტელევიზორი.

უღარესად დიდი ამოცანებია დასმული ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის წინაშე მეცხრე ხუთწლედში.

სსრ კავშირის მთელი ტვირთბრუნვის დაახლოებით 2/3-ს ამჟამად უზრუნველყოფს რკინიგზის ტრანსპორტი. განვლილ ხუთწლედში დასახული ამოცანა რკინიგზების პროგრესულ სახეობათა წევარზე გადაყვანის შესახებ ძირითადად დამთავრებული იყო. მთელი ტვირთბრუნვის 96,5 პროცენტს ასრულებდნენ ულმავლები და

ობომაველები. მეცხრე ხუთწლედში ელექტროწევაზე გადავა კო-  
დეც 6 ათასი კილომეტრი სიგრძის რკინიგზა. გამოვა უფრო მძლავ-  
რი ლოკომოტივები. ეს შექმნის შესაძლებლობას მატარებლის  
წონისა და მოძრაობის სიჩქარის გადიდებისათვის. ხუთწლედში  
დასახულია მთელი რიგი ახალი რკინიგზების გაყვანა, აშენდება  
7—8 ათასი კილომეტრის სიგრძის მეორე ლიანდაგი. რკინიგზების  
შემდგომ ელექტროფიკაციასთან ერთად გაგრძელდება რკინიგზის  
ხაზების მოწყობა ავტობლოკირებითა და დისპეტჩერული ცენტ-  
რალიზაციით. მზარდი სატრანსპორტო-ეკონომიური კავშირების  
უზრუნველყოფისა და ახალი სამრეწველო რაიონების მომსახუ-  
რებისათვის აშენდება 5,6 ათასი კილომეტრი ახალი რკინიგზის  
ხაზები. გაძლიერდება ლიანდაგის ზედა აღნაგობა რკინა-ბეტო-  
ნის შპალების, უპირაპირო ლიანდაგისა და თერმულად დამუშავე-  
ბული რელსების დაგების ვზით, ამოღდება სალიანდაგო სამუშაო-  
თა მექანიზაციის დონე. აღნიშნულ და სხვა ღონისძიებათა გან-  
ხორციელების შედეგად რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა  
გაიზრდება დაახლოებით 22 პროცენტით, ხოლო შრომის მწარ-  
მოებლურობა — 23 პროცენტით.

საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაიზრდება 1,4-ჯერ, გა-  
დიდება საზღვაო ნავსადგურების გამტარუნარიანობა. აშენდება  
ნავსადგური შავ ზღვაზე.

შემდგომ განვითარდება სამდინარო ტრანსპორტი, მისი ტვირთ-  
ბრუნვა გადიდება დაახლოებით 24 პროცენტით, მნიშვნელოვნად  
შემცირდება ტვირთზიდვის თვითღირებულება.

დანქარებით განვითარდება მაგისტრალური მილსადენების  
ქსელი. შეიქმნება დასავლეთ ციმბირიდან ქვეყნის ევროპულ ნაწილ-  
სა და აღმოსავლეთ რაიონებში ნავთობის გადატუმბვისათვის მილ-  
სადენების მძლავრი სისტემა. გაიყვანება 27 ათასი კილომეტრი  
მაგისტრალური ნავთობსადენები და ნავთობპროდუქტსადენები,  
ერთიორად და მეტად გაიზრდება ნავთობისა და ნავთობპროდუქ-  
ტების გადატუმბვა.

ახალი ხუთწლედის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას  
ტრანსპორტის დარგში წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორ-  
ტის, და უწინარეს ყოვლისა საერთო სარგებლობის საავტომობი-  
ლო ტრანსპორტის შემდგომი განვითარება. ამ უკანასკნელის



ტვირთბრუნვა 1,6-ჯერ გაიზრდება. გაფართოვდება საავტომობილო გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და ახალ სამრეწველო რაიონებში. გაუმჯობესდება სატვირთო ავტომობილების პარკის სტრუქტურა, ამალდება დიდი ტვირთამწეობის ავტომობილებისა და ავტომობილთა მატარებლის ხვედრაწონა. დიდი ყურადღება მიექცევა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ თვითმომსახურებას. შემცირდება სატვირთო ავტომობილების ფუჭი გარბენები და მოცდენები.

არსებითად გაუმჯობესდება მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება. მგზავრების გადაყვანა საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტით გაიზრდება 1,4-ჯერ, მათ შორის საჰაერო ტრანსპორტით — 1,7-ჯერ, ავტობუსით — 1,6-ჯერ და რკინიგზის ტრანსპორტით — 24 პროცენტით.

შემდგომ განვითარდება მგზავრთა გადაყვანა საქალაქო ელექტროტრანსპორტით, გადიდება მსუბუქი ტაქსების რაოდენობა, უზრუნველყოფილ იქნება მოსახლეობის ტურისტულ-საექსკურსიო გადაყვანის მნიშვნელოვანი ზრდა.

საჰაერო ხაზებზე დაინერგება ახალი კომფორტაბელური, ჩქარი და უფრო ეკონომიური თვითმფრინავები. დაიწყება ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავების ექსპლუატაცია.

რკინიგზის სამგზავრო პარკი შეივსება ახალი, უფრო სრულყოფილი, კომფორტაბელური სამგზავრო ვაგონებით. გადიდება საგარეუბნო მატარებლების მოძრაობის სიხშირე.

მნიშვნელოვნად გაიზრდება ავტობუსთა პარკი. 2,5-ჯერ გაფართოვდება ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების სადგურების ქსელი, პირადი სარგებლობის ავტომობილების მომსახურების გათვალისწინებით.

დიდი სამუშაოები შესრულდება კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობისა და ტელეხედვის შემდგომი განვითარებისათვის. საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობის არხების სიგრძე გაიზრდება 1,9-ჯერ. გაგრძელდება მუშაობა ავტომატური და ნახევრადავტომატური საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობის შესაქმნელად, სატელეფონო სადგურების ტევადობა ქალაქებში და სოფლად გაიზრდება 1,5-ჯერ. გაფართოვდება რა-

დიომაუწყებლობისა და სატელევიზიო სადგურებში ქსელი. კავშირგაბმულობისა და სატელევიზიო პროგრამების გადასაცემად უფრო მეტად გამოიყენებენ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს. უზრუნველყოფილ იქნება სულ ცოტა ორი სატელევიზიო პროგრამის მყარი მიღება მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში.

გაუმჯობესდება მოსახლეობის მომსახურების ხარისხი ყველა სახეობის კავშირგაბმულობის მიერ.

ყოველივე ამ საერთო-საკავშირო ღონისძიების გარდა ყველა სახეობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარებისათვის საქართველოში 1971—1975 წწ. გატარდება რიგი რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიება სახალხო მეურნეობის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დარგების შემდგომი განვითარებისათვის. რკინიგზის განვითარებას ახალ ხუთწლედში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის, რადგან ამჟამად იგი შეზღუდული გამტარუნარიანობის გამო ვერ ართმევს თავს გაზრდილ ტვირთზიდვას და ამით ერთგვარ მუხრუჭად გადაიქცა მის შემდგომ განვითარებაში. აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ამიერკავკასიის რკინიგზის გადამწყვეტ უბნებზე მეორე ლიანდაგის დაგება. ამ სამუშაოების პირველი რიგი სურამის უღელტეხილზე დამთავრდება 1972 წ.

ხელახლად აღიჭურვება ტექნიკით საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი, რის შედეგად მისი ტვირთბრუნვა 63 პროცენტით გაიზრდება.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება რესპუბლიკის საავტომობილო გზების მშენებლობა, გაუმჯობესდება მათი ტექნიკური მდგომარეობა, გაიზრდება მაგარი საფარის მქონე გზების სიგრძე. მეცხრე ხუთწლედში დამთავრდება საქართველოს სამხედრო გზის მძიმე მონაკვეთების რეკონსტრუქცია. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება შავი ზღვის სანაპიროს საავტომობილო მაგისტრალი. აშენდება ჯვარი-ცაიში-მესტიის მაღალმთიანი საავტომობილო გზა, დამთავრდება ბათუმი-ხულოს გზის რეკონსტრუქცია.

1971—1975 წწ. ნავარაუდევია, მომავალში საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის გახსნის მიზნით, დიდი მოცულობის საავტომობილო

ზაო-სამშენებლო სამუშაოების შესრულება სამტრედიის რაიონის სარტის მიმართულებით. საექსპლოატაციოდ გადაეცემა მთელი რიგი საავტომობილო გზების მონაკვეთები ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გვერდის ასავლელად. აშენდება 10 კილომეტრზე მეტი საერთო სიგრძის რკინა-ბეტონის ხიდები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდება კავშირგაბმულობის ყველა საშუალებათა გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით.

დაიწყო თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის სამშენებლო სამუშაოები, სადგურიდან „ვაგზლის მოედანი“ დელისამდე, სადაც გათვალისწინებულია აშენდეს ოთხი სადგური.

ამრიგად, საქართველო, ისე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში. სკკპ X.XIV ყრილობის დირექტივებს 19701—1975 წწ. სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ უაღრესად დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ისინი მტკიცედ ასახვენ ამ დიად მიღწევებს და შესაძლებლობებს, რომელიც აქვს ჩვენს ქვეყანას მის ეკონომიკურ განვითარებაში.

როგორც დირექტივების, აგრეთვე სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის დავალებებიდან ჩანს, ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ვითარდება მათი ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების კანონზომიერების მიხედვით. ეს უდიდესი ფაქტორია და მკაფიო გამოვლინებაა ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიადი ცხოველმყოფელი ძალისა, რომელიც მთელ მსოფლიოს უჩვენებს, რომ მხოლოდ სოციალიზმი უსახავს ხალხებს ეკონომიკური და სხვა ჩამორჩენილობის სწრაფი დაძლევისა და მოწინავე მაღალგანვითარებულ სოციალისტურ ერებად გადაქცევის საიმედო გზებს.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . .	3
I. ინდუსტრიალიზაციის გზით . . . . .	5
II. საქართველოს მრეწველობის განვითარების მაჩვენებლები . . . . .	22
III. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმების თავისებურებები . . . . .	51
IV. მრეწველობის განვითარების თავისებურებები მეცხრე ხუთწლეულში (1971—1975 წწ.) . . . . .	63
V. საქართველოს მრეწველობის განვითარება ახალ ხუთწლეულში (1971—1975 წწ.) . . . . .	76
VI. კაპიტალური შშენებლობა 1971—1975 წწ. . . . .	116
VII. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა მეცხრე ხუთწლეულში . . . . .	118

80

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი პ. გუგუშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი ც. თოდუა  
ტექნორედაქტორი ლ. ჭვებენაძე  
მხატვარი ვ. ხმალაძე  
კორექტორი ლ. გვლოვანი

გადაეცა წარმოებას 15.6.1972; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.10.1972;  
ქალაქის ზომა 60×90/16; ნაბეჭდი თაბახი 8,0; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 6.41; უფ. 01125; ტირაჟი 800; შეკვეთა № 1720  
ფასი 54 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 19,  
Издательство «Мецниереба» АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова.

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 60 კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

